ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ნიკო ხუციშვილი

# იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში

თბილისი

# საქართველოს ეკლესიის ისტორია

**1**

გამომცემლობა არტანუჯი

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

თამარ გეგია
გიორგი კალანდია
გოჩა საითიძე
თეა ქართველიშვილი
მაია შარშაძე
თემო ჯოჯუა



| | | |
|---|---|---|
| | სსამეგრდ | სრ |
| | 24.02.2006 | № 78 |



ISSN 1512-4371
ISBN 978-99940-59-55-3 (ნ. ხუციშვილი, „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში“)

© ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2007.
© გამომცემლობა არტანუჯი, 2007.
მეორე გამოცემა

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობის საკითხების კვლევა დავიწყეთ 1990 წელს, როდესაც კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში აკად. ელენე მეტრეველის ინიციატივით და ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა იერუსალიმ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიის მონაცემთა ბაზის შექმნას. ბაზის შედგენაში მონაწილეობდნენ ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები:
ნანა მშვიდობაძე (საისტორიო საბუთების მომზადება და ანოტირება) და ზინაიდა პოლიევქტოვა-ნიკოლაძე (პროგრამული უზრუნველყოფა და მასალის კომპიუტერში შეტანა).

ბოლო 10-15 წლის მანძილზე საკმაოდ მომრავლდა კვლევები და პუბლიკაციები საქართველოს ეკლესიის ისტორიაში. ხორციელდება საინტერესო პროექტები, ეწყობა ნაყოფიერი ექსპედიციები, ხშირად იცვება დისერტაციები, იბეჭდება წიგნები, ბროშურები, იწერება მრავალი სტატია, გამოიცემა თემატური კრებულები. წლების წინ დაარსდა სპეციალური სერიაც („ქართული ეკლესიის ისტორია. მასალები და გამოკვლევები“), რომლითაც 1994-1995 წლებში 4 მნიშვნელოვანი წიგნი მიიღო ქართველმა მკითხველმა.

თუმცა იმდენად მდიდარია საქართველოს ეკლესიის წარსული, იმდენად დიდია საკვლევი თემების დიაპაზონი და გამოსამზეურებელი მასალა, იმდენად უკან დახია საბჭოურმა პერიოდმა ქართული ისტორიოგრაფია ეკლესიის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, რომ ბოლო წლებში ქართველ მკვლევართა გააქტიურების მიუხედავად, გამოსაკვლევი და გამოსაცემი სულ უფრო და უფრო მეტი ჩნდება. სასიხარულოა, რომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევას ხშირად ახალგაზრდები ეტანებიან. ეს ერთგვარი იმედია იმისა, რომ საფუძველი ეყრება ახალ სკოლას, კვლევის საინტერესო და აქტუალურ მიმართულებებს.

ბოლო პერიოდში გამომცემლობა „არტანუჯმაც“ არაერთი საინტერესო წიგნი გამოსცა ეკლესიის ისტორიის შესახებ და ბუნებრივად გაჩნდა მომავალი გამოცემების ერთ სერიაში გაერთიანების საჭიროებაც. ვიფიქრეთ, რომ ეს იქნებოდა კარგი საშუალება დაინტერესებულ მკითხველს თვალი მიედევნებინა „არტანუჯის“ იმ გამოცემებისათვის, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხებს ეხება.

მოხარული ვარ, რომ პირველ პროექტს კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტთან ერთად ვახორციელებთ. აღნიშნული

აღნიშნული ორგანიზაცია ხომ საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის ერთ-ერთი მთავარი კერაა ჩვენს ქვეყანაში.

ახალი სერიის – „საქართველოს ეკლესიის ისტორია“ პირველი გამოცემა მნიშვნელოვანი ქართული საეკლესიო ცენტრის – იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო პრობლემას ეთმობა. სამწუხაროა, რომ სადისერტაციო ნაშრომის წიგნად გამოცემას ავტორი ველარ მოესწრო. სამწუხაროა ისიც, რომ ნიკო ხუციშვილის სახით ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ნაადრევად დაკარგა ნიჭიერი, ნოვატორი და პროდუქტიული მკვლევარი.

დასასრულს, ულრმესი მადლობა მინდა ვუძღვნა ქართულ სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ცენტრსა და პირადად ქ-ნ თამილა მგალობლიშვილს, რომლის თანადგომითაც განხორციელდა აღნიშნული წიგნის პირველი გამოცემა.

ბუბა კუდავა

# შესავალი

იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებში ქართველების მოღვაწეობის ხანა, – იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორია, – დაახლოებით თორმეტსაუკუნოვან პერიოდს მოიცავს. V საუკუნის პირველ ნახევარში ქრისტიანული აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მოღვაწეს პეტრე იბერსა და მის მიმდევრებს იერუსალიმსა და მის მახლობლად აუშენებიათ მონასტრები და სასტუმრო სახლები ქართველი და ბერძენი ბერებისათვის. ერთი მონასტერთაგანი კი „ქართველთა მონასტრის" სახელითაა მოხსენიებული, რაც, ალბათ, სწორედ იქ მოღვაწე ბერთა შორის ქართველების სიმრავლესა და მათ დომინანტურ როლზე მიგვითითებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „იერუსალიმის ქართული კოლონია" გულისხმობს არა მხოლოდ იმ მონასტრებს, რომლებიც ქართველების აშენებული იყო და მათ ეუთვნოდათ, არამედ იმათაც, რომლებშიც საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი ქართული კრებული, იმდენად, რომ შესაძლებელი იყო მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა. ასეთი კულტურული კერებიდან ცნობილია საბაწმინდა, პალავრა, გოლგოთა, დერტავი, დერთუფა და სხვ. XVII საუკუნის დასასრულს, სხვადასხვა მიზეზთა გამო, ქართველებმა დაკარგეს უფლებები თავიანთ მონასტრებზე და ამის შემდეგ მათმა მოღვაწეობამ პალესტინაში ფრაგმენტული ხასიათი მიიღო[1].

რა თქმა უნდა, წმინდა მიწაზე ქართველების წარმატებული მოღვაწეობის ასეთი შემობრუნება ერთბაშად არ მომხდარა და მისი

---

[1] Цагарели А., Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, СПб, 1888, გვ. 33-34, 80-82; ელ. მეტრეველი, გამოკვლევა ტიმოთე გაბაშვილის წიგნზე „მიმოსლვა", თბ., 1956, გვ. 0162, 0190-0191; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 46; ელ. მეტრეველი, დერტავისა და დერთუფას ხელნაწერების ირგვლივ, აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბ., 1976, გვ. 74-84; ი. დავიდი, ქართული პალესტინიანა, ნაწერები, I, ტელ-ავივი, 1976, გვ. 251, 264; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 21-22, 125; ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი (ქართველთა პერიოდი), გორი, 2000, გვ. 5-32.

ფესვები შედარებით ადრინდელ ხანაში, იერუსალიმსა და საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებშია საძიებელი.

XI საუკუნემდე ქართველების მოღვაწეობა პალესტინაში, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო თავისი მწიგნობრულ-შემოქმედებითი საქმიანობით. ამ პერიოდში იერუსალიმელი ქართველების მიერ შეიქმნა, ითარგმნა და გადაიწერა ქართული კულტურისათვის არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი. XI საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც იერუსალიმი იზოლირებული აღმოჩნდა ბიზანტიის კულტურის მთავარი ცენტრებისაგან მუსლიმური სამყაროთი, იერუსალიმის ქართულმა კოლონიამ დაკარგა ქართველი ხალხისათვის ის დიდი კულტურული მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა მას წინა საუკუნეებში. მაგრამ, ამავე დროიდან, მან შეიძინა ახალი, პოლიტიკური მნიშვნელობა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პალესტინა ქრისტიანთა და მუსლიმთა ბრძოლის ასპარეზად იქცა[2].

XI საუკუნის პირველი მეოთხედისათვის იერუსალიმის ქართული კოლონიის ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: ექვთიმე ათონელის ინიციატივით და ბაგრატ IV-ის მატერიალური მხარდაჭერით საბაწმინდელმა ბერმა გიორგი-პროხორემ იერუსალიმის მახლობლად ააშენა თუ განაახლა ჯვრის მონასტერი, რომელსაც შემდგომში წილად ხვდა ქართული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის წარმომადგენელი ყოფილიყო იერუსალიმში[3]. „ჯვარს კავ-

---

[2] ტ. გაბაშვილი, „მიმოსვლა“, გვ. 0163-0169.

[3] ტ. გაბაშვილი, „მიმოსლვა“, გვ. 0172; ე. გაბიძაშვილი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ქართველი მოღვაწეები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი IV, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბ., 1968, გვ. 109-110.

1969-1971 წლებში საბერძნეთის არქეოლოგიურმა სამსახურმა ჯვრის მონასტრის მთავარ ეკლესიაში ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები საბერძნეთის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის არქიტექტორ-არქეოლოგის ა. ეკონომოპულოსის ხელმძღვანელობით. გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის საფუძველზე ა. ეკონომოპულოსი ასკვნის, რომ ამ ადგილას ეკლესია აშენებული ყოფილა ჯერ კიდევ IV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ან V ს-ის პირველ ოცწლეულში. ამის შემდეგ იგი რამდენჯერმე დანგრეულა და თავიდან აუშენებიათ. (A. Economopoulos, Fresh Data Resulting from the Excavation in the Church of the Monastery of the Holy Cross at Jerusalem, Actes du X$^{e}$ congres international d'archeologic chretiene, vol. II, Vaticano-Thessalonique, 1984).

ე. მამისთვალიშვილი ჯვრის მონასტრის ამშენებლად პეტრე იბერს მიიჩნევს (იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, გვ. 5-17).

შირი ჰქონდა მოწინავე ქრისტიანულ ქვეყნებთან, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლები ჰყავდათ იერუსალიმში. ჯვარს გაჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული კულტურის მონაპოვარი საქართველოს პოლიტიკური პრესტიჟის გაზრდის მიზნით. ამიტომ, ჯვრის მონასტრის ეკონომიკურ თუ უფლებრივ მდგომარეობაზე ზრუნვა ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული პროგრამის ნაწილი იყო"[4].

ქართველების ყურადღება იერუსალიმში მიპყრობილი იყო არა მხოლოდ მათი საკუთარი ეკლესია-მონასტრებისაკენ, არამედ საერთო ქრისტიანული სიწმინდეებისკენაც, რაც, ყველაზე მეტად, გულისხმობს აღდგომის ტაძარს მასში გაერთიანებული გოლგოთის თხემითა და ქრისტეს საფლავით. „წმინდა ადგილებში" გავლენისა და პრივილეგიების მოპოვება ქრისტიანულ სახელმწიფოთა პოლიტიკური ძალის მაჩვენებელსა და ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობის ერთ-ერთ საზომს წარმოადგენდა. გარკვეული სტატუსი „წმინდა მიწაზე" კარგად მეტყველებდა ამა თუ იმ ქვეყნის ადგილსა და როლზე მსოფლიო პოლიტიკაში, მის გავლენაზე საერთაშორისო ძალთა განლაგების საკითხში"[5].

იერუსალიმის ქართული კოლონიის მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ქართველები ზოგჯერ კარგავდნენ კიდეც თავიანთ მონასტრებს. ამის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითია ჯვრის მონასტრის დაკარგვა სულთან ბეიბარსის მეფობის დროს, როდესაც ქართველებს ჩამოართვეს ჯვარი და გადააკეთეს მეჩეთად 1272 თუ 1273 წელს. ქართველებს ჯვრის დაბრუნება 1310 წელს მოუხერხებიათ[6]. არაერთგვაროვანი იყო ქართველების ურთიერთობა იერუსალიმის მმართველებთანაც: ბიზანტიელებთან, სპარსელებთან, არაბებთან, ჯვაროსნებთან და ოსმალებთან. ცალკე შესწავლის საგანია იერუსალიმის ქართული კოლონიისა და იერუსალიმის საპატრიარქოს ურთიერთობის საკითხი.

---

[4] ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ.14.

[5] დ. ნინიძე, გოლგოთის საკითხი XIV-XVII საუკუნეების ქართულ დიპლომატიაში, ქართული დიპლომატია, II, თბ., 1995, გვ. 199.

[6] ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 41-48; დ. გოჩალეიშვილი, XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, თბ., 1988, გვ. 28-39.

იცვლებოდა პალესტინაში ქართველების სტატუსიც. სხვადასხვა ცნობების მიხედვით, ქართველები პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფილან იერუსალიმში VII-დან XVII საუკუნემდე: თავისუფლები იყვნენ სხვადასხვა სახის გადასახადებისგან; შედიოდნენ იერუსალიმში ამხედრებულები, გაშლილი დროშებით; წმინდა საფლავის ტაძარში შესვლისას მიდიოდნენ სხვა ხალხებზე წინ, პატრიარქებთან ერთად[7]. არსებობს მოსაზრება, რომ იერუსალიმში ქართველების სტატუსი არ იყო დამოკიდებული საერთაშორისო ასპარეზზე ქართველების გაძლიერება-დასუსტებაზე და მათი პრივილეგიები მხოლოდ ერთიანი, ძლიერი საქართველოს მეფეების აღიარების შედეგი კი არ იყო, არამედ უფრო შორეული წარსულიდან მომდინარე ტრადიცია[8]. მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით ქართველების მოღვაწეობის ინტენსიურობის შესახებ პალესტინაში. ეს კი უშუალოდ იყო დამოკიდებული როგორც საქართველოს, ასევე იმ ხალხების პოლიტიკური ცხოვრების აღმავლობასა და დაქვეითებაზე, ვის ხელშიც იყო იერუსალიმი. საქართველოს პოლიტიკური შესუსტება და სამეფო სამთავროებად დაშლა უცხოეთში მდებარე ქართულ მონასტრებსაც დაეტყო. შემცირდა საქართველოდან წასული ბერებისა და მომლოცველების რაოდენობა[9].

ქართველი მეფეები და დიდებულები ხშირად სწირავდნენ იერუსალიმის წმინდა ადგილებს სხვადასხვა შესაწირავებს. ჯვრის მონასტრის აღაპები და ქართული საისტორიო საბუთები მეტყველებენ, რომ ჯვარს თავისი არსებობის მანძილზე სისტემატურად მისდიოდა მატერიალური დახმარება საქართველოდან. მონასტრის გაჭირვების ჟამს ასეთი შენირულებები უფრო მეტიც კი ყოფილა[10].

თანდათანობით, საქართველოს მეფე-მთავართაგან გაღებული შენირულებანი აღარ კმაროდა სამეურნეო ხარჯებისა და ოსმალ-

---

[7] ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0177; მ. სტეფნაძე, ქართველთა სტატუსი იერუსალიმის წმინდა მიწაზე VII-XVII საუკუნეების საერთაშორისო აქტების მიხედვით, თსუ სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი, თეზისები, თბ., 1997, გვ. 47-48.

[8] მ. სტეფნაძე, ქართველთა სტატუსი..., გვ. 48.

Цагарели А., Памятники..., გვ. V. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. IV, თბ., 1967, გვ. 276.

[10] ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 14.

თაგან დადებული გადასახადების დასაფარავად. მზარდი ვალების გადასახდელად ქართველები იძულებულნი იყვნენ თავიანთი მონასტრები და სამლოცველოები მიექირავებინათ ფრანგების, სომხებისა და ბერძნებისათვის, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ამ მონასტრების ხელში ჩასაგდებად"[11].

თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გასამტკიცებლად მონასტრებს სჭირდებოდათ რეგულარული შემოსავალი, რაც, უმთავრესად, სხვადასხვა სახის უძრავ-მოძრავი ქონების ფლობას შეეძლო უზრუნველეყო. ქართულ და უცხოენოვან წერილობით წყაროებში დაცულია ცნობები იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობის შესახებ როგორც პალესტინაში, ასევე საქართველოში.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალების მიხედვით, საქართველოში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობელობის ჩამოყალიბება დაახლოებით XVI ს-ის II ნახევრიდან იღებს საფუძველს. სწორედ ამ დროიდან იწყება ბერძნული საპატრიარქოს მოღვაწეობის გააქტიურება საქართველოში ყმა-მამულის მოპოვების მიზნით. იერუსალიმელი პატრიარქები პირადად, თუ თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით შთააგონებდნენ ქართველ მეფეებს გაეღოთ შეწირულება იერუსალიმის მონასტრებისათვის. თავის მხრივ, ქართველი მეფეები, – იხდიდნენ რა თავიანთ ზნეობრივ ვალს, როგორც ქრისტიანები, პალესტინის სიწმინდეების წინაშე, – ცდილობდნენ გაეხანგრძლივებინათ იერუსალიმის ქართული კოლონიის არსებობა, რისი მნიშვნელობაც ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული.

სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო (ძირითადად ეს გამოიხატებოდა საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ დასუსტებასა და, აქედან გამომდინარე, მატერიალურ ხელმოკლეობაში) იერუსალიმის ქართული კოლონიის გადარჩენა ვერ მოხერხდა. XVII ს-ის დამლევისა და XVIII ს-ის დასაწყისისათვის იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრები ქართველებისაგან

---

[11] ც. აბულაძე, სულეიმან კანუნის ჰუქმები იერუსალიმის ერთი ქართული მონასტრის ფრანცისკანელებისათვის გადაცემის თაობაზე, მაცნე, ისტორიის სერია, 1986, № 2, გვ. 124.

დაცარიელდა და მათ დაეპატრონა ბერძნული საპატრიარქო[12]. ამას შედეგად მოჰყვა საქართველოში იერუსალიმის მონასტრების ყმა-მამულზე იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს, როგორც მესაკუთრის პრიორიტეტის წინ წამოწევა.

XIX ს-ის დამდეგიდან, საქართველოს სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთებისა და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვასთან ერთად, ქართული მხარე საბოლოოდ ჩამოშორდა იერუსალიმის მონასტრების უძრავ-მოძრავი ქონების მართვას და მისი ადგილი რუსულმა ხელისუფლებამ დაიჭირა.

ჩვენი ნაშრომი არის ცდა, უპირველეს ყოვლისა, აღვნუსხოთ ის ყმა-მამული, რომელიც ეკუთვნოდა იერუსალიმის მონასტრებს საქართველოში; შევისწავლოთ ამ მინათმფლობელობის წარმოქმნისა და განვითარების ქრონოლოგია, ისტორია და მართვის ორგანიზაციის ძირითადი საკითხები; დავადგინოთ საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველების, „ჯვარის მამების" რიგი XVII-XIX. ამ კონკრეტული საკითხების ფონზე, ვფიქრობთ, უკეთ გამოიკვეთება ზოგადიც, კერძოდ, საკუთრების დიფერენციაციის პრობლემა იერუსალიმის ქართულ მონასტრებსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის XI-XVII საუკუნეებში.

---

[12] ტ. გაბაშვილი, „მიმოსლვა", გვ. 0190-0191.

# თავი I

## იერუსალიმის ყმა-მამული საქართველოში

იერუსალიმის ეკლესია-მონასტრებისადმი საქართველოდან გაგზავნილი შენირულების მიმღებად ქართულ საისტორიო დოკუმენტებში, უმრავლეს შემთხვევაში, დასახელებულია ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, აღდგომა და ჯვრის მონასტერი. საბუთებში ეს სინმინდეები შეიძლება დასახელებული იყოს სხვადასხვა რიგით, ყველა ერთად, ან მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. შენირულების ადრესატი საბუთებში ხშირად შემდეგნაირადაა მითითებული: „შემოსნირა წმიდასა და განმაცხოველებელსა ჯვარის მონასტერსა და ცხოველსმყოფელსა აღსადგინებელსა საფლავსა უფლისასა და საუფლოთა სისხლითა მიერ მორწყულსა წმიდასა გოლგოთასა"[1].

გოლგოთისა და ქრისტეს საფლავის ეკლესიები, როგორც ზოგადქრისტიანული უმაღლესი რანგის რელიქვიები, საუკუნეთა მანძილზე იზიდავდა და თავის ჭერქვეშ აერთიანებდა სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ქრისტიანებს. ამავე დროს, ეს, თავისი არსით ერთიანობისა და თანხმობის სიმბოლოები, თანდათანობით, მუდმივი და მნიშვნელოვანი განხეთქილების მიზეზიც გახდა იერუსალიმში მყოფ ქრისტიან ხალხებს შორის, რადგან თითოეული მათგანი ცდილობდა აღდგომის ტაძარში, განსაკუთრებით კი გოლგოთაზე, ადგილის მოპოვებას და თავისი განსაკუთრებული უფლებების დასაბუთებას. ამ მხრივ არც ქართველები წარმოადგენდნენ გამონაკლისს. ქართველებსა და სხვა ქრისტიან ხალხებს შორის არ წყდებოდა დავა გოლგოთაზე უპირატესობის მოპოვებისათვის და, როგორც დოკუმენტური წყაროები გვამცნობენ, XI-XVI საუკუნეებში ამ ბრძოლაში ქართული კრებული ხშირად წარმატებასაც აღწევდა[2].

---

[1] სცსა 1450-51/178.

[2] ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 013, 0182, 0185; გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, გვ. 6-7; ალ. აბდალაძე, სომხურ ხელნაწერთა XIV-XV საუკუნეების ანდერძების (პიშატაკარანების) ცნობები

XVI საუკუნიდან იერუსალიმის მართლმადიდებლურ საპატრიარქოში პრიორიტეტი მოიპოვა ბერძნულმა კრებულმა. რამდენიმე ხნის შემდეგ იერუსალიმის საპატრიარქო, რომელიც უკვე მხოლოდ ბერძენი სასულიერო პირებისაგან შედგებოდა, მართლმადიდებელთა შორის აღდგომის ეკლესიის მთავარი მფლობელი გახდა, ხოლო XVII საუკუნის მიწურულისათვის იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს საკუთრებაში გადავიდა იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრები და, მათ შორის, რასაკვირველია, ჯვარიც[3].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართულ საისტორიო საბუთებში დადასტურებული შეწირულების ადრესატის ფორმულირება შესაძლოა იწვევდეს ერთგვარ გაუგებრობას. კერძოდ, ნათელი არ არის ვინ იგულისხმება საქართველოში იერუსალიმისადმი შეწირული ქონების მიმღებად: იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, იერუსალიმის ქართული კოლონია თუ ორივე ერთად. ამ კითხვას შევეცდებით მოგვიანებით ვუპასუხოთ. მანამ კი, იერუსალიმის მიწათმფლობელობის შესახებ საუბრისას, ვისარგებლებთ შეწირულების იმ ფორმულირებით, რომელიც კონკრეტულ საბუთში იქნება დადასტურებული, ან გამოვიყენებთ ზოგად ტერმინს – „იერუსალიმისა", რომელიც ხშირად გვხვდება საისტორიო საბუთებში[4].

იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობას საქართველოში განვიხილავთ გვიანი შუასაუკუნეების პოლიტიკური ერთეულების – სამეფო-სამთავროების მიხედვით[5].

---

საქართველოს შესახებ. თბ., 1978, გვ. 57-59, 88...; ე. მამისთვალიშვილი, ქართველები და ბიბლიური სამყარო, გვ. 99-114.

ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0189.

მაგალითად, XVII საუკუნის ერთი საბუთი, რომელშიც ჩამოთვლილია ამილახორის სადროშოში შემავალი სენიორიები, გვამცნობს: „ქ. არის ბატონის ამილახორის დროშაზედა: ბატონიშვილი გიორგი, ერთობილნი ზევდგინიანი, ფავლენიანი, რაც გორს ზეით ან სადედოფლო არის, ან სუეტის ცხოველისა და იელუსარემისა..." (დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 289).

ნაშრომს ერთვის იერუსალიმის სამონასტრო საკუთრების განლაგების სქემები ყოველი განხილული რეგიონისათვის. სქემების შედგენისას, ძირითადად, ვიყენებდით კავკასიის მხარის ხუთვერსიან (Карта Кавказского Края, 1913 წ.) და საქართველოს ტოპოგრაფიულ (1:100 000) რუკებს. რუკებით სარგებლობის ნებართვისა და გაწეული კონსულტაციებისათვის მადლობას ვუხდით საქ. მეცნ. აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილების გამგეს ჯ. კეკელიას.

## § 1. ქართლის სამეფო

### I. თბილისი

### ჯვარისმამის ეკლესია

თბილისში, იერუსალიმის საკუთრების მიმოხილვისას, პირველ რიგში, დავასახელებთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქს, ანუ მისი ნაცვალს, ჯვარისმამის ეკლესიას.

სიტყვა „მეტოქი" მომდინარეობს ბერძნული „μετοχή"-დან, რაც „თანამონაწილეობას, მოზიარეობას" ნიშნავს[6]. ქართველი ლექსიკოგრაფებისა და მეცნიერების მიერ „მეტოქის" მნიშვნელობა, ძირითადად, ერთნაირადაა განმარტებული. „მეტოქი" არის: „სამყოფი მონაცვალე"[7]; „დროებითი სადგომი ეპისკოპოსთა, ანუ არქიმანდრიტთა, Подворье, μητοχε – ეკლესიითურთ სხვა ეკლესიაში (ეპარქიაში? – ნ. ხ.). ამისგან დაურქმევიათ საქართველოში რომელიმე ეკლესიისათვის მეტეხი. მდაბიონი მეტოქედ უხმობენ მოცილესა"[8]; „მონასტრის კუთვნილი დაქვემდებარებული ეკლესია მამულით"[9]. ივ.ჯავახიშვილი „ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი" და ათონის აღაპებიდან მოტანილი მაგალითების განხილვისას წერდა: „მეტოქის დამახასიათებელ თვისებას ის გარემოება შეადგენდა, რომ იგი მონასტრის „გარეთ" მდებარეობდა, ხშირად ძალზე მოშორებითაც... მეტოქებში ხილნარები და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგის უძრავი ქონება ჰქონიათ. ამასთანავე, იქაც არაერთი ისეთივე სამეურნეო დანესებულება იყო, რომელიც თვით მონასტერში არსებობდა, როგორც მაგ. სავაჟინრო, სამზარეულო და სხვაც. დასასრულ, მეტოქებში, რასაკვირველია, ეკლესიაც იყო. ამგვარად, ირკვევა, რომ მეტოქი მონასტრის ერთნაირი ახალშენი და განყოფილება იყო, რომელიც მთავარი, დედა მონასტრისათვის საჭირო სამეურნეო, ან სხვა რაიმე მიზნებს, მაგ. მიმოსვლისას, ვითარცა გზაზე სადგომი და სასტუმრო ემსახურებოდა"[10]. მეტო-

---

[6] Древнегреческо-Русский словарь, т. II, 1958, გვ. 1088.

სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1966.

[8] დ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

[9] ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზულებათა სრული კრებული, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 39.

ქის მნიშვნელობას ვ. დონდუა ასე განმარტავდა: „არსებითად, მეტოქი ბინა და ბაზაა, სხვაგან (ქალაქგარეთ, საზღვარგარეთ) დადებული მონასტრის მიერ, რომელიც ამ ბაზაზე დამყარებით, თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, ეწევა გარეთ შეძენილი „აგარაკებისა" თუ სოფლების ექსპლუატაციას, აწყობს, რა თქმა უნდა, კალმასობასაც"[11]. მეტოქი, შესაძლოა, ყოფილიყო სახლიც. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ აღაპში ნათქვამია: „ამავე დღესა აღაპი და პანაშკდი ობედ ებნი სურურ ებნუ სალამ შემოგუწირა რამლას მისი სახლი მეტოქედ"[12]. 1630 წელს თეიმურაზ I-ის მიერ გაცემულ ერთ საბუთში არსენი საფარელისადმი ნათქვამია: „მას ჟამსა, ოდეს უღმთოთა მოჰმადიანთა მიერ მონასტერნი თქუენნი ყოვლად დიდებული მოოჴრებულ იყო... მამულნი, მეტოქნი, სოფელნი, დაბანი და აგარაკნი ნაჴდომილ იყუნეს[13]". შიდა ქართლის სოფ. ქვემო ხვითის ეკლესიის 1662 წლით დათარიღებულ წარწერაში თაქთაქიძე მროველი იოანე წერს: „აღვაშენე საყდარი ესე ვარძიისა ღვთისმშობლისა მეტოქედ ჩვენს ნასყიდ ალაგზედ..."[14].

ჯვარისმამის ეკლესია, როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრისა და საქართველოში მისი ყმა-მამულის გამგებლის, „ჯვარის მამის" ადგილსამყოფელი იყო – „იერუსალიმის ჯვარის მამათა სადგური"[15]. ეკლესია მდებარეობს ძველ თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის მოპირდაპირე მხარეს (დღევანდელი იერუსალიმის ქუჩა, № 8). ჯვარისმამის ეკლესიის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „ეკლესია ჯვარის, გუმბათიანი, მშვენიერი. განაახლა ან იმერლისშვილმან"[16]. თუმცა თბილისის გეგმაზე ეს ეკლესია მას აღნიშნული არა აქვს[17]. 1785 წლის თბილისის

---

[11] ვ. დონდუა, კალმასობა, როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა ძველ საქართველოში, თბ., 1949, გვ. 51-52.

[12] ელ. მეტრეველი, მასალები..., აღაპი 4ა, გვ. 79.

[13] საქართველოს სიძველენი, III, № 559, გვ. 558.

[14] დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ზემო ქართლი – თორი, ჯავახეთი) თბ., 1985, გვ. 121.

[15] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა, თბ., 1978, გვ. 5.

[16] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 55.

[17] ვ. ბერიძე, XVIII საუკუნის თბილისი ვახუშტის გეგმის მიხედვით, ანალები, თბ., 1947, გვ. 139.

გეგმაზე, რომელიც შედგენილია პიშჩეჩევის მიერ, ჯვარისმამა ქართულ ეკლესიათა რიგშია მოხსენიებული, ხოლო 1800 წელს კაპიტან ჩუიკოს მიერ შედგენილ გეგმაზე კი ბერძნულ ეკლესიადაა აღნიშნული[18]. ჯვარისმამის ბერძნულ ეკლესიად მოხსენიება XIX საუკუნის დასაწყისში სავსებით გასაგებია, რადგან ამ დროისათვის მისი წინამძღვრები უმთავრესად იერუსალიმიდან ჩამოსული ბერძენი სასულიერო პირები იყვნენ.

პლატონ იოსელიანი, ჩვენთვის უცნობ რომელიღაც წყაროზე დაყრდნობით, წერდა, რომ იერუსალიმის საპატრიარქოს უკვე V საუკუნეში ჰქონია თბილისში თავისი მეტოქი ეკლესია, რომელიც დანგრეულა XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგის შემოსევების შედეგად. მოგვიანებით, მის ნანგრევებზე აშენებულა ახალი, დღემდე არსებული. პლ. იოსელიანი, გარდა ამისა, აღნიშნავდა, რომ ჯვარისმამის ეკლესია თავისი არსებობის მანძილზე იყო მეტოქი იერუსალიმის სამი ქართული მონასტრისა: ილია წინასწარმეტყველისა, ჯვრისა და წმინდა იაკობისა.[19] შესაძლოა, პლატონ იოსელიანს, როგორც საქართველოს უმაღლეს სასულიერო წრეებთან დაახლოებულ და საეკლესიო ტრადიციის შესანიშნავად მცოდნე პირს, მართლაც ჰქონდა სარწმუნო ცნობები ჯვარისმამის ეკლესიის შორეული წარსულის შესახებ, მაგრამ ჩვენამდე, სამწუხაროდ, მათ არ მოუღწევიათ. რაც შეეხება დღემდე არსებულ ნაგებობას, იგი XVI-XVII საუკუნეების მიჯნით თარიღდება[20].

დოკუმენტური ცნობები ჯვარისმამის ეკლესიის შესახებ მხოლოდ XVII საუკუნის დასასრულიდან გვხვდება. კერძოდ, ჯვარისმამის ეკლესია იხსენიება ერეკლე I-ის მიერ გაცემულ ორ საბუთში. პირველი დოკუმენტი 1692 წლითაა დათარიღებული. როგორც ჩანს, ნაზარალიხანს (1688 წელს იგი ქართლში გამეფდა) დაინტერესებულმა პირებმა სთხოვეს ყურადღება მიექცია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ტაძრისათვის, რომელიც დახმარებას საჭიროებდა. ამის საფუძველზე გაცემულ სიგელში ნათქვამია: „მოკითხული

---

[18] გეგმებს ვუთითებთ მ. ბერძნიშვილის წიგნიდან „თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბ., 1965.

[19] **Иосселиани Пл.**, Описание древностей г. Тифлиса, თბ., 1860, გვ. 61-63.

[20] ვ. ბერიძე, XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, გვ. 25, 26.

ვქენით და აქ, ქალაქში, ჯვარის მონასტრის მეტოქი საყდარი ყოფილიყო. ჟამთა ვითარებისაგან იქ, იმ საყდრის გარშემო, სომხები დასახლებულიყვნენ. ისინი იქიდამ ავყარეთ და ის ალაგი, ვითაც ჯვარის მონასტრისა ყოფილიყო, ის ჯვარის მონასტერს შევწირეთ და ჯვარის მამა პართენს უბოძეთ"[21]. ორი წლის შემდეგ, 1694 წელს, ნაზარალიხანს ისევ გაუცია საბუთი ჯვარისმამის ეკლესიასთან დაკავშირებით: „ან ვიხილეთ ტფილის ქალაქსა შინა მეტოქი ჯვარის მონასტრის ეკლესია ჟამთა ვითარებისაგან აოხრებულიყო. განვანმენდინეთ და წმინდით აიაზმით ვაკურთხებინეთ ტფილელ მიტროპოლიტს დომენტის"[22]. იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ ეკლესიის მახლობლად მცხოვრები ორი კომლი, ვინმე ყუთლუაშვილები ჯვრის მონატრისათვის შეუწირავთ და, როგორც ამგვარ შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე, ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადებისაგან გაუთავისუფლებიათ. როგორც ჩანს, პირველი სიგელის გაცემის შემდეგ ჯვარისმამის ეკლესიის მდგომარეობა მაინცდამაინც არ გამოსწორებულა და ნაზარალიხანს კვლავ დასჭირებია განკარგულების გაცემა მისი განმენდის თაობაზე. საინტერესოა ისიც, რომ ეკლესიის მახლობლად მცხოვრები მოქალაქეები, ან მათი ნაწილი მაინც, ამ განკარგულების საფუძველზე ძველ ადგილას დარჩენილან, მაგრამ უკვე როგორც ჯვარისმამის ეკლესიის ყმები: „რადგან საყდრის გალავანსა და მამულში ესახლნენ, ისინიცა შემოგწირეთ, ყუთლუას შვილი მჭედელი ყაზარა და მისი ბიძაშვილი ბალდასარა და მათი სახლის კაცნი რისაცა მქონებელნი იყვნენ, ყოვლითურთ თქვენთვის შემოგვეიწირავს".

მოტანილი საბუთებიდან ჩანს ისიც, რომ ნაზარალიხანს ოფიციალურად უცვნია ჯვარისმამის ეკლესია იერუსალიმის მეტოქად. ამიტომ, ერთგვარ გაკვირვებას იწვევს 1701 წელს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ ნაზარალიხანისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამი: „მიეცით ერთი ეკლესია თბილისში ჯვრის მონასტერს"[23]. პატრიარქი დოსითეოსი ორჯერ იყო საქართველოში,

---

[21] დოკ. თბილ. ისტ. № 107, გვ. 126. ამ საბუთის შესახებ იხ. აგრეთვე ბ. არველაძე, Армянские или грузинские церкви в Грузии?!, თბ., 1996, გვ. 32-33.

[22] სცსა 1450-51/177.

[23] Послания Иерусалимского патриарха Досифея в Грузию, თბ., 1960, გვ. 8.

1647-1650 და 1681 წლებში[24] და ძნელი წარმოსადგენია, რომ მას არ სცოდნოდა თბილისში ჯვრის მონასტრის მეტოქის არსებობის ფაქტი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად ნაზარალიხანის მცდელობისა ჯვარისმამის ეკლესია აღნიშნულ პერიოდში მაინც არ მოქმედებდა.

ჯვარისმამის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის თავზე XX საუკუნის მიწურულამდე შენარჩუნებული იყო ქვის ფილა (დღეისათვის ის მოხსნილია), რომელზედაც ამოკვეთილია XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მოღვაწე ჯვარის მამის ბენედიქტე ვიტინელის წარწერა: „წელსა 1794 წარმოვლენილმან წმიდისა საფლავით საქართველოსა შინა 30 წელიწადსა ვმართე სისხლადმდე შრომილით ღუაწლითა ყმანი და ადგილნი მისნი და უკანასკნელ დროსა როსიის ერთმთავრისა ალექსანდრე პირუმლისასა წელსა ჩყკე 1825 აღვაშენე ახლითა საფუძუმლითა კარის ბჭე ესე სამრეკლოჲთურთ, რომელიც შევაერთე ძველად ნაშენსა ეკლესიისა ტაძარსა ამას ცხოველს მყოფელისა ჯუარისასა და ეგრეთმ აღუაშენე სასახლენი გარემოს ამისსა მდგომარენი და შევსძინენ ყმანი და მოვუპოვენ სამსავე სამეფოსა შინა, ესე იგი ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა შინა დაკარგულნი, მე, ჯუარის მამამან, ბერძენმან არხიმანდრიტმან ვენედიქტე ვიტინელმან "[25].

ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე, მარცხენა მხარეს, არის ქვის ფილა ბერძნულ-რუსულ-ქართული წარწერით:

ΑΡΧΙΜΑΝΔΡΙΗΣ ΙΕΡΟΘΕΟΣ ΣΑΜΙΟΣ ΑΝΕΠΑΥΘΗ ΕΝ ΚΥΡΙΟ ΤΗ 12 ΝΟΕΜΒΡΙΟΥ. 1896 АРХИМАНДРЫТ ИЕРОТЕОСЬ. არხიმანდრიტ იოროტეოს.

ბერძნული წარწერის ქართული თარგმანია: „არქიმანდრიტი იეროთეოს სამოსელი განისვენებს ღმერთში. 12 ნოემბერი, 1896 წ."[26].

თუ შევაჯამებთ ზემოთ მოტანილ ცნობებს, მივიღებთ შემდეგ სურათს: ჯვარისმამის ეკლესია აშენებულა XVI საუკუნის ბოლოს

---

[24] Цагарели А., Памятники ..., გვ. 70.

[25] ვ. დონდუა, კალმასობა..., გვ. 64; ვ. ბერიძე, XVII-XVIII საუკუნეების..., გვ. 28.

[26] ბერძნული წარწერებისა და სიტყვების თარგმნისას ვსარგებლობდით ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლის თ. ოთხმეზურის კონსულტაციებით.

– XVII საუკუნის დასაწყისში; XVII საუკუნის 90-იანი წლებისათვის გაუნმენდინებია ნაზარალიხანს. XVIII საუკუნის I მეოთხედში ის განუახლებია ვინმე იმერლისშვილს; 1825 წელს სამრეკლო და კარიბჭე აუშენებია ჯვარის მამა ბენედიქტეს. გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ ეკლესია შეუკეთებიათ XIX საუკუნის 50-იან წლების მინურულს. არქიმანდრიტ პროკოფიოსს განუახლებია ეკლესია და კვლავ უკურთხებიათ ის 1861 წელს[27].

ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, ერთი გარემოება: წყაროებში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი ეკლესიის სახელი რამდენიმენაირადაა მოხსენიებული. ნაზარალიხანის მიერ გაცემულ საბუთებში იგი ინოდება „ჯვარის მონასტრის საყდრად". ვახუშტი ბაგრატიონთან – „ეკლესია ჯვარის". ანტონ კათალიკოსი მას უწოდებს „ჯვარისმამის მონასტერს", ხოლო გიორგი ავალიშვილი – „ჯვარის ამაღლების ეკლესიას". „ჯვარის ამაღლების ეკლესიადაა" იგი მოხსენიებული 1884 წელს შედგენილ ეკლესიების ნუსხაშიც[28].

ჯვარის მამის ეკლესიაში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირთაგან შევჩერდებით ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მათგანზე, დეკანოზ იოანეზე, რომელსაც გარკვეული კვალი დაუტოვებია XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში. პლატონ იოსელიანი წერს: „1751 წელს მოვიდა იერუსალიმით დროებით მუნ წარსრული დეკანოზი ესე იოანე, ძე გარსევანისა დეკანოზისავე, მოძღვრიშვილად გვარ-წოდებული. ესე იყო კაცი განსწავლული, დიდი მწიგნობარი, მწერალი წიგნთა და მცოდნე დროთა მათ, ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა ძველადგან ქართველთა შორის ნაქონთა"[29]. იერუსალიმში წასვლამდე იოანე, როგორც ჩანს, ჯვარისმამის ეკლესიაშივე ყოფილა მღვდლად[30]. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იოანეს თხოვნით მიუმართავს ანტონ კათალიკოსისათვის, რათა მისთვის ჯვარის საყდრის დეკანოზობა ებოძებინა: „პატრიარქისაგან იერუსალიმისა ქებითისა წერილითა მისრული ევედრა კათოლიკოსსა ანტონის პირველსა, რათა მიუბოძოს მას ადგილი

---

[27] Иосселиани Пл., Описанис ..., გვ. 65.

[28] Ad-799.

[29] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 5.

[30] ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, თბ., 1913, გვ. 67.

დეკანოზობისა ჯვარის ეკლესიასა, იერუსალიმისა ჯვარის მამათა სადგურსა"[31]. კათალიკოსს შეუწყნარებია მისი თხოვნა და იოანესთვის მიუცია შემდეგი სიგელი: „შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჯვარისმამის მონასტრის დეკანოზს იოანეს, ასე და ამა პირსა ზედან. შენ უსარჩოობასა და უსამწყსოობას სჩიოდით. აწ ვისმინეთ და აჯა და მოხსენება თქვენი, ვიგულვეთ და ვიგულსმოდგინეთ, ვითარცა უსარჩოვო და უსამწყსოვო იყავ, ჩვენცა შეგიწყალეთ და გიბოძეთ: ქალაქში ვინცა ვინ უხუცო, ეული და მოსული კაცი იყოს, ან უხუცო რომ სხვას მღვდელს არ ეხუცებინოს და მისსა არ გაევლოს, შენთვის წყალობა გვიქმნია და გვიბოძებია, სჯულიერის წესით მწყსიდე და ასწავებდე. და ამას გარდა შენის სახლის ხუცობაც შენთვის გვიბოძებია და წყალობა გვიქმნია ჩღნბ. ქორონიკონსა უმ. თვესა დეკენბერსა ია" (1752. 12.XII.)[32].

პლატონ იოსელიანი სიტყვებს არ იშურებს, რათა სათანადოდ წარმოაჩინოს დეკანოზ იოანეს ნიჭი და წარჩინებული მდგომარეობა. იგი ყოფილა გიორგი ბატონიშვილის (გიორგი XII) ქართულის მასწავლებელი, ერეკლე II-ისა და დარეჯან დედოფლის მოძღვარი. კათალიკოსი ანტონი კი „იყოლიებდა მას ვითარცა მეგობარსა და თავისთანა მარადის თანამზრახველად". პლატონ იოსელიანის მიხედვით იოანე გარდაცვლილა 1782 წელს.

იოანე ჯვარის დეკანოზი ცნობილია როგორც კალიგრაფი და გადამწერიც. მას გადაუწერია შემდეგი ხელნაწერები: „სპეკალი" – 1752 წ. (A-1743); „სვინაქსარი" – 1757 წ. (S-64); „სჯულის კანონი" – 1758 წ. (H-1373); „დიალექტიკა" – 1760 წ. (S-131). „პროკლე დიადოხი" – 1760 წ. (A-1162); ბარათაშვილისეული „ქართლის ცხოვრება" – 1761 წ. 24.IV. (S-3666)[33]. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ერთ ხელნაწერზე (ალ. ცაგარლის მიხედვით № 146) არის ასეთი მინაწერი, დათარიღებული 1766 წლით: „ჩღჲვ ქრისტეს აქეთ, ოკდომბერს, მე, იოანე უღირსი მოძღუარი ღირს ვიქმენ წმიდა ამას

---

[31] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 5.

[32] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 5; ქსძ, ტ.II, თბ., 1970, გვ. 1105.

[33] მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, თბ., 1983, გვ. 52-53; ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967, გვ. 127.

აღდგომასა მოსვლად და თაყვანისცემად". მაქსიმე ბერძნიშვილი ვარაუდობდა, რომ აქ მოხსენიებული იოანე იყო თბილისის ჯვარის ეკლესიის დეკანოზი[34].

## ჯვარის მამის სახლი

1678 წელს გიორგი XI-ს ჯვარის მამისა და მონასტრის ბერისათვის (იგულისხმება იერუსალიმის ჯვრის მონასტერი) უბოძებია სახლი: „გკადრეთ და მოგახსენეთ ცხოველს მყოფელს ჯვარის მონასტერსა მცირე ესე შესაწირავი. ვითარცა ქალაქში თქვენის მონასტრის ბერსა და ჯვარის მამას სახლი არა ჰქონდა, შემოგწირეთ ქალაქს გალავანს გარეთ, კარის პირდაპირ, მამუკას ნაქონი სასახლე. ერთი მიდგმა არის დათუნას სახლის კედელი, მეორე მიდგმა არის შიოშ ზედგენიძის სასახლე"[35]. ჯვარის მამის სახლის მდებარეობა საკმაოდ ზუსტად აქვს გარკვეული მ. ბერძნიშვილს. „კარის პირდაპირ" გულისხმობს „წყლის კარს" ანუ „ქვემო კარს". ეს სახელწოდება მას შეერქვა იმის გამო, რომ იგი თბილისის სხვა კარებთან შედარებით უფრო დაბლა, ქვევით იყო, დაახლოებით შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების კუთხეში. ეს რაიონი ცნობილია ანჩისხატის ქუჩის სახელით და იმდროისათვის ყველაზე არისტოკრატიული უბანი იყო თბილისში. მეფისა და ბატონიშვილების გარდა, აქ ცხოვრობდა ბევრი საერო და სასულიერო წარჩინებული პირი. ამ ქუჩას შეიძლება ქალაქის ცენტრალური ქუჩაც ვუწოდოთ. ანჩისხატის ქუჩის მარცხენა მხარეს (ზურგით წყლის კარისაკენ) მდებარეობდა თამარ ბატონიშვილის, ვახტანგ V-ის ასულის, ნამზითვი ამილახვარის სასახლე. თამარის მეუღლე, გივი ამილახვარი, ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ამ ქუჩაზე დასახლდა. ამ სასახლეს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა. მისი სამხრეთი კედელი ებჯინებოდა ანჩისხატს.

---

[34] მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები..., გვ. 53.

[35] დოკ. თბილ. ისტ., № 28, გვ. 32. დასახელებულ პირთაგან დათუნა შეიძლება იყო შაჰ-ნავაზის (ვახტანგ V) კარის დეკანოზი (ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, № 125, გვ. 293, საბუთი გაცემულია 1661წ.). შიოშ ზედგინიძე კი შაჰ-ნავაზის მიერ 1674 წელს გაცემულ ერთ საბუთში იხსენიება როგორც ბატონიშვილ გიორგის სახლთხუცესი (საქ. სიძვ. II, № 198, გვ. 239).

ეს სასახლე ვახუშტის გეგმაზეცაა აღნიშნული ანჩისხატის ჩრდილო კედლის გვერდით[36]. 1770 წლისათვის ჯვარისმამის წინამძღვარს თავის მეზობლად იხსენიებს ალექსანდრე ამილახვარი. ესე იგი, ჯვარის მამის სახლი მდებარეობდა ანჩისხატის ქუჩაზე, წყლის კარის შიგნით, დაახლოებით ამილახვრების სახლის მოპირდაპირე მხარეს[37].

თბილისში ჯვარის მამას უფრო ადრეც ჰქონია სახლი, მაგრამ ის მისივე ფულით იყო აშენებული. ამას იტყობინება 1666 წლის ერთი საბუთი, გაცემული ჯვარის მამა მელეტიოსის მიერ. მელეტიოსი იმ ხანებში თბილისიდან აპირებდა წასვლას იერუსალიმში და თავისი სახლი, გაქირავებისა და გაყიდვის უფლებით, ჩაუბარებია იოსებ თბილელისათვის. საბუთში ნათქვამია: „კურთხეულმან ელისე საყდრის ალაგი მიბოძა და მე ავაშენე. და მას უკან მე ჯვარის მამად დამაყენეს. მე იერუსალიმს წაველ და ის სახლ-კარი თქვენ მოგაბარე ამანათად. რომ რაც ქირა იყოს თქვენი აიღოთ, ნაშენებისა მე შამინახოთ, საყდრის წილი და სამართალი რაც იყოს, თქვენი დაიჭიროთ"[38]. მელეტიოსის სახლის მდებარეობა საბუთში მითითებული არ არის. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი სიონის მინაზე მდებარეობდა და მელეტიოსის საკუთრება იყო. ამისგან განსხვავებით, 1678 წელს გიორგი XI-ს სახლი გადაუცია არა რომელიმე კერძო პირისათვის, არამედ ჯვრის მონასტრისათვის და შემდგომში, ალბათ, იქ ცხოვრობდა ყველა ის ჯვარის მამა, რომელიც ჩამოდიოდა საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის გამგებლად. ჯვარის მამის სახლი იხსენიება 1749 წლის ერთ საბუთშიც. მის უკან ქარვასლა ჰქონიათ ბებუთაშვილებს[39].

## ქარვასლა

სამონასტრო ქონება მხოლოდ ყმა-მამულს არ გულისხმობდა. მსხვილი მონასტრების საკუთრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა შემოსავლის ისეთ წყაროებს, როგორიც იყო სხვადასხვა სახის სანარმოები, სახელმწიფო ბაჟის ნანილი და სხვ. ჯვრის მონასტერს თბილის-

---

[36] მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე..., გვ. 8.

[37] იქვე, გვ. 10.

[38] Ad-650. ქრონიკები, II, გვ. 483-484.

[39] დოკ. თბილ. ისტ. № 180. გვ. 214.

ში ჰქონია საკუთარი სასტუმრო სახლიც – ქარვასლა. 1719 წლის 2 აპრილს გაცემული საბუთით მეფე ბაქარი უახლებს ჯვრის მონასტრის ქარვასლას დაცვის სიგელს, რომელიც უფრო ადრე გაუცია გიორგი XI-ს: „მეფე პატრონს გიორგის ტფილისის ქალაქს ჯვრის მონასტრის ქარვასლისათვის ასეთი წიგნი ებოძებინა, რომე ვერა მოძალადე და უნებური მდგმური ვერ დადგებოდა, ვერცავინ იქიდამ ვერას დაჭირებისათვინ ცხენს ვერ გამოიყვანდა. ჯვარის მონასტრის ქარვასლაში ნურც თავადი, ნურც აზნაურნი, ნურც სტუმარნი და გლეხნი ძალად ნურავის დაუყენებთ ნურას დაჭირებისათვინ"[40]. აღნიშნულ საბუთშივე ნათქვამია, რომ „ეს წიგნი" (გიორგი მეფის მიერ გაცემული საბუთი – ნ. ხ.) „ჯვარის მამა პართენის გაჰყვაო". ქარვასლის მდებარეობა საბუთში არაა მითითებული. არ არის იგი აღნიშნული არც ვახუშტის მიერ შედგენილ გეგმაზე. პლატონ იოსელიანი თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის აღწერისას წერს, რომ მას უნახავს სიგელი, რომლის მიხედვითაც მეფე გიორგი XI-ს 1678 წელს უბოძებია იერუსალიმისათვის ქარვასლა შაჰ-აბასის მიერ აოხრებულ ადგილებში, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზეო (რადგან პლატონ იოსელიანი ამ საბუთს იმოწმებს ჯვარისმამის ეკლესიის აღწერისას, ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, რომ ქარვასლის მდებარეობის ადგილად სწორედ ამ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას გულისხმობდა). როგორც ვხედავთ, 1719 წლისათვის ეს ქარვასლა მოქმედებდა.

## ნაკვეთი ვანქის სასაფლაოსთან

ზემო ქართლის სარდალს გივი ამილახორის შვილს გიორგის, მის ძმასა და ძმისწულებს 1709 წელს შეუწირავთ იერუსალიმისათვის საკუთარი ნასყიდი ადგილი „ქალაქს გალავანს გარეთ, ხევს გაღმა, მოედნისაკენ, ვანქის სასაფლაოსთან, ქალაქისაკენ". ადგილის ფართობი ყოფილა სიგრძით ორმოცდახუთი ადლი, ხოლო სიგანით – ოცდახუთი. ამის სანაცვლოდ იერუსალიმის პატრიარქს ყოველ წელს, აღდგომის დიდ შაბათს, ჟამი უნდა ეწირა მათი მამისა და დედის, თამარ ბატონიშვილისათვის. გარდა ამისა, ქრისტეს საფლავზე ერთი დაუნელებელი კანდელი უნდა ნთებულიყო[41].

---

[40] დოკ. თბილისის ისტ. № 100. გვ. 119-120.
Ad-1741.

ვანქის უბანმა სახელი მიიღო იქ მდებარე სომხური ეკლესიისაგან. ეს უბანი მდებარეობდა მუხრანთუბანსა და ორბელიანების უბანს შორის, მდინარე მტკვრის ნაპირზე. ვანქის დასავლეთით იყო სომეხთა სასაფლაო, რომელსაც, როგორც ეს ვახუშტისა და პიშჩევიჩის გეგმებიდან ჩანს, საკმაო ადგილი სჭერია[42]. ამილახვრების მიერ შეწირული მიწის ნაკვეთიც ამ სასაფლაოსა და ქალაქს შორის მდებარეობდა.

ამ შეწირულებასთან დაკავშირებით მოგვეპოვება კიდევ ერთი საბუთი, დათარიღებული 1711 წლის 4 მარტით, საიდანაც ვგებულობთ, რომ ამ ნაკვეთის შეწირვა იერუსალიმელი არქიმანდრიტის, პაპა სერგის ინციატივით მომხდარა.[43]

## სახლები

თბილისში იერუსალიმის ერთ-ერთ საკუთრებად იხსენიება ზარაფ ზალინას სახლი. 1702 წელს ნაზარალიხანის მიერ გაცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: „როდესაც შაჰ-სულეიმან ყეენმა ქართლი გვიბოძა, მოვიდა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ბერი, მღვდელ-მონაზონი, პროტოსინგელოსი პაპა სერგიოს და მოგვახსენა: ზარაფ ზალინას სახლ-კარი ჩვენი იყოო". მეფემ მოიკითხა, მართალი აღმოჩნდა და რადგან სიგელი დაკარგული იყო, მან კვლავ დაამტკიცა და განაახლა ზარაფ ზალინას სახლ-კარის შეწირულება: „...მოგეცით ზარაფ ზალინას სახლ-კარი თავისის გალავნითა, ბაღითა და სახლ-კარითა"[44]. ზარაფ ზალინას სახელი სხვა საბუთებშიც გვხვდება. იხსენიება ზარაფ ზალინას ბაღი, რომელიც გარეთუბანში მდებარეობდა[45] და ზარაფ ზალინას ქულბაქი[46]. თუმცა თვითონ სახლის ადგილმდებარეობის შესახებ საბუთებში არაფერია ნათქვამი.

თბილისში იერუსალიმის საპატრიარქოს სახლების შესახებ იტყობინება 1799 წელს გაცემული ერთი საბუთი ჯვარის მამის ვექილის,

---

[42] მ. ბერძნიშვილი, თბილისის გარეგანი სახე... გვ. 48; თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორიიდან, თბ., 1977, გვ. 56.

[43] Ad-2048.

[44] სცსა 1450-51/227.

[45] სცსა 1450-51/4.

[46] დოკ. თბილ. ისტ. № 108, გვ. 127.

ბენედიქტეს მიერ. „...ქალაქში წმიდის საფლავისათვის სახლები შეეწირათ კეთილმსახურთ მეფეთა, ის სახლები ჯვარის მამას ქრისტეს საფლავის ყმის, იმერლის შაქაროსათვის ებოძებინათ. ის იმერელი შაქარო ამონწყვეტილიყო და ცოლი დარჩენოდა და ის სახლები იმ ქვრივს დაეგირავებინა ხარაზ გიორგისთან ოცდახუთ თუმნად. ის სახლები დამნვარიყო ქალაქის ალა-მაჰმად ხანის ნახდენაში". ეს ცარიელი ადგილი ჩაუბარებიათ ქრისტეს საფლავის ყმის, ავეტიქა მუშკიაშვილისათვის სამკვიდროდ. მას არ ჰქონდა მისი გაყიდვის ან დაგირავების უფლება ქრისტეს საფლავის ყმის გარდა სხვა პირზე[47].

## იერუსალიმის ყმები

1696 წელს ნაზარალიხანმა თბილისში ქრისტეს საფლავის ყმები გაათავისუფლა ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისაგან. მათ თავიანთი გამოსაღები უნდა მიერთმიათ მხოლოდ ქრისტეს საფლავისათვის[48]. 1702 წელს ნაზარალიხანმა კვლავ გასცა საბუთი იერუსალიმის ყმების შესახებ. ამ ყმებს შორის დასახელებულია ერთი ბაზაზი (ფართლეულით მოვაჭრე) და ერთიც ბაყალი (სანოვაგით მოვაჭრე). ისინი თავისუფლები იყვნენ დუქნების გადასახადისაგან. იხდიდნენ მხოლოდ ქირას ან გირაოს ფულს იმ შემთხვევაში, თუ სხვის დუქანში ისხდნენ[49].

1800 წელს გიორგი XII-ს სახასო ყმა თბილისში ბურთიკაშვილი ავეტიქა და მისი ძმა ხეჩატურა თავიანთი შვილებით გაუთავისუფლებია ყოველგვარი გადასახადისაგან და შეუწირავს წმინდა საფლავისათვის. საბუთში ჩამოთვლილია მათი ქონებაც: მამული, ბაღი და წისქვილი[50].

ქალაქში მცხოვრებ საეკლესიო ყმებს, მსგავსად დედოფლის მოქალაქეებისა, სამეფო მოქალაქეებისაგან განსხვავებით, საეკლესიო მოქალაქეები ენოდებოდათ. ასეთი იყო მოქალაქე ზურაბ კუტალაე-

---

[47] Qd-848.

[48] დოკ. თბილ. ისტ. № 49, გვ. 55.

[49] სცსა 1450-51/225.

[50] სცსა 1450-51/193.

ვი, რომელიც ქართველ მეფეთა მიერ იერუსალიმის ეკლესიისათვის ყოფილა შენირული. აღსანიშნავია, რომ დარჩია ბებუთოვი უდასტურებს ზ. კუტალაევს, რომ ის „საეკლესიო მოქალაქის წოდებაში" იმყოფება[51]. ამგვარადვე უჩვენებენ თავიანთ განმარტებებში მოქალაქენი პეტრუზა და პოლოსა კოტოანთ საანოვები, რომ ისინი, როგორც იერუსალიმის ეკლესიისადმი შენირულნი, „საკათალიკოზო მოქალაქეთა" თანაბრად არიან მიჩნეულნი[52].

თბილისში მოსახლე იერუსალიმის ყმების უმეტესობას ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. 1807 წლის მონაცემების მიხედვით თბილისში იერუსალიმის ყმები ყოფილან: „რუსეთის ქალაქებში სავაჭროდ მავალი – 1, წითელი საქონლით მოვაჭრე – 6, ფეხსაცმლის მკერავი – 1, მჭედელი – 2, მექუდე – 1, სხვადასხვა საქონლით მოვაჭრენი – 1, არაფრით მოვაჭრე – 1". ესე იგი, იერუსალიმის თხუთმეტი ყმიდან 10 ვაჭარი იყო, 4 – ხელოსანი და მხოლოდ ერთი – გაურკვეველი პროფესიისა[53].

## II. შიდა ქართლი

### დირბი. ტახტისძირი. მიწები რხუითის ბოლოს

შიდა ქართლში იერუსალიმის მიწათმფლობელობა XVII საუკუნისათვის უკვე ჩამოყალიბებულია. ზემოთ დამოწმებული გვქონდა ამ ხანის ერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც ამილახორის სადროშოში შემავალ სენიორიებს შორის დასახელებულია „სუეტის ცხოველისა და იელუსარემის" მიწები[54].

შიდა ქართლში, მდინარე დვანის ფრონეს ანუ დვანის წყლის ხეობაში მდებარე სოფელი დირბი ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი შენირულებაა საქართველოში იერუსალიმისადმი, რო-

[51] შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 301.

[52] იქვე.

[53] შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 277.

[54] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 289.

მელიც დოკუმენტურად დასტურდება. დირბი იერუსალიმისათვის შეუწირავს სვიმონ I-ს (1556-1600). ამას ვგებულობთ სვიმონის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული 1588 წლის 3 ივლისით დათარიღებული საბუთიდან: „...ესე იგულვა და იგულსმოდგინა მეფეთ-მეფემან სუიმეონ და შემოსწირა სოფელი დირბი წმიდასა და განმაცხოველებელსა ჯვრის მონასტერსა და ცხოველმყოფელსა აღსადგომელსა საფლავსა უფლისასა და საუფლოთა სისხლითა მიერ მორწყულსა წმიდასა გოლგოთასა"[55]. ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ სვიმონი არის დირბის პირველშემწირველი და არა ძველი შენირულების განმაახლებელი და დამამტკიცებელი. რაიმე დამატებითი ცნობა დირბის შენირვის თარიღის შესახებ არ მოგვეპოვება, ამიტომ შენირულების დრო უნდა შემოვსაზღვროთ 1556-1588 წლებით: – სვიმონის გამეფების დროიდან, ვიდრე ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული საბუთის თარიღამდე[56].

---

[55] სცსა 1450-51/178. ჩვენამდე ამ მნიშვნელოვანი საბუთის მხოლოდ პირია მოღწეული. დედანი, როგორც ჩანს, უნახავს პლატონ იოსელიანს თბილისის ჯვარისმამის ეკლესიასთან დაკავშირებულ საბუთებს შორის და მის მოკლე შინაარსს გადმოგვცემს ზემოთ დასახელებულ წიგნში „Описание древностей города Тифлиса" (გვ. 63). უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ეს ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრინდელი საისტორიო საბუთია, რომელშიც სოფელი დირბი მოიხსენიება.

[56] ს. მაკალათია თავის წიგნში „ფრონის ხეობა" იმოწმებს სოფლების: ბრეთისა და დირბის ხალხურ ეტიმოლოგიას. ბრეთი წარმოშობილი ყოფილა სიტყვისაგან „ბერეთი", რადგან აქ ყოფილა მონასტერი – „საბერო". ასევე, მისი მოსაზრებით, დირბი წარმოქმნილი უნდა იყოს ორი სიტყვისაგან „დიდი" და „ბერი", რადგან თურმე იქაურ არქიმანდრიტს ხალხი „დიდ ბერს" უწოდებდა (ს. მაკალათია, ფრონის ხეობა, თბ., 1963, გვ. 26, 28). იხ. აგრეთვე დ. ლომიტაშვილი, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, თბ., 1985, გვ. 44. სოფ. ბრეთის დასახელებას „ბერეთიდან" წარმომდგარად მიიჩნევს ლ. სანიკიძეც. (ბრეთის მამა პიროსი, ძეგლის მეგობარი, თბ., 1975, № 35, გვ. 49). გამოთქმა „საბერო მამული", „საბერო გლეხი", „ბერის მოურავი" XIX საუკუნის დასასრულისთვისაც იხმარებოდა (ს. გუმცაძე, წერილი ქართლიდამ, „ივერია", 1888, № 216, გვ. 1-3). დირბის ასეთი ეტიმოლოგიას ჩვენ ვერ დავუკავშირებთ იერუსალიმელი არქიმანდრიტების მოღვაწეობას, რადგან მათ დირბში XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც თავიანთი რეზიდენცია არ უნდა ჰქონოდათ.

დირბის იერუსალიმისადმი შეწირულება განაახლა როსტომმა 1650 წელს[57]. 1666 წელს ამ შეწირულებას კვლავ აახლებს ვახტანგ V, ხოლო 1786 წელს – ერეკლე II[58].

1715 წლის სამრევლო წიგნის თანახმად, დირბში ცხოვრობდა 50 კომლი[59]. 1804 წლის აღწერის მიხედვით, დირბში მაჩაბლებს ეკუთვნოდათ 3 კომლი, მროველს – 27, კათალიკოსს – 2[60]. მარიამს, ერეკლე მეფის ასულს დირბში ეკუთვნოდა ერთი კომლი[61].

სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით, დვანის წყლის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც იერუსალიმელი არქიმანდრიტების რეზიდენციას წარმოადგენდა შიდა ქართლში. ვახუშტი ბაგრატიონი მის შესახებ აღნიშნავს: „არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა. და ყოველსა საქართველოსა შინა არს მამული მისი და ჰფლობს ესე და მოსავალს გზავნის ვერცხლად იერუსალემს“[62]. ეკლესიის აშენების თარიღად მიჩნეულია X ს. საფუძვლიანად გადაუკეთებიათ გვიანფეოდალურ ხანაში. თავდაპირველად მცირე ზომის დარბაზული ნაგებობა ყოფილა, ამჟამად სამნავიანი ბაზილიკაა[63]. დირბის ღვთისმშობლის ეკლესია უნდა იგულისხმებოდეს როსტომ მეფის მიერ 1653 წელს გაცემულ ერთ საბუთში, რომლის მიხედვითაც იერუსალიმელ ყმებს, გორელ ვაჭრებს დონდარაშვილებს უნდა გადაეხადათ „კუბოს ღვთისმშობლისათვის“ „ორი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარექი სანთლის გული და ნახევარი ჩარექი საკმელი“[64]. „კუბოს ღვთისმშობელი“ იხსენიება აგრეთვე 1798 წელს ჯვარის მამა ათანასეს მიერ გაცემულ ერთ საბუთში. საარქიმანდრიტო მონასტრების ერთ გვიანდელ

---

57 დოკ. სოც. ისტ. I, № 45, გვ. 34-35; მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა..., გვ. 74.

58 სცსა 1450-51/228.

59 ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 126-127.

60 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს..., გვ. 113.

61 Акты, II, 1868, გვ. 80.

62 ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 81.

63 საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ.V, თბ., 1990, გვ. 367; დ. ლომიტაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 44-59.

64 სცსა 1450-51/179.

ნუსხაში მოხსენიებულია „დირბის ჯვარისმამა"[65]. ეს სახელი დირბის ეკლესიას ენოდა, ალბათ, თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის ანალოგიით. დირბშიც ხომ იერუსალიმელი არქიმანდრიტი, ჯვარის მამა, განაგებდა იერუსალიმის ყმა-მამულის მართვის საქმეს.

დირბის უფრო ადრინდელი ხანის ისტორიის შესახებ (სვიმონ I-ის მეფობამდე) მეტად ფრაგმენტული ცნობებია ჩვენამდე მოღწეული. ამავე დროს, ეს ცნობები დაკავშირებულია ორი ფეოდალური გვარის ისტორიასთან, რომელთაც შემდგომში გარკვეული წვლილი მიუძღვით შიდა ქართლში საიერუსალიმო საკუთრების ჩამოყალიბებისა და მართვა-გამგეობის საქმეში. 1884 წელს სოფრომ მგალობლიშვილმა გაზეთ „დროებაში" გამოაქვეყნა სტატიების ციკლი „ორი თვე სოფლად". ერთ-ერთ წერილში მას აღწერილი აქვს მაჩაბლების კონფლიქტი ვინმე დოღლაძეებთან წყლის გამო. ს. მგალობლიშვილის მიხედვით „ავნევის ხეობაზე მდგარა ერთი მძლავრი აზნაურიშვილი დოღლაძე. ამას ჰქონია მამითადი სალთვისის მინდორში". ასევე, დოღლაძე ყოფილა „ძველი დირბის მეპატრონეც". დოღლაძეები იმდენად ძლიერი აზნაურები ყოფილან, რომ თავს დასხმიან მაჩაბლებს საბანმინდაში და დაუმარცხებიათ კიდეც. მოგვიანებით, 1888 წელს, გაზეთ „ივერიაში" (№ 216) დაიბეჭდა მისივე (ს. გუმცაძის ფსევდონიმით) წერილი, რომელშიც სხვათა შორის, აღნიშნულია: „დირბი და ტახტისძირი ჰკუთვნებია ვიღაც ძველ ფეოდალს დოღლაძეს, რომელსაც, ხალხის გადმოცემით, სჭერია აგრეთვე დოღლაურის ჭალაცა მტკვრის პირად, ვიდრე სურამამდე. უძეოდ გადაგებულა დოღლაძე და ჩვენს მეფეებს ეს უკვდავება მამული შეუწირავთ ქრისტეს საფლავისათვის"[66]. ეს ინფორმაცია, როგორც აღნიშნულია ავტორის მიერ, ზეპირ გადმოცემას ეყრდნობა, მაგრამ, ვფიქრობთ, გარკვეულ ისტორიულ სინამდვილეს ასახავს.

ამ ცნობებში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს დოღლაძის, როგორც ფეოდალური გვარის მოხსენიება. ეს გვარი უმნიშვნელო ცვლილებებით (დოღლისძე, დაღლაძე) რამდენჯერმე გვხვდება ქართულ საისტორიო საბუთებში. მათგან ყველაზე ადრეული 1398 წლით თარიღდება. „ამირთ ამირა" ლომი სუნღულისძეს და მის

---

[65] Hd-6709.

[66] „ივერია", 1888, № 216.

ძმისწულს ლაჩიას შეუწირავთ მცხეთისათვის ზვარი გორში, ხოლო თვითონ სვეტიცხოვლის ტაძრისათვის შემოუვლიათ „სპონდიო"[67]. ამ საბუთს სხვა წარჩინებულებთან ერთად (ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელი, ერისთავი შაბურისძე მიქაი და სხვ.) ამტკიცებს ვინმე დოლლისძე ანინიკი[68]. 1432 წელს მოლარეთუხუცესს ხელა თავხელიძეს სხვადასხვა მამულები შეუწირავს თირის მონასტრისათვის. მათ შორის არის „ღუერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი დოლლაძისა მიერ მისყიდული მამული მურტაული (შურტაული?)"[69].

1624 წელს, დალლაძე იხსენიება უკვე იერუსალიმის მინათმფლობელობასთან დაკავშირებით. სვიმონ II-ის მიერ გაცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: „მერმე დალლაძისაგან ქრისტეს საფლავისათვის რხუითის ბოლოს მიწები აქვს შეწირული და იმის წიგნები დეკანოზს იოვანეს აქვს. რაც იმ წიგნებში მიწები ეწეროს, ჩვენც ის შეგვიწირავს"[70]. „რხუითი" „რხვთის" ანუ „რხვითის" იდენტურია. 1573 წლის ერთ საბუთში ამ ტოპონიმის ორივე ფორმა ერთდროულადაა დადასტურებული. ჩანს ისიც, რომ ეს სოფელი ნიქოზთან მდებარეობს: „კვალად შეუწირავს ზემო ნიქოზს მირზაული მამული მისითა სამართლიანითა. კვალად შეუწირავს რხვითს მარტუილოზასშვილის მამული. იქვე, რხუითის უფლისურისა შემწირველისა კერძი ნახევარი მამული"[71]. აგრეთვე: „...ქრცხინვალელს მურადაშვილსა და იმის მეზობლებს ნიქოზს, რხვითს, მამული ეყიდათ"[72]. ნათელია, რომ „რხუითი" ნიქოზთან ახლოს მდებარე სოფელი „ხვითია".

საყურადღებოა, რომ „დოლლ" ძირი რამდენჯერმე გვხვდება შიდა ქართლის ტოპონიმიკაში. იმ ადგილას, სადაც მტკვარს ერთვის

---

[67] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სპონდიო არის „ქვა წყალთა მიერ ქვაქმნილი" ან „ქვა წყალთა მიერ და და ხავსთაგან შექვაეებული". შიდა ქართლის ეს რაიონი რომ საამშენებლო ქვის მოპოვებასთან ყოფილა დაკავშირებული მიგვითითებს, აგრეთვე, ტოპონიმი „თირი", რაც საბას განმარტებით არის „ქვა ლბილი და ადვილად საჭრელი". შდრ. აგრეთვე, ფცის ხეობაში მდებარე სოფლის, ქვათეთრისის სახელიც.

[68] სცსა 1449/1652. ქრონიკები, II, გვ. 202.

[69] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ.112. სცსა 1451, რვ. I. აღწერა 21, საბ. 39.

[70] სცსა 1450-51/171.

დოკ. სოც. ისტ. I, № 9, გვ. 8.

[72] დოკ. სოც. ისტ. I, 461, გვ. 326. 1745 წ. 13. VI.

ფცის ფრონე არის სოფელი დოღლაურა[73]. ალ. ღლონტის მიხედვით, დოღლაური სოფ. გომის ადრინდელი სახელწოდება ყოფილა.[74] იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერაში" ასახელებს დოღლაურის ჭალას და სურამის მინდორს გუგულის მთით[75]. საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში ეს ადგილი ცნობილია „დოღლაურის ველის" სახელით და გულისხმობს საკმაოდ ვრცელ ვაკეს მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რომელიც თავისი მნიშვნელობით უთანაბრდება მუხრანისა და ტირიფონის ველებს[76].

როგორც გაზეთ „ივერიაში" დაბეჭდილი ზემოთ მოტანილი წერილიდან ჩანს, დოღლიძეებს ეკუთვნოდათ სოფელი ტახტისძირიც. ეს სოფელი დირბის მიმდებარეა. როგორც ქრისტეს საფლავის ეკლესიის საკუთრება, ტახტისძირი მოხსენიებულია 1874 წელს შედგენილ აღმოსავლეთის წმინდა ადგილებისა და მონასტრების მამულების სიაში დირბთან ერთად[77].

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დოღლიძეების (დოღლაძეების ან დაღლაძეების) სავარაუდო სამფლობელო ადგილები XIV-XV საუკუნეებში შეიძლება შემდეგნაირად შემოიფარგლოს: დვანის წყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი, ტახტისძირი, დირბი); ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხვითის ანუ ხვითის მახლობლად) და, აგრეთვე, ფრონეების ხეობის ქვედა, სამხრეთი ზოლი სურამის მიმართულებით (სოფ. დოღლაურა და დოღლაურის ჭალა).

გვიანი შუასაუკუნეების შიდა ქართლის ისტორიული გეოგრაფიის ფონზე დოღლიძების სავარაუდო სამფლობელოს მიმდებარე ფეოდალური სენიორიები შემდეგია: აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება საამილახორო. როგორც ცნობილია, XIV საუკუნის I მეოთხედში ზევდგინიძეები დამკვიდრდნენ სხვილოსში, „სხვილოურ მამულში", რითაც საფუძველი ჩაეყარა საამილახვროს ისტორიას. ალექსანდრე I-ის მეფობის ხანაში (1412-1442) ზედგინიძეები იფართოებენ თავიანთ

[73] კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 140.

ალ. ღლონტი, ფრონეების ხეობების ტოპონიმია, თბ., 1988, გვ. 46.

[75] ბაგრატიონი ი., ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., 1986, გვ. 80.

[76] ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს.... გვ. 8.

[77] Натроев А., Иверский Монастырь на Афоне, 1909, გვ. 430.

საბრძანებელს გორისა და კასპის შემოერთებით[78]. საამილახოროს დასავლეთი საზღვარი დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ინწყებოდა ტინისხიდთან, მიემართებოდა ოთარშენ-ახალდაბისაკენ, გადასჭრიდა მდინარე დიდ ლიახვს და ძევერასთან უერთდებოდა აღმოსავლეთის საზღვარს[79]. სამხრეთის საზღვარი მიჰყვებოდა მდ. მტკვარს. XV საუკუნეში ლიახვის ზემო წელზე ჩამოყალიბდა ცალკე სენიორია – სამაჩაბლო, რომელიც საკმაოდ დიდ ტერიტორიას მოიცავდა. მასში შედიოდა ლიახვის ხეობა ცხინვალ-დგვრისის ხეობიდან როკამდე, დვალეთში – ზროგოს ხეობა და, აგრეთვე, მდ. ყვირილასა და დვანის წყლის სათავეები. აღნიშნულ მხარეთა მოსახლეობა მთლიანად მაჩაბლებს ეკუთვნოდათ. მათვე ეკუთვნოდათ ცალკეული ყმა-გლეხები ქართლის ბარის სხვა რაიონებში[80]. საყურადღებოა, რომ სოფ. ღვერთეთი, სადაც დოლიძეებს თავის დროზე ჰქონიათ მამული, შემდგომში სამაჩაბლოს შემადგენლობაში მოქცეულა[81]. სამაჩაბლო დოლიძეების სავარაუდო სამფლობელოს ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრებოდა. ფრონეების ხეობაში იყო აგრეთვე სამი დიდი ფეოდალური სენიორია: საფალავანდიშვილო, საამირეჯიბო და სააბაშიძეო. მათგან ყველაზე ადრინდელია საამირეჯიბო, რომელიც ჩამოყალიბდა XV საუკუნეში და რომლის ცენტრადაც მიჩნეულია ნაბახტევი[82]. საამირეჯიბოს ერთ-ერთ ყველაზე აღმოსავლეთ პუნქტად XV საუკუნეში ჩანს საღოლაშენი[83]. ფალავანდიშვილები ყმა-მამულებს ფლობდნენ ახალშენში, ოქონაში, კნოლეთში, წერონისში, დვანში, ავნევში. საფალავანდიშვილოს ცენტრი XVII-XVIII საუკუნეებში იყო ძალინაში[84]. აბაშიძეებს ფრონისპირეთში შემდეგი სოფლები ეკუთვნოდათ: ტეძერი, გუდეთი, ბელლეთი, მონასტერი, ციხისძირი,

---

78 ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ. 1965, გვ. 111-141; მ. ქიქოძე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან, საამილახორო, მსკი, ნაკვ. 35, თბ., 1963, გვ. 98-99; ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს... გვ. 113-114.

79 დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს..., გვ. 120.

80 ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს..., გვ. 113-114.

81 იქვე.

82 ჯ. გვასალია, ფრონის ხეობათა ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VII, თბ., 1989, გვ. 34.

83 იქვე.

84 იქვე.

შოლოსპირი, ქვიშხეთი და ტაშისკარი[85]. ფრონეების ხეობის სათავადოების ამ მიმოხილვიდან ვხედავთ, რომ XIV საუკუნის დასასრულსა და XV საუკუნეში დვანის წყლის ხეობის ძირითადი ნაწილი არ შედის არც ერთ ზემოდასახელებულ სამფლობელოში. ეს ფაქტი კიდევ უფრო დასაშვებს ხდის ამ ადგილებში დოლლიძეების ფეოდალური სენიორიის არსებობას. მოგვიანებით, XVI საუკუნის პირველი მეოთხედისათვის, დვანის წყლის ხეობის მიმდებარე ტერიტორიაზე წარმოიშვა ახალი ფეოდალური სენიორია – სადავითიშვილო.

რაიმე დოკუმენტური ცნობა დოლლიძეების წარმომავლობის შესახებ არ მოგვეპოვება. ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას შემდეგი: გვარი „დოლლიძე", შესაძლებელია, მომდინარეობდეს საკუთარი სახელიდან, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო დიდი ფეოდალური სახლების დაშლა-გაყოფის დროს. მსგავსი ფორმის საკუთარი სახელი ჯერ-ჯერობით ჩვენთვის ერთადერთია ცნობილი. სინის მთის სულთა მატიანის მეოთხე ნაკვეთში თავმოყრილია ზედგინიძეთა მოსახსენებლები: „ს(უ)ლსა ზედგინიძესა დოლარსნალ ყოფილისა დამიანეს შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ. მათსა მეცხედრეს თუმიან ყოფილსა თეკლ(ა)ს შ(ეუნდვნე)ს ღ(მერთმა)ნ. მათთა ძეთა: ჯანიბეგს, ზავრადს, მერაბს, გორზამს, ფილიმონს, მამისასა, ქაიხოსროს შ(ეუნდვ)ნ(ე)ს ღ(მერთმა)ნ". ქვემოთ მოდის მოსახსენებელი ქაიხოსროსი: „დოლ(ა)რსნ(ა)ლიშვილის ქაიხოსროს დასა მარინეს და მისთა ძმისწ(უ)ლთა ხუცის (სამი ხაზი გადაშლილია) ვსა, იმარინდოს, გოდერძის შ(ეუნდვ)ნეს ღ(მერთმა)ნ"[86]. დასახელებული ზედგინიძეებისათვის, კერძოდ, ავთანდილისთვის, ჯანიბეგისთვის მამისასთვის და მისი ძის, თაყასთვის ალაპები გაუჩენიათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერში. ვგებულობთ აგრეთვე, რომ ავთანდილ ზედგინიძესა და მის მეუღლეს გულშარს შეუწირავთ ჯვრის მონასტრისათვის „ვენაჭი ანჯაუთს"[87]. ეს მოსახსენებლები თარიღდება XV საუკუნის პირველი ნახევრით[88]. თუ დავუშვებთ, რომ დოლარსნალი ზედგინი-

---

[85] იქვე, გვ. 35.

[86] ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 243-244.

[87] ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 22, 26.

[88] ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობებიდან XV საუკუნის საქართველოში, გვ. 113-114; ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 22, 26; დ. კლდიაშვილი, სინის მთის წმ. გიორგის ხატი დავით ალმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით, მრავალთავი, XV, თბ., 1989, გვ. 129.

ძეების საგვარეულო სახელი შეიძლება ყოფილიყო, XIV საუკუნეში მათგან დოლლიძეების გამოყოფა არ არის გამორიცხული[89].

დოლლიძეების შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია. XVI საუკუნიდან კი ფრონეების ხეობაში, დვანის წყლისა და მისი მიმდებარე ტერიტორის მახლობლად ახალ ფეოდალურ სენიორიას ვხედავთ – ბაგრატიონ-დავითიშვილებისას, ანუ „თვალდამწვრიანებისას". მათ ისტორიას ფარსადან გორგიჯანიძე ასე გადმოგვცემს: „პაპა კახთ ბატონებისა" თეიმურაზი ყოფილა. მას ჰყოლია ორი ვაჟი: დავითი და გიორგი. გიორგი მართალია უმცროსი იყო, მაგრამ კახეთში გამეფებულა. რამოდენიმე ხნის შემდეგ გიორგის შეშინებია დავითი არ გამეფდეს კახეთშიო და მისთვის თვალები დაუწვავს. დავითი თავისი ორი ვაჟით წასულა შაჰ-თამაზის კარზე. აქ მის უფროს ვაჟს, როგორც კარგ მებრძოლს თავი გამოუჩენია, რისთვისაც შაჰ-თამაზს იგი ფულით დაუჯილდოვებია. ამ ფულით მათ ქართლში უყიდიათ სოფლები: ბრეთი, ბებნისი და დირბი (ხომ არ უყიდიათ დოლლიძეებისაგან? – ნ. ხ.). მათვე აუგიათ დირბის ციხე. „თვალდამწვრიანთა" ისტორიის მონაწილეები არიან აგრეთვე ქართლის მეფე ლუარსაბი (1527-1556) და იმერეთის მეფე ბაგრატი (1510-1564). ლუარსაბს დავითისათვის ციხე დაუნგრევია, ხოლო ბაგრატს თვალდამწვრიანთა შთამომავლის რამაზისათვის უბოძებია სოფლები: ნული, თორმანეული, ლვერთეთი, ფლევი, ქანბადი (ქინძათი?), ტბეთას ჯვარი, მოხისსა და რუისში გლეხები და აზნაურები: ხერხეულიძეები და ტატიშვილები[90].

---

[89] მომდევნო ხანის საისტორიო წყაროებში დოლარსნალი ზედგინიძე-ამილახვართა სახელად აღარ ჩანს. „არსლან"-ის გვარის ფორმაზე დართვით საკუთარი სახელის მიღების მაგალითი კი იმავე XIV საუკუნის, 1393 წლით დათარიღებულ ერთ ქართული საისტორიო საბუთშიც დასტურდება. ამ საბუთის მიხედვით, მურვან ღარიბასძეს და მის ძეს ღარიბა არსლანს შეუწირავთ მამული ვაჰანის მონასტრისათვის (Ad-933).

[90] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, II, თბ., 1925, გვ 299-300. როგორც პარიზის ქრონიკაშია ნათქვამი, 1526 წელს „მისცეს ბაგრატს ქართლი არადეთს წყალს გამოღმა: ალი, სურამი და ახალდაბა". (საქართველოს ცხოვრება (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ.ალასანიამ, თბ., 1980, გვ. 41). ლუარსაბის მეუღლე იყო იმერეთის მეფის ასული თამარი და ქართლის დასავლეთი ნაწილის, ფრონისპირეთის ბაგრატისათვის გადაცემა, შესაძლებელია, სწორედ ამ კავშირის შედეგი იყო (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 102).

ბაგრატიონ-დავითიშვილების ფეოდალური სენიორიის წარმოქმნისა და განვითარების ძირითადი საკითხები ბოლო ხანებში დაწვრილებით შეისწავლა დ. ნინიძემ[91] და, ამიტომ, ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით. როგორც ცნობილია, ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს XVI საუკუნის დასაწყისში კახეთის სამეფო კარზე დატრიალებული ამბების შესახებ, როდესაც ალექსანდრე I-ის (1476-1511) ძემ (გორგიჯანიძესთან ალექსანდრე რატომღაც თეიმურაზად ინოდება) გიორგიმ, შემდგომში „ავგიორგიდ" წოდებულმა, 1511 წელს მოკლა მამამისი, ხოლო ძმას, დიმიტრის, თვალები დასთხარა. დიმიტრი სპარსეთის შაჰის კარზე მილებული ყოფილა. ვახუშტი ბაგრატიონი წერს, რომ 1500 წელს ალექსანდრე კახთა მეფემ „წარუვლინა შაჰ ისმაილს შირვანს ძე თვისი დიმიტრი ძღვნითა დიდითა და ტყვეთა ქალ-ყრმითა და მიუმცნო მორჩილება. ხოლო შაჰ ისმაილ პატივით შეიწყნარა და წარმოუვლინა დიმიტრი ნიჭითა და ზავითა მშვიდობითა"[92]. ვახუშტისავე თქმით, სწორედ ეს ყოფილა მიზეზი შემდგომში დიმიტრის დასჯისა: „რამეთუ (გიორგის – ნ. ხ.) აქუნდა შური მიერ ჟამითგან, რაჟამს წარავლინა მამამან თჳსმან ნინაშე ყეენისა"[93]. დიმიტრის შთამომავლებს, დავითიშვილებსა და რამაზისშვილებს ჩაუყრიათ საფუძველი შიდა ქართლში დავითიშვილების სენიორიისათვის[94]. დავითიშვილები ინოდებოდნენ „თვალდამწვრიანებად" და შედიოდნენ საამილახვროს სადროშოში[95]. ზემოთ უკვე ჩამოვთვალეთ ის სოფლები, რომლებიც გორგიჯანიძის თქმით ეკუთვნოდათ დავითიშვილებს[96]. ძირითადად ეს არის დვანის წყლის ხეობა და მისი მიმდებარე ტერიტორია.

---

[91] დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის განშტოებათა ისტორია (XIII-XVIII საუკუნეები), სადოქტორო დისერტაცია, თბ. 1998, გვ. 176-185.

[92] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 569.

[93] იქვე

[94] დ. ნინიძე, ბაგრატიონთა სამეფო სახლის..., გვ. 176-185.

[95] Ad-2124. დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს... გვ. 289.

[96] ეს სოფლები, რომ მართლაც ეკუთვნოდათ დავითიშვილებს, ჩანს შემდეგიდანაც: 1596 წელს დავითაშვილებს ნულის მფლობელებად აცხადებს სვიმონ მეფე (Sd-597); 1633 წელს მათ დავა ჰქონდათ ავალიშვილებთან ბრეთის შესახებ (Sd-556) და სხვ. (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, დავითიშვილები).

დირბი დავითიშვილების მფლობელობაში დიდხანს არ ყოფილა. 1588 წელს ის, როგორც ვნახეთ, უკვე იერუსალიმის ჯვრის მონასტრის საკუთრებაა. მიუხედავად ამისა, დავითიშვილები შემდგომშიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი დირბის ყმა-მამულის მართვასთან. კერძოდ, 1635 წელს მეფე როსტომმა დავითიშვილებს ჩააბარა დირბის მოურაობა: „...დავითიშვილს დავითსა და თქვენთა შვილთა კოსტანტილეს და კარისა ჩვენისა ბოქაულთუხუცესს ელიზბარსა... მას ჟამსა ოდეს მოგვადექით კარსა და დირბის მოურაობას გვეაჯენით... გიბოძეთ დირბის მოურაობა სამართლიანის საქმითა და სამძღურითა სამკვიდროდ და საბოძლად თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის“[97].

იერუსალიმს დირბში ეკუთვნოდა სამღებრო. სვიმონ I-ის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის ზემოთ დასახელებული საბუთი სწორედ ამ სამღებროს შეწირულებას ეხება. „ესრეთ რომელ დირბისა სამღებროს გამოსაღები ყიშტი ჩვენი იყო[98] და თქუენი წმიდა მონასტერი წმიდისა ნიკოლოზისა სადედოფლო იყო. და ჩვენ გკადრეთ და მოგახსენეთ მცირე ესე შესაწირავი დირბის სამღებროს ყიშტი და ბეგარა. რაოდენიცა გამოვიდოდეს, უკლებლად აიღებოდეს და წმიდასა და პატიოსანსა წმიდისა ნიკოლოზისასა წინაშე მიიღებოდეს და დედათ უფროსათ დასა რაისასა მიერთმეოდეს... ვინ გინდა ვინ იყუნენ ჯუარის მამა და ერთობილნი კრებულნი, ჩვენთვის ჟამსა სწირავდენ

---

[97] საქართველოს სიძველენი, II, გვ. 191.

[98] დასტურლამალის მიხედვით: „სადაც სამღებრო არის ქართლსა თუ საბარათაშეილოში, თუ ყაიყულს, სულ სადედოფლო არის“ (დასტურლამალი მეფის ვახტანგ VI-სა, თბ., 1886, გვ. 125) ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ქართლის სამღებროების „სადედოფლოობა“ ასახავს XVIII საუკუნის მდგომარეობას, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ, საფიქრებელია, ეს წესი ძველი უნდა ყოფილიყო. სამღებროების დედოფლისადმი დაქვემდებარებას ნ.ბერძენიშვილი უკავშირებს ამ მეურნეობის სპეციფიკას, რადგან „რთვა, ქსოვა, ღებვა ქალის საქმე იყო“ (ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII საუკუნის საქართველოში, საქ. ისტ. საკ. IV, თბ., 1967, გვ. 317). ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებას, რომ სამღებროების სადედოფლოობა XVIII ს-ზე ადრინდელი მოვლენაა, ავითარებს ე. მამისთვალიშვილიც და ამის სამაგალითოდ მოაქვს 1664 წლით დათარიღებული საბუთი, რომლის მიხედვითაც გორის სამღებრო ეკუთვნოდა მარიამ დედოფალს (გორის ისტორია, თბ., 1994, გვ. 216). როგორც ვხედავთ, ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული საბუთი სამღებროების სადედოფლოობას XVI საუკუნეშიც ადასტურებს. ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია აგრეთვე ზ. ხიდურელმა ნაშრომში „ფეოდალური მიწათმფლობელობა XV-XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში“, თბ., 1989, გვ. 99.

და ალაპსა გარდაიხდიდნენ მეფეთ-მეფისა სვიმონისათვს... და ამ ალაპს რაოდენიცა თეთრი გადარჩებოდეს, სამარადისოდ ჩვენთვის ერთი კანდელი ენთებოდეს ტაძარსა წმიდისა ნიკოლაოზისასა. შეიწირე წმიდაო მღდელთ-მოძღუარო ნიკოლოზ მცირე და კნინი ესე შესაწირავი ჩვენი"[99].

ეს ვრცელი ციტატა იმიტომ მოვიტანეთ, რომ აღნიშნული საბუთი რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს საქართველოში იერუსალიმის საკუთრების შესახებ. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, თუ წმინდა ნიკოლოზის სახელობის რომელ მონასტერზეა საბუთში ლაპარაკი.

წმინდა ნიკოლოზის სახელობის ქართველთა მონასტერი პალესტინაში ორი ყოფილა. ერთი მდებარეობდა ჯვრის მონასტერთან და, ამის გამო, ზოგჯერ უცხოელები ჯვარს წმინდა ნიკოლოზის მონასტერსაც უწოდებდნენ. 1465-1466 წლებში იერუსალიმში მოგზაური ვინმე ვასილი წერდა: „იბერიელთა მონასტერი წმინდა ნიკოლოზისა, აქ მოუჭრიათ ხე ჯვარისათვის. ამ ეკლესიაშია წმინდა ნამებულის, წმინდა ბარბარეს ხელი"[100]. სხვა პილიგრიმი კი ასე წერს: „წმინდა ჯვარის ეკლესია ეკუთვნის ქართველებს, აქ ნახავთ წმიდა ბარბარეს ხელს"[101]. ეს მონასტერი უნახავს ტიმოთე გაბაშვილს იერუსალიმში ყოფნისას, 1757-1758 წლებში (მის ამშენებლებად იგი შეცდომით ასახელებს პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეებს)[102]. ალექსანდრე ცაგარელს კი თავისი მოგზაურობის დროს, 1881 წელს, იგი უკვე დანგრეული დახვედრია.

წმინდა ნიკოლოზის სახელობის მეორე მონასტერი მდებარეობს იერუსალიმში, ქრისტეს საფლავის მახლობლად, ბერძნული საპატრიარქოს გვერდით. ამ მონასტრის ისტორიის შესახებ მოთხრობილია ელ. მეტრეველის წერილში „იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა"[103]. სვინაქსარისეული ალაპების მიხედ-

---

[99] სცსა 1450-51/178.

[100] გ. ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო გ.ჯაფარიძემ, თბ., 1995, გვ. 144.

[101] იქვე.

[102] ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 81.

[103] ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, IV, თბ., 1962, გვ. 234.

ვით ეს მონასტერი აუშენებია ქაიხოსრო ნულუკიძეს 1643 წელს. ის ყოფილა ჯვრის მონასტრის მეტოქი[104]. ტიმოთე გაბაშვილი თავის თხზულებაში წერს, რომ მონასტერი აუშენებია კახთ დედოფალს ელენე-ყოფილს ელისაბედს. ეს ელისაბედი, როგორც ელ. მეტრეველს აქვს დადგენილი, უნდა იყოს ერეკლე I-ის, ნაზარალიხანის დედა, მაგრამ მისი მიჩნევა მონასტრის ალმშენებლად შეუძლებელია, რადგან XVII საუკუნის ბოლო მეოთხედში მას არ შეეძლო აეშენებინა 1643 წელს ქაიხოსრო ნულუკიძის მიერ უკვე აშენებული მონასტერი. გარდა ამისა, XV საუკუნის მიწურულს ტრიფონ კოროზეინიკოვს უნახავს ეს მონასტერი და მისთვის ფულიც შეუწირავს. ამიტომ აქაც 1643 წელი ვერ იქნება მონასტრის აშენების თარიღი. ჩანს, საქმე გვაქვს არა მონასტრის პირველ აშენებასთან, არამედ მის შეკეთება-გადაკეთებასთან. ხოლო მონასტრის აშენების თარიღი 1593 წელს იქით უნდა გადავიტანოთ[105].

ძნელია გადაჭრით ითქვას, ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემულ საბუთში რომელ მონასტერზეა ლაპარაკი: – ჯვართან[106] თუ იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან ახლო მდებარეზე. საკითხის ქრონოლოგიური მხარე ორივე ვარაუდის საშუალებას იძლევა. მიუხედავად ამისა, რადგან მოგვიანო ხანის წყაროებში, XVII საუკუნიდან (დედოფალ ელისაბედის წარწერა, ალაპი ქაიხოსრო ნულუკიძესი, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი ერეკლე I-სადმი), უფრო ხშირად სწორედ იერუსალიმში მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობის მონასტერი იხსენიება, ამიტომ, უფრო მოსალოდნელად

---

[104] ელ. მეტრეველი, მასალები... № 99, გვ. 88, 144. საინტერესოა, რომელი მონასტერი იგულისხმება 1273-1305 წლებით დათარიღებულ ერთ ალაპში, – მსახურთუხუცესი არიშიანისათვის, – სადაც ნათქვამია: „...ოდეს ჯ(უა)რისა მონასტერი სპარსთა დამჭირვით ქონდა და ძმანი მეტოქს შინა ეიყვენით" (ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 92, № 145). ჯერ-ჯერობით, ჯვრის მონასტრის პალესტინაში მდებარე მეტოქებიდან ჩვენთვის მხოლოდ ორია ცნობილი: სახლი რამლაში (ელ. მეტრეველი, მასალები..., № 4ა, გვ. 79) და წმინდა ნიკოლოზის მონასტერი იერუსალიმში.

[105] ელ. მეტრეველი, იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა, გვ. 235.

[106] ამ მონასტრის დანგრევის ზუსტი თარიღი ჩვენთვის უცნობია. როგორც ტ. გაბაშვილის თხზულებიდან ვხედავთ, XVIII საუკუნის შუა წლებში ის ჯერ კიდევ არსებობდა.

გვეჩვენება, რომ ზემოთ აღნიშნულ საბუთშიც სწორედ ამ მონასტერზე იყოს ლაპარაკი. გარდა ამისა, როგორც ვნახეთ, ნესტან-დარეჯანი ამ მონასტერს სადედოფლოს უწოდებს, რასაც თითქოს ეხმიანება დედოფალ ელისაბედის მიერ გაღებული შენირულებისა და მის მიერ მონასტრის კედელზე წარწერის გაკეთებაც. მოტანილი საბუთიდან ვხედავთ, აგრეთვე, რომ წმინდა ნიკოლოზის მონასტერი ან დედათა იყო, ან იქ იყო დედათა კრებულიც. ამაზე მიგვითითებს ფრაზა „დედათა უფროსათ რაისასა მიერთმეოდეს". საქართველოდან გაგზავნილი ფული უნდა ჩაბარებოდა მონასტერში დედათა უფროსს[107].

აღნიშნულ საბუთს აქვს გვიანდელი უთარიღო მინაწერი მეფე გიორგისა (როგორც ჩანს, გიორგი XI-ისა), რომელიც კრძალავს სოფლებში: რუისსა და არადეთში სამღებროების გაკეთებას, რათა დირბის სამღებროს შემოსავალი არ მოკლებოდა. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ამ სოფლებში სამღებრო გაიხსნებოდა, მისი შემოსავალიც უნდა მირთმეოდა ქრისტეს საფლავს. ამ საბუთს, როგორც აღვნიშნეთ, ახლავს აგრეთვე ერეკლე II-ის დამტკიცება დათარიღებული 1777 წლით.

დირბის სამღებროსთან დაკავშირებით მოიპოვება კიდევ ერთი საბუთი გაცემული ვახტანგ VI-ის მიერ 1718 წელს[108]. როგორც ჩანს, ეს საბუთი შედგენილია ნესტან-დარეჯანის მიერ გაცემული ზემოთ მოტანილი სიგელის საფუძველზე. დირბის სამღებროს მფლობელად კვლავ დასახელებულია წმინდა ნიკოლოზის მონასტერი, თუმცა უკვე იერუსალიმის სხვა ეკლესია-მონასტრებთან ერთად: „პირველ მეფეთ ჩვენ მამა-პაპათგან და დედოფალმან სოფელი დირბი და დირბის სამღებრო წმიდის ქრისტეს საფლავისა და წმიდის გოლგოთისათვის და წმიდის ნიკოლოზის მონასტრისათვის შეუწირავთ". გარდა ამისა, ამ საბუთში კვლავ გამეორებულია, რომ რუისსა და არადეთში სამღებრო არ უნდა გაკეთებულიყო, რადგან ამით ქრისტეს საფლავს შენირულება მოაკლდებოდა და თუ გაკეთდებოდა, მაშინ მისი გამოსავალიც ქრისტეს საფლავს უნდა მირთმეოდა. უცნობია, თუ როგორ იყო გადაწყვეტილი XVIII საუკუნეში რუისისა და არადეთის

---

[107] რაისა – არაბ. ra'īs უფროსი, წინამძღვარი. ეს სიტყვა აღნიშნავდა მონასტრის წინამძღვარსაც.

[108] სცსა 1450-51/169.

სამღებროების საკითხი, თუმცა ჩვენამდე მოაღწია ერთმა საბუთმა, საიდანაც ვიგებთ, რომ 1801 წელს გიორგი XII-ის ძეს დავით ბატონიშვილს რუისის სამღებრო შეუწირავს რუისის ფერისცვალების ეკლესიისათვის[109]. ამ საბუთიდან არ ჩანს, ეკუთვნოდა თუ არა ეს სამღებრო როდისმე იერუსალიმს.

## მიწები ნიქოზში

XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ ბატონიშვილმა დაამტკიცა ნიქოზში ერთი ზვრისა და ერთი მეზვრეს შეწირულება. ეს მამული ადრე შეუწირავს ჯვრის მონასტრისათვის ვინმე დიასამიძეს. საბუთში ნათქვამია: „როგორც შეწირული ყოფილიყოს, ისრევ ჯვარის მონასტრისათვინ, ჯვარის მამას ეჭიროს ბატონის მამის ჩემის მობრძანებამდი. მერმე როგორც სჯობს, ისე ყოს". ვახტანგ VI-ის მამა, ლევანი, გარდაცვლილა 1709 წელს[110]. აქედან გამომდინარე, ეს საბუთი გაცემულია 1703-1709 წლებს შორის – ვახტანგის ჯანიშინობის დროიდან გიორგი XI-ის სიკვდილამდე.

## თერგვისი, სალოლაშენი.

ლუარსაბ II-ის მიერ 1624 წელს გაცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: „სოფელი თერგისი, რაც ყუდაინათს (ყუდანათს?) ჰქონდა და აწ კიდევ არადეთს სალოლაშენი სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად და ნესისათვის და საკანონოდ დისა ჩუენისა, პატრონისა ხუარაშანისათვის შეგვიწირავს იერუსარემისათვის და ქრისტეს საფლავისათვის და პატრიარქი თეოფანესათვის"[111].

თერგვისი მდებარეობს დიდი ლიახვის ხეობაში, ცხინვალის ქვემოთ, სოფლების: დიცის, ერკნეთისა და მეღვრეკისის შემდეგ, დიდი და პატარა ლიახვის შესართავამდე. თერგვისის, როგორც იერუსალიმის საკუთრების შესახებ იტყობინება ერთი საბუთი გაცემული ელისე თბილელის მიერ 1640 წელს. მას ამ სოფელში ჩაუსახლე-

---

[109] Ad-1502/43.

[110] ქ. ც. IV, გვ. 486.

[111] სცსა 1450-51/209.

ბია ვინმე იოთამ ბარლისშვილი და გადაუკვეთია მისთვის ბეგარა-გადასახადი[112].

სალოლაშენი იხსენიება 1401-1415 წლებით დათარიღებულ სიგელში, რომელიც გაცემულია ქუცნა ამირეჯიბის მიერ. საბუთში ჩამოთვლილია ულუმბოს ღვთისმშობლისადმი (იგულისხმება შიდა ქართლში, ალის წყლის სათავეებში მდებარე მონასტერი) შეწირული სოფლები. სხვათა შორის, დასახელებულია „სალუალაშენი ჩიტალაძისაგან კუჯაძისთვის მისყიდული". იქვე ნათქვამია: „არის ულუმბისა ღვთისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულიად ბაყის მესამედი... ორი კუამლი სტკოცას... ღოღეთი სრულიად... სალუალაშენი სრულიად"[113]. მოგვიანებით, როგორც ჩანს, ამირეჯიბებს სალოლაშენი კვლავ დაუბრუნებიათ. 1791 წლით დათარიღებულ არზაში ერეკლე II-ის მიმართ ზაზა ამირეჯიბი წერს: „...მერმე ამას მოგახსენებთ: სალოლაშენს სოფელს არა ეშველა რა. ავალიანთ წყალი არ დაგვანებეს. განაჩენი გვებოძა, ამილახვარმა უთხრა, არ დაუჯერეს"[114].

## ვაჭრები გორში

გორი საქართველოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. გორელი ვაჭრები ხშირად მოგზაურობდნენ ევროპისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებში. გორელ ვაჭრებს ქართველი მეფეები ხშირად სწირავდნენ სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს. 1380 წლის ერთი საბუთის მიხედვით გორში ოქონის ეკლესიას ეკუთვნოდა „ვაჭარნი ექვსნი მათითა სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა და ქულაბაქითა"[115]. ასევე, 1398 წელს ალექსანდრე I-მა მცხეთის სვეტიცხოველს განუახლა გორში მამულებისა და ვაჭრების შეწირულება[116].

---

[112] სცსა 1450-51/174.

[113] ქრონიკები, II, გვ. 207-212. ჯ. გვასალია, ფრონის ხეობათა..., გვ. 29.

[114] ქ.ს.ძ., VIII, № 106, გვ. 121.

[115] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, გვ. 290. გორის, როგორც სავაჭრო ცენტრისა და გორელი ვაჭრების შესახებ იხ. ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, გვ. 222-236.

[116] ე. მამისთვალიშვილი, გორის ისტორია, გვ. 225.

ჯვრის მონასტრის ყმა ყოფილა გორელი ვაჭარი დიაკვნიშვილი. მისი შენირვის ისტორიას ფარსადან გორგიჯანიძე ასე გადმოგვცემს: მას ჩამოუტანია საქართველოში სვიმონ I-ის ნაწილები და მიურთმევია მეფე გიორგისა და ნესტან-დარეჯანისათვის (სვიმონის მეუღლისათვის). მათ „იგი დიაკვნიშვილი ყოვლითურთ სახლეულით მისით გააზატეს და შესწირეს პატიოსანსა და ცხოველსმყოფელსა ჯვარის მონასტერსა... და არნ აწცა გორს დიაკვნის შვილები, ყმანი ჯვარის მონასტრისანი"[117].

1639 წელს მეფე როსტომმა შესწირა ქრისტეს საფლავსა და ჯვრის მონასტერს გორელი ვაჭრები „დონდარასშვილის ფიბუას შვილები დონდარა და ფეროზა მათის მამულითა, რისაც მქონებელნი დღეს იყვნენ"[118]. როგორც ჩანს, დონდარაშვილები გორში დიდხანს აგრძელებდნენ თავიანთ საქმიანობას. საბუთს ახლავს 1753 წლის დამტკიცება დედოფალ ანა ხანუმისა.

## გორის ბაჟი

გიორგი XII-ს ქრისტეს საფლავისათვის შეუწირავს ხუთი თუმანი გორის ბაჟიდან: „ყოველ წელიწადს, რომელნიც მებაჟენი იქმნებოდეთ, ამ ხუთ თუმანს უფალს მაღალ ღირსს ჯვარის მამას ათანასეს მიართმევდეთ"[119].

საყურადღებოა, რომ 1526 წელს გორის ბაჟიდან ასევე ხუთი თუმანი შეუწირავს გიორგი IX-ს ათონის ღვთისმშობლის მონასტრისათვის. შეწირულების საბუთში ნათქვამია: „თუ გინდა ვინ მებაჟე მედამლე იქნებოდეთ, ყოველს წელიწადს მთაწმინდის მონაზონებს ხუთს თუმანს თეთრს გაურჯელად მიართმევდით"[120].

---

[117] იქვე, გვ. 226.

[118] სცსა 1450-51/179.

[119] სცსა 1450/51-158.

[120] სცსა 1461-3/139. პ. კარბელაშვილის არქივში ამ საბუთის მხოლოდ ნაწყვეტია მოტანილი. საბუთი პ. კარბელაშვილის მიერ დასათაურებულია შემდეგნაირად: „გიორგი მეფე სწირავს პორტაიტის ღვთისმშობელს გორის ბაჟიდან ხუთ თუმან თეთრს".

## III. მინები ატენში

1755 წელს მოლარეთუხუცესმა ელისბარ გლურჯისძემ, მისმა შვილებმა ნიკოლოზმა და მალაქიამ შესწირეს ქრისტეს საფლავს ვენახი ატენში, რომელიც ეყიდათ მათ ქვემო ციციშვილის მანუჩარისაგან[121].

## IV. ჭვარები

იერუსალიმს ეკუთვნოდა ნასოფლარები ჭვარებში: პიტნარა, საჯოგიას ქედი, ჭანჭახი და ღნიორთაგვა. ამას ვიგებთ 1716 წლით დათარიღებული ერთი საბუთიდან, სადაც ნათქვამია: „ესე წიგნი მოგართვი მე, ჯავახისშვილმა ფარემუზ[122], თქვენ, პაპა სერგისა, ასე რომე კურთხეულ მეფე გიორგის მთაწმინდის შეწირული ჭვარებს ნასოფლარები პიტნარა, საჯოგიას ქედი, ჭანჭახი და ღნიორთაგვა თქვენ მე მომაბარეთ სამოურაოდ. მეც იქ რაც დაეტეოდეს კაცები დავასახლო..."[123]. ამ საბუთში ყურადღებას იქცევს ნასოფლარების შეწირულების ადრესატად მთაწმინდის მოხსენიება. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: „მთაწმინდა" ხომ არ გულიხმობს ათონის მთის რომელიმე მონასტერს, რომელიც, იერუსალიმის მსგავსად, საქართველოში ყმა-მამულის მფლობელი იყო. ვფიქრობთ, რომ ამ საბუთში მაინც იერუსალიმი უნდა იგულისხმებოდეს. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მამულების მოურავს ნიშნავს პაპა სერგი. იგი კი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს წარმომადგენელი იყო საქართველოში დაახლოებით 1688-1719 წლებში და განაგებდა იერუსალიმის კუთვნილი ყმა-მამულის მართვის საქმეს. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით დასტურდება იერუსალიმის წარმომადგენლის მიერ ათონის მამულების მართვის ფაქტიც. 1799 წელს გიორგი XII-მ მთაწმინდის პორტა-

---

[121] სცსა 1448/627.

[122] ჯავახიშვილების გენეალოგიური ტაბულის მიხედვით, როინ მდივანბეგის ძე ფარემუზი ჩანს 1651-1721 წლებში, ი. ჩიქოვანი, ჯავახიშვილთა გენეალოგიური ტაბულა, „არტანუჯი", № 6, თბ., 1997, გვ. 51-61.

[123] სცსა 1450-51/162.

იტის ღვთისმშობლის მამულები „ქართლსა, კახეთსა თუ ქალაქში" დროებით ჯვარის მამის ვექილს, მღვდელ-მონაზონ ბენედიქტეს მიაბარა[124]. ბენედიქტეც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მსგავსად პაპა სერგისა, იერუსალიმის საპატრიარქოს წარმომადგენელი იყო საქართველოში. მიუხედავად ამისა, უფრო მოსალოდნელია, ფარემუზ ჯავახიშვილის მიერ გაცემულ საბუთში მოხსენიებული „მთაწმინდა" სწორედ იერუსალიმს აღნიშნავდეს. ამ მნიშვნელობით „მთაწმინდა" დასტურდება იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ერთი წერილის ქართულ თარგმანშიც. წერილი მიმართულია ქართველი ეპისკოპოსების, თავადებისა და აზნაურებისადმი. პატრიარქი მოუწოდებდა მათ ეზრუნათ იერუსალიმის კუთვნილ მამულებზე საქართველოში. წერილი დათარიღებულია 1681 წლით. პატრიარქი წერდა: „წმიდასა ალაგს ბევრ ალაგს აქვს მამულები, მაგრამ არვინ ერჩის... აწ ვინცა და რამანც ძემან კაცისამან... ხელი მოუმართოს და მოუაროს მთაწმინდის ალაგსა, შენდობილმცა ხართ მამა, ძე და სული წმინდისაგან... და ვინცა ესარჩლოს ან აწყინოს მთაწმინდის მამულსა, რისხავს თავად დაუსაბამო"[125]. ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ პატრიარქი თავის წერილში სწორედ იერუსალიმის მონასტრების მამულებზე ლაპარაკობს[126].

ჭვარები ჰქვია თეძმის ხეობის მიმდებარე რაიონს, რომლის მდებარეობაც ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით დაახლოებით შეიძლება შემდეგნაირად შემოისაზღვროს: ჭვარების სამხრეთი საზღვარი არის არჯევან-თრიალეთის მთები: – „კლდე-კრის დასავლით არის მთა არჯევანისა, მაღალი და თხემთა უტყეო, ჭვარების კერძოსვე ტყიანი"[127].

---

[124] სცსა 1450-51/187.

[125] ქ.ს.ძ. III, № 143, გვ. 582.

[126] საყურადღებოა, რომ ზოგჯერ იერუსალიმის ჯვრის მონასტერიც მოხსენიებულია სხვა სახელით. გიორგი ბოჭორიძეს რაჭაში, ნიკორწმინდის ეკლესიაში, სხვა სიძველეთა შორის, უნახავს ხის ჯვარი, როგორც თვითონ შენიშნავს, ათონური ხელობისა, რომელზედაც ყოფილა ბერძნული წარწერა. წარწერის ქართული თარგმანი ასეთია: „პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარი მეკუთვნის მე, წმიდა ქალაქ იერუსალიმის ივერიის მონასტრის მღვდელმონაზონს ლავრენტის. 1664 [წ]". (გ. ბოჭორიძე, რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველენი, თბ., 1994, გვ. 115. ეს წარწერა შემდეგ კვლავ გამოაქვეყნა თ. ყაუხჩიშვილმა – ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ. 1951, გვ. 164).

[127] იქვე, გვ. 61.

„ქვარების დასავლით და მძოვრეთს სამჴრით არს მდინარე და ხეობა თორისა, რომელიც გამოდის ქვარებსა და ამას შუათს მთასა"[128]. ქვარების აღმოსავლეთის საზღვრიდან ჩვენთვის ცნობილია რკონი: – „არს კრკონს მონასტერი... აქამომდე არს თეძამი ვენახ-ხილითა ნაყოფიერი. ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი ქვარებითურთ"[129]. ზემოჩამოთვლილი ნასოფლარებიდან ჭანჭახი და პიტნარა აღნიშნულია საქართველოს ტოპოგრაფიულ რუკაზე (1:100 000). მათგან პიტნარა აღნიშნულია როგორც ნასოფლარი.

## § 2. კახეთის სამეფო

### აღდგომა, კისისხევი

იერუსალიმის ჯვრის მონასტერს კახეთში ეკუთვნოდა სოფელი აღდგომა და ყმა-მამული სოფელ კისისხევში. ამის შესახებ იტყობინება ერეკლე II-ის მიერ 1758 წელს გაცემული შეწირულების განახლების საბუთი: „მეფემან პატრონმან კახეთისამან ჰერაკლიმ პანკრატოვანმან, რომელმან განვაახლე სიგელი პირველ შეწირულებისა, რომელი პირველი პაპას მამასა ჩვენსა კეთილმსახურსა, ცხებულსა მეფეს თეიმურაზს შემოეწირა გრემის ბოლოს აღდგომით საყდარი თავისის ყმა-მამულით და კიდევ გამოღმა კისისხევს ყოვლად წმიდისა საყდარი თავისის ყმითა და მამულითა და თავისის სამართლიანის სამძღვრებითა"[130].

თეიმურაზ I რომ გულუხვი ყოფილა წმინდა ადგილებისადმი, ამას ერეკლე II სხვა საბუთშიც იტყობინება: „(მეფე თეიმურაზს – ნ. ხ.) ამ საქართველოს ქვეყანასაც და საბერძნეთის ქვეყანასაც მიუძლვანებია შესაწირავი ეკლესიისათვის. მრავალნი თვალნი, მარგალიტნი, ოქრო და ვეცხლი და სოფლებიც შეუწირავს კახეთიდამ ჯვარის ეკლესიისათვის იერუსალიმს და წმიდის ღვთისმშობლის

---

[128] იქვე.

[129] იქვე.

[130] Qd-9596.

ეკლესიისათვის მთაწმინდას"[131]. თეიმურაზის მიერ იერუსალიმისადმი გაღებული შეწირულების შესახებ გვამცნობენ აგრეთვე რუსეთის ელჩები: მიშეცკი და კლუჩარევი. მათთვის თეიმურაზს უთქვამს, რომ რუსეთის მეფისგან მიღებული ფულის ნაწილი თავისი საჭიროებისათვის გამოუყენებია, ნაწილი კი გაუგზავნია იერუსალიმის წმინდა ადგილებისათვის[132]. ასევე, თავის წერილში ერეკლე I-სადმი იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი აღნიშნავს, რომ თეიმურაზს მიულია იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე და კარგად დაუსაჩუქრებია ის[133].

აღდგომის ეკლესია, რომელზეც ლაპარაკია ზემოთ მოყვანილ საბუთში, მდებარეობს ალაზნის აუზში, გრემის მახლობლად, მდინარე ინწობის შესართავთან. ეკლესია, როგორც მასზე გაკეთებული წარწერიდან ჩანს, აუშენებია ალექსანდრე II-ს (1574-1605). წარწერის ტექსტი რამდენჯერმეა გამოქვეყნებული მკვლევართა მიერ. იქ წერია: „ქ. ჩვენ ღვთით გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმა ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან თინათინ ალვაშენეთ ტაძარი ესე აღდგომისა შიხიან შიგა, ჩვენისა წარსამართებლად ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ამინ."[134] გრემის ბოლოს მდებარე ამ ადგილს ეკლესიის აშენების შემდეგ დარქმევია აღდგომა. მისი ადრინდელი სახელი კი შიხიანი ან ჩიხიანი ყოფილა. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეკლესია აშენებულია XVI საუკუნის 70-იან წლებში. დათარიღების საფუძველია ის, რომ, როგორც ალექსანდრე II-ის კარზე მყოფი რუსეთის ელჩების ჩანაწერებიდან ჩანს, აღდგომის ეკლესია XVI საუკუნის 90-იან წლებ-

---

[131] Натроев А., Иверский Монастырь на Афоне, გვ. 295.

[132] თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, 1640-1643. გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა, თბ., 1928, გვ. 150.

[133] Послания..., გვ. 4. თეიმურაზის მიერ თეოფანესთვის მიცემულ საჩუქრებს შორის განსაკუთრებით აღნიშნავენ ძვირფას თასს, რომელსაც იერუსალიმის საპატრიარქოს ვალების ნაწილი უნდა დაეფარა (История Святого Града Иерусалима, გვ. 297).

[134] Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, თბ., 1959, გვ. 450-453 (წარწერა წაკითხულია ა.შანიძის მიერ); თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961, გვ. 33; პ. ზაქარაია, ქართული ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურა, III, თბ., 1981, გვ. 231-232.

ში უკვე აშენებული ყოფილა: „Назавтрея рождества Христова велел поставит в Крымс (გრემი – ნ. ხ.) в своем селе у воскресения Христова и корм нам велел давать"[135]. გარდა ამისა, რადგან წარწერაში მხოლოდ მეფე და დედოფალი იხსენიება გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობდა, რომ ეკლესიის აშენებისას მათ შვილები ჯერ არ ჰყოლიათ. მართალია, მათი შეუღლების დრო ზუსტად არ არის ცნობილი, მაგრამ, ალბათ, ეს უნდა მომხდარიყო ალექსანდრეს მეფობის დასაწყისში, XVI საუკუნის 70-იანი წლების შუა ან მეორე ნახევარში[136].

აღდგომის ეკლესიას იხსენიებს თავის წიგნში ქართველი პილიგრიმი ფ. კონჭოშვილი. იერუსალიმში ყოფნისას (1899 წელს) იგი შეხვედრია იერუსალიმის პატრიარქ დამიანეს. მათ უსაუბრიათ საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის შესახებაც. ფ. კონჭოშვილი გადმოგვცემს: „დავარწმუნე მისი უნეტარესობა, რომ ქართველი ვარ, კახეთში შობილი და ვიცი ის ადგილი და სოფელი აღდგომა, რომელიც კახეთის მეფეს ლეონს შეუწირავს ქრისტეს საფლავისთვის მეთქი. მაშინ ბრძანა: „მე თვითონ ვყოფილვარ სოფელ აღდგომაშიო"[137]. ადგომის ეკლესია რომ კახეთის მეფე ლევანს (1520-1574) არ შეეძლო შეეწირა ნათელია, რადგან ეკლესიის მაშენებელი მისი შვილი ალექსანდრეა. თუმცა ლევანის მოხსენიება იერუსალიმთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის. ტიმოთე გაბაშვილი იტყობინება, რომ 1536 წელს ლეონ კახთა მეფეს თავისი საფასით დაუხსნია ქრისტეს საფლავი და გოლგოთა. ეს ცნობა ტიმოთე გაბაშვილს ამოუკითხავს გოლგოთის საპატრიარქო ტახტის ფეხზე ამოკვეთილ წარწერაში. ლეონი ტიმოთეს იმ დონის მოღვაწედ მიაჩნდა, რომ მან საჭიროდ დაინახა ლეონის ფერადი სურათი შეეტანა თავის „მიმოსლვაში" და ჯვარის მონასტრის კტიტორების: მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და ბაგრატის გვერდით მოეთავსებინა[138]. გარდა ამისა, თავისი მეფობის პერიოდში მას შეუწირავს იერუსალიმისათვის ყოველწლიურად სამი საპალნე აბრეშუმი. ალექსანდრე II-

---

[135] Белокуров С., Сношения России с Коваказом, М., 1889, გვ. 312.

[136] Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, გვ. 453.

[137] ფ. კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, თბ., 1901, გვ. 29.

[138] ელ. მეტრეველი, მასალები... გვ. 63; ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 79, სქ. 1.

ის მიერ იერუსალიმისადმი აბრეშუმის შეწირულების განახლების საბუთში (1586 წ.) ნათქვამია: „მამასა ჩუენსა მეფესა ლეონს სამი ცალი შემოეწირა, ხოლო ჩუენ ახლად ორი საპალნე აბრეშუმი შემოგვეწირავს"[139].

ალექსანდრე II-ს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის საპატრიარქოსთან. განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ფაქტი: როგორც ვახუშტი ბატონიშვილი მოგვითხრობს, 1602 წლის მახლობლად „მოეგზავნა იერუსალიმის პატრიაქსა და მოეთხოვა სახსრად ვალთა თჳსთათჳს ვეცხლნი. ესე აუწყა ალექსანდრემ კახთა და მათ აღუთქუეს და დაადგინეს ალავერდელი, ძმა ოთარ ჩოლოყაშვილისა, რათა შეკრიბოს და წარიღოს იერუსალიმს. ხოლო მან შეკრიბა ხუთიათასი დრაჰკანი და წარვიდა". თუმცა ეს ფული ალავერდელის მიზეზით იერუსალიმამდე აღარ ჩასულა, რის გამოც პატრიარქს დაუწყევლია კიდეც ალავერდელი[140]. ეს ამბავი უნდა მომხდარიყო იერუსალიმის პატრიარქ სოფრონიუს V-ის დროს (პატრიარქი იყო 1579-1607 წლებში)[141].

დროთა განმავლობაში სოფელი აღდგომა ხალხისგან დაცარიელებულა. 1798 წელს გიორგი XII-მ აღდგომის მოურავად დანიშნა დავით მაყაშვილი. საბუთში ნათქვამია: „გაღმა ენისლის ბოლოს რომ წმინდა აღდგომის საყდარი არის, იქ არვინ სახლობს და არც შენობა არის, რიგიან ეცადე იმ ალაგის აშენებას და იმის მოვლას ყოვლითურთ"[142]. აღდგომელების მისახმარებლად, არხის გასაკეთებლად, მეზობელი სოფლებიდან: ტოლნიანიდან, ჭინჭიბანიდან და ლომისციხიდან ხალხი გამოუყვანიათ დასახმარებლად. „ეს სამი სოფელი კომლად კაცნი გამოიყვანოთ და ჩელტის არხის გაკეთებაზედ უნდა მიეხმარნენ და გაუკეთონ, რადგან ახალი მოშენენი არიან აღდგომის საყდრელნი"[143].

---

[139] სცსა 1450-51/180.

[140] ქ.ც. IV. გვ. 579. ვახუშტის მიხედვით, ალავერდელს ყვარებია ალექსანდრეს და, რომელსაც „აღერჩია ენკრატისობა („მონაზონი ქალი", ბერძნ. ἐγκρατής „თავშეკავებული"). იერუსალიმში წასვლის მაგივრად ალავერდელი ამ ქალთან ერთად გაპარულა იმერეთში, ხოლო ფული დაუბრუნებია ალექსანდრესათვის (ქ. ც. IV, გვ. 580).

[141] **Каптерев, Сношения...**, გვ. 503.

[142] Ad-710.

[143] სცსა 1450/51-160.

როგორც ჩანს, აღდგომის განახლება გარკვეულ უკმაყოფილებასაც იწვევდა მიმდებარე სოფლების მოსახლეობაში, ალბათ მათ აკლდებოდათ მიწები. კერძოდ, აღდგომელებს ავიწროებდნენ ენისლელები. საჩივრის წიგნში წერია: „...რომელიც გლეხი კაცის რიგია მუშაობისა, ისე ვმუშაობთ და ენისელნი არ გვაქნევინებენ, გუთნებს გვირევენ, ვაზი ჩავყარეთ – გვიხდენენ". დავის გასარკვევად მოუყვანიათ ვინმე ღუტა ხახუტაშვილი, რომელიც თვითონ ქრისტეს საფლავის ყმა არ ყოფილა[144]. ხახუტაშვილის მოწმობის წიგნის საფუძველზე ენისელში მისულან ნეკრესელი ამბროსი, აღდგომის მოურავი მაყაშვილი გიორგი[145], დეკანოზი იოსებ, ნაცვალი პაპა და ნაცვალი ნიკოლოზ. მათ ჩაუყრიათ აღდგომის მამულების მიჯნები: „აღდგომის ეკლესიის მიჯნაზედ ქვითკირის ბოგირიდამ ზემოთ შარა გაივლის, სომხის საყდარს ქვემოდამ გარდიგარდმო გზა ჩაივლის, თხრილს მიადგება. ამ ადგილებში მიჯნები ჩაგვიყრია..."[146]. მოგვიანო ხანის საბუთებიდან ჩანს, რომ დავით მაყაშვილს მოუხერხებია აღდგომის გაშენება. 1807 წელს საქართველოში იერუსალიმის მამულების მმართველის ჯვარის მამა ბენედიქტეს მიერ გაცემულ ერთ საბუთში ნათქვამია: „სოფელი აღდგომა გაოხრებული იყო ჟამთა ვითარებისაგან... მეფე გიორგიმ ინება აღდგომის აშენება და თქვენ გიბრძანათ. იმის ბრძანებით ააშენეთ და დიდათ გაისარჯეთ"[147].

## გუგუნაური. ტბა

იერუსალიმის საპატრიარქოს ყმა-მამული ჰქონია გუგუნაურსა და ტბაში. საბუთების შინაარსიდან გამომდინარე, ეს ადგილები გრემში ან გრემის ახლოს უნდა მდებარეობდნენ. კერძოდ, 1800 წელს გიორგი მეფე ასეთ რეზოლუციას ადებს ათანასე ჯვარის მამის არზას: „ყოვლად სამღვდელო ნეკრესელო ამბროსი! ამ არზით, ათანასე ჯვარის მამას ასე რომ მოუხსენებია მერე აღდგომის მამულებისა როგორადაც გაგერიგებინოთ და გაგერჩიოს, იმაზედვე უნდა დააყ-

---

[144] ქსძ, VIII, 1985, გვ. 576-577, № 573.

[145] როგორც სხვა საბუთიდან ჩანს, ის იყო დავით მაყაშვილის ძმა – Ad-546.

[146] Qd-759 ხ.

[147] Ad-546.

ენო. ზოგიერთი ამ მამულიდან არ მიჰბარებია და ისიც უნდა მიაბარო. ზევით, გუგუნაურს რომ ექახიან, ისიც ამათ მიაბარე..."[148]. 1802 წლის ერთ საბუთში გუგუნაურის მამულები იერუსალიმის წმ. ევსტათის სახელობის ეკლესიის საკუთრებად იხსენიება. კერძოდ, გიორგი ჩოლოყაშვილი (როგორც ჩანს თელავის მოსამართლე) მიმართავს გრიგოლ ნოდარისშვილს (ჯორჯაძეს): „მეფის გიორგის ბრძანებით, იასაულად ბრძანებულხართ და იერუსალიმის წმინდის ევსტათის ეკლესიის მამულებზედ გუგუნაურში ხელი აგიმართავთ ვენახებზედ და სახნავის მიწებზედ. ახლაც სამართლიდამ გამოგიცხადებთ: კულუხი და მიწის ღალა ერგებოდეს, სრულებით აიღევით და იერომონახს ბენედიქტეს მიაბარეთ..." ამავე საბუთში გუგუნაურთან ერთად დასახელებულია ტბა: „ნეკრესელი და მე, გრიგოლ ნოდარისშვილი გუგუნაურში და ტბაზე ხელის ამართვა ებძანა. მიუდით და ხელი აუმართეთ ვენახებზე და ტბის სახნავებზე. მივაბარეთ თავისი მამულები ბენედიქტე ბერს"[149]. გუგუნაურის მამულები იხსენიება აგრეთვე 1812 წელს შედგენილ კიდევ ერთ საბუთში, რომლის მიხედვითაც გრემს მცხოვრებნი მამაგულაშვილი ტეტია და იორდანესშვილი სიმონა თავიანთი შვილებით ეყმნენ ქრისტეს საფლავს და მამულები დაიჭირეს გუგუნაურში „იმ პირობით, რომელიც განწესება და სამსახური აღდგომაში მცხოვრებელთა და მსახლობელთა აძევთ და მსახურებენ". საბუთი დაწერილია „ერთობლივ აღდგომელთა" თანდასწრებითა და მოწმობით[150].

ზემოთ მოტანილი გვქონდა ნაწყვეტი ერეკლე II-ის მიერ გაცემული სიგელიდან, სადაც ნათქვამია, რომ თეიმურაზ I-ს შეუწირავს იერუსალიმისათვის ყმა-მამული კისისხევში. კისისხევი, როგორც იერუსალიმის საკუთრება, მოხსენიებულია ნაზარალიხანის მიერ გაცემულ ერთ საბუთში, რომლის მიხედვითაც კისისხევში წინამძღვრად დაინიშნა ნიკოლოზ ვაჩნაძე[151]. საბუთში იხსენიება,

---

[148] სცსა 1450-51/181.

[149] Qd-759 გ. იერუსალიმში მდებარე წმ. ევსტათეს ეკლესიის შესახებ ჯერ-ჯერობით სხვა რაიმე ინფორმაცია არ გაგვაჩნია.

[150] Ad-635.

[151] სცსა 1450-51/183. საბუთი უნდა დავათარიღოთ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნით.

აგრეთვე, იერუსალიმელი არქიმანდრიტი, საქართველოში იერუალიმის ქონების გამგებელი, პაპა სერგი. საბუთის ტექსტის მიხედვით ისე გამოდის, თითქოს კისისხევი მთლიანად იყო შეწირული იერუსალიმისადმი: „კისისხევი ნაზარალიხანის მამა-პაპათაგან წმინდა ადგილს არის შეწირული და მეფეს მასზე ხელი აღებული აქვს". თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, რომ კისისხევში სხვა მონასტრებსაც ჰქონდათ თავისი წილი. 1612 წელს კისისხევში თეიმურაზს შეუწირავს ყმები ალავერდისათვის; 1649 წელს მარიამ დედოფალმა ამავე სოფელში განუახლა თბილისის სიონს ლევან მეფის მიერ შეწირული მამულები და სხვ[152].

1786 წელს კისისხევში ქრისტეს საფლავის ყმებს მიწებს ედავებოდა პართენ მდივნისშვილი. ამ დავის გადასაწყვეტად ქაიხოსრო სახლთხუცესს, ბეჟან მდივანბეგს და ომან ლაშქარნავისს დაუდგენიათ კისისხევში ქრისტეს საფლავის მამულების მიჯნები: „ჩვენ ჩაჱედით კისისხევსა და რაც მამული სადაო იყო, ის გავშინჯეთ. მაღლა სოფელში ერთი ხოდაბუნი არის ქრისტეს საფლავისა... ამ ხოდაბუნის ჩასწვრივ ერთი წისქვილი ზემო კუთხის ჩასწვრივ დგას და მეორე წისქვილი ქვემო კუთხის ჩასწვრივ დგას... და ეს წისქვილები ქრისტეს საფლავის ყმებისა არის"[153].

გ. ჩუბინაშვილი კისისხევის ყოვლადწმინდის ეკლესიას ათარიღებს XVI საუკუნის მიწურულით[154].

---

[152] მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, წიგნი I (X-XVII საუკუნეების მიხედვით). გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ. 1964, გვ. 125.

[153] სცსა 1450-51/182.

[154] Чубинашвили Г., Архитектура Кахетии, გვ. 256.

## § 3. იმერეთის სამეფო

### საზანო

1619 წელს გიორგი III იმერთა მეფეს (1605-1639) შეუწირავს ჯვრის მონასტრისათვის საზანოში სამი კომლი გლეხი „მათის ყოვლისფერით სამართლიანით ბეგრით" და განუახლებია „სხვა მეფეთა და დედოფალთაგან მამულებისა და ოცისთავის შეწირულება"[155]. ამ საბუთით გიორგი მეფე აახლებს „კონსტანტინე უშვილო მეფის" მიერ ჯვრის მონასტრისათვის 1558 წელს გაცემულ შეწირულების სიგელს[156]. ამ დროს იმერეთში ჩასული ყოფილა ჯვარის მამა თეოდოსი. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარისეულ აღაპებში არის ერთი, რომელშიც ნათქვამია: „გაუჩინეთ ჩ(უე)ნ ჯ(უარ)ის მ(ამა)მ(ა)ნ ნიკიფორემ ჴ(ე)ლმწიფესა მეფესა გი(ორ)გის და თ(ან)ამეცხედრესა მისსა თამარ დე(დო)ფ(ა)ლსა აღაპი და დაუკიდეთ კ(ა)ნდელი და მ(ო)ს(ა)ხს(ე)ნებელი ეპი(ს)კოპოზმ(ა)ნ თეოდოსემ და ს(რულა)დ კრ(ე)ბულთა გა(უ)ჩინეთ ესე"[157]. ზემოთ მოტანილი საბუთისა და ამ აღაპის საფუძველზე ელ. მეტრეველი ვარაუდობდა, რომ ეს აღაპი, შესაძლებელია, საზანოში შეწირულების შემდეგ დაადგინეს გიორგი მეფისათვის.

### მღვიმევის მაცხოვრის ეკლესია

იმერეთის მეფემ ალექსანდრე V-მ (1720-1752) 1741 წელს შესწირა მღვიმევის მონასტრის ნათლისმცემლის ეკლესია იერუსალიმს. შეწირულების სიგელში აღნიშნულია იმერეთის მეფეების მიერ იერუსალიმისათვის თავიანთი შემოსავლის ოცისთავის შეწირულება და ისიც, რომ შეწირულების ადრესატი ქრისტეს საფლავთან ერთად არის ჯვრის მონასტერი: „ძველთაგან ჩვენს მამათა და პაპათა თავისის მოსავლის ოცისთავი შემოეწირათ შენ საფლავისა ქრისტესსა

---

[155] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა... № 8, გვ. 21-22.

[156] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 2, გვ. 16. XVI საუკუნეში იმერეთის მეფის კონსტანტინეს შესახებ, რომელსაც შვილი არ ჰყოლია, სხვა ინფორმაცია არ მოგვეპოვება.

[157] მეტრეველი ელ., მასალები..., გვ. 83, № 45.

და პატიოსნისა ჯვრის მონასტრისათვის. ახლა ჩ[ვენ] [ყველ]ა გან-ვაახლეთ და შემოგწირეთ, მაგრამ საჭმელთა და სასმელთა მირთმე-ვა ვე[რ] [შევ]ძელით და ამის მაგიერად მღვიმე მაცხოვრის საყდარი თავისის ყოვლისფერით... ან ძველთაგან რაც ქონებია, ან ახლად რაც შემატებია აზნაურის შვილთ თუ [გლ]ეხითა შემოგვიწირავს თქვენთვის. თეთრისა, ოქროსა, ვეცხლის თვალსა და მარგალიტსა და ჯამაგირსა ესეები რაც შემოგვივიდეს, ამისი ოცისთავი მოგერთ-მეოდეს უკლებლად"[158].

გიორგი წერეთელს მოტანილი აქვს წარწერები ამ ეკლესიის ნივთებიდან, რომლებშიც ხშირად იხსენიება მღვიმევის მაცხოვრის ეკლესია. მაგალითად: „გაკეთდა საკარისმწირველო ფეშხუმი მეფის სოლომონის განსაძლიერებლათ და დედოფლის მარიამის სულის სა-ოხად და შეგვიწირავს მღვიმის მაცხოვრისათვის: ვინც გამოსწიროს შეჩვენებულ იყოს"[159] და სხვ. თუმცა მაცხოვრის ეკლესიის იერუსა-ლიმისადმი კუთვნილება არც ერთ წარწერაში არაა აღნიშნული.

## ფარცხანაყანევი, ღოდორა

1760 წელს თეიმურაზ ბატონიშვილმა ქრისტეს საფლავსა და ჯვრის მონასტერს განუახლა გლეხების შეწირულება ღოდორასა და ფარცხანაყანევში. ღოდორაში შეუწირავთ ათი კომლი სტეფნაძეები, ხოლო ფარცხანაყანევში სამი კომლი თევდორაძეები. გარდა ამისა, დარეჯან დადიანის ასულს ბატონიშვილ მამუკას სულის საოხად შეუწირავს ოქროს კანდელი[160]. 1764 წელს, ღოდორა ლიჩთან, სვერის ციხესთან და ფარცხნალის ხეობასთან ერთად მამუკა მეფესა და დარეჯან დედოფალს უბოძებიათ ზურაბ აბაშიძისათვის[161].

70-იანი წლების დასაწყისში ღოდორა სოლომონ პირველს უბოძე-ბია წერეთლებისათვის[162]. ღოდორა მანამდეც ყოფილა წერეთლების საკუთრებაში. 1661 წელს ქაიხოსრო წერეთელს არჩილ მეფემ მისცა ნიგნი: „ხეფინის ხევის მოურაობას დაგვეაჯენით და ჩვენ ვისმინეთ

---

[158] ქუთაისის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (ქვემოთ ქიემ) 1343.

[159] იქვე, გვ. 97.

[160] Sd-5240.

[161] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა... № 83, გვ. 78.

[162] იქვე, გვ. 108.

აჯა და მოხსენება და ზემო ქვეყანას ჴეფინის ხევი და ლიჩი და ღოდორა..."[163].

ღოდორა მოხსენიებულია 1401-1415 წლებში ქუცნა ამირეჯიბის მიერ გაცემულ შეწირულების სიგელში ულუმბოს მონასტრისადმი: „ნაოჴარი სოფლები ღოდორა, ლიჩი და გოლისი"[164].

## შუქრუთი, ნირქვალი, ზოდი, წინსოფელი, თაბაგრები

აღნიშნულ სოფლებში იერუსალიმის კუთვნილი ყმა-მამულის შესახებ შემორჩენილი გვაქვს ორი საბუთი. ერთი მათგანი დამტკიცებულია ჯვარის მამა ათანასეს მიერ[165]. მეორე მათგანში კი აღნიშნულია, რომ იქ დასახელებული გლეხები და მათი გადასახადები გადმოწერილია ჯვარის მამის დავთრიდან[166]. ქიემ 43-ს ახლავს ათანასე ჯვარის მამის ბეჭედი, რომელზედაც აღბეჭდილია 1793 წელი. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ათანასე ჯვარის მამა საქართველოში მოღვაწეობდა 1788-1804 წლებში. ერთი საბუთი გვამცნობს, რომ 1895 წელს იგი გამგზავრებულა იმერეთში შეწირულებების გასაახლებლად[167]. აღნიშნული საბუთიც ალბათ ამ დროისათვის არის გაცემული. საბუთებში დაწვრილებითაა ჩამოთვლილი იერუსალიმისათვის შეწირული ყმაგლეხები და მათი გადასახადები აღნიშნულ სოფლებში. შუქრუთში იერუსალიმს ეკუთვნოდა ჩაჩანიძეები და გაფრინდაშვილები. ნირქვალში – გურიელები; ზოდში – ბოყოველები; თაბაგრებში – ანდღულაძეები და ჯიქიძეები; წინსოფელში – ჩუბინიძეები და სხვ.

---

[163] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, III, თბ. გვ. 376.
[164] ქრონიკები, II, გვ. 207-212.
[165] ქიემ 43.
[166] ქიემ 256 (ა).
[167] სცსა 1450-51/201.

## § 4. გურიის სამთავრო

### ჩაიხედენა, ბაილეთი

გურიაში იერუსალიმისადმი ყმა-მამულის შეწირულების ყველაზე ადრინდელ ცნობას გვაწვდის მამია II გურიელის (1600-1625) მიერ გაცემული საბუთი სოფელ ჩაიხედენაში ეკლესიის აგებისა და მისი იერუსალიმისადმი შეწირვის შესახებ. საბუთი მოგვითხრობს შემდეგს: სოფელ ჩაიხედენაში გარდაცვლილა მამია II-ის ძე მანუჩარი. მამიას მეუღლე, ათაბაგის ასული თინათინი, როგორც საბუთიდან ჩანს, უკვე გარდაცვლილი ყოფილა. დაახლოებით ამ დროისათვის, – „მას ჟამსა ოდეს მანუჩარი მიიცვალა ჩეხედენას", – გურიაში ჩასულა იერუსალიმის პატრიარქი თეოფანე და მისი კურთხევით საყდრის მშენებლობა დაუწყიათ. საყდრის მშენებლობის მთელი დროის განმავლობაში პატრიარქი საქართველოში ყოფილა: „და რა საყდარი გათავდა, მიბრძანდა პატრიაქი, აკურთხა და იელუსარემის მეტოქედ ქნა". პატრიარქს თავის ვექილად – „მიზდა ვექილად" – ჩაიხედენაში დაუდგენია ალანეთის მიტროპოლიტი გაბრიელი. გარდა ამისა, მამია II-ეს იერუსალიმისათვის შეუწირავს ამავე სოფელში მცხოვრები ათი კომლი და ბაილეთში „მოქიური სასახლე" ოცი კომლით[168].

სოფელი ჩაიხედენა, ამ სახელწოდებით, დღეს აღარ არსებობს. მისი მოსახლეობა აყრილა და გადასახლებულა შუა გურიაში XVIII საუკუნის 70-იან წლებში, ქვემო გურიაში თურქეთის შემოჭრისა და ისლამის გავრცელების გაძლიერების გამო[169]. ჩაიხედენა, როგორც ვარაუდობენ, მდებარეობდა სოფლების: სკურას, ცხრაფონასა და ქაქუთის მიდამოებში[170]. ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილი გურიის რუკა, სადაც ჩაიხედენა სწორედ ქაქუთის მეზობლადაა აღნიშნული[171]. ამ სოფლის სახ-

---

[168] Ad-1913. ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 147, გვ. 137-140; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1963, გვ. 649.

[169] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს პოლიტიკური ისტორიიდან, მაცნე, 1964, № 4, გვ. 129; ც. ქათამაძე, ოსმალები და საჯვარისმამო ყმა-მამული, საისტორიო მაცნე, ბათ., 1996, გვ. 17-21.

[170] ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, II, ბათუმი, 1959, 121-123; ა. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, IX, თბ., 1995, ჩაიხედენა, გვ. 7-8.

[171] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, თბ., 1997, გვ. 53.

ელი გურიის სამთავროს საბუთებში რამდენიმე ვარიანტით გვხვდება: „ჩაიხედნა“, „ჩეიხედენა“, „ჩახედნა“, „ჩაიხედნა“, „ჩეხედენა“, „ჩიხედნა“, „ჩეხერდნა“. ალ. ღლონტის აზრით, თავდაპირველი უნდა იყოს „ჩაიხედენა“[172]. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ რუკაზეც დაახლოებით ასეთივე სახელია დაფიქსირებული – „ჩაიხედნა“.

როდის უნდა იყოს აშენებული ჩაიხედენას ეკლესია? ქ. ჩხატარაიშვილს მანუჩარის გარდაცვალებისა და, მაშასადამე, ეკლესიის აშენების სავარაუდო დროდ 1609-1610 წლები აქვს დასახელებული. XVII-XVIII საუკუნეების ჟამ-გულანზე მიწერილ ქრონიკალურ ცნობებს შორის, რომლებიც ძირითადად გურიელებს ეხება, არის ასეთი: „1612 – აქა მანუჩარ ბატონიშვილი მიიცვალა“[173]. გასათვალისწინებელია შემდეგიც: თეოფანე იერუსალიმის პატრიარქი იყო 1608-1644 წლებში. ჩვენთვის ცნობილია, რომ 1613 წელს თეოფანე ყოფილა ქართლში, ლუარსაბ II-სთან, რომელსაც შეუწირავს იერუსალიმისათვის თერგვისი და „სალოლაშენი არადეთს“. პატრიარქი უნდა ჩასულიყო კახეთშიც, თეიმურაზ I-თან, რომელსაც იერუსალიმისათვის შეუწირავს სოფელი აღდგომა და მამულები კისისხევში. თეოფანეს კახეთში ყოფნის შესახებ გვამცნობს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი ნაზარალიხანისადმიც[174]. 1619 წელს კი თეოფანე უკვე მოსკოვში ყოფილა[175]. თეოფანეს საქართველოში ყოფნა უნდა ვივარაუდოთ 1614 წლამდე, კახეთში შაჰ-აბასის შემოსევების დაწყებამდე. 1614 წლის გაზაფხულზე შაჰ-აბასი კახეთში შემოიჭრა. თეიმურაზი იძულებული გახდა ქართლში გადასულიყო, ხოლო შემდეგ ქართლის მეფე ლუარსაბთან ერთად იმერეთს შეაფარა თავი[176].

მოგვიანებით, დაახლოებით 1647-1658 წლებში, ჩაიხედენასა და ბაილეთის იერუსალიმისადმი შეწირულებას ამტკიცებს ქაიხოსრო I

---

172 ა. ღლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, გვ. 4. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა..., გვ. 248.

173 S-1204, ჟ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 66; თ. ჟორდანია, Пять грузинских исторических хроник, Духовный вестник грузинского экзархата, 1903, № 7-8, გვ. 28.

174 Послания... გვ. 4.

175 Каптерев Н., Сношения..., გვ. 27.

176 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 263-264.

გურიელი. საბუთი გაცემულია ჯვარის მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილის სახელზე[177].

## კონჭკათი, მამათი, ჩოჩხათი, ჩაქვისთავი

გურიის საიერუსალიმო მამულებს შორის იხსენიება სოფლების: კონჭკათის, მამათის, ჩოჩხათის და ჩაქვისთავის ყმა-მამული. 1717 წელს, გურიაში ჩასულა ჯვარის მამა ზაბილონი. გიორგი IV გურიელს მისთვის მიუცია საბუთი, რომლითაც გურიის საიერუსალიმო მამულების ხელშეუხებლობას აღუთქვამდა და არწმუნებდა, რომ „სადაც გურიის საჯვარისმამო მამულები სადმე არის: „მამათს თუ ბაილეთს, ჩოჩხათს თუ ჩაიხედენას და ან კონჭკათს, ჩაქვისთავს ორი კუამლი კაცი არის საჯვარისმამო, ჩვენ არც ის გამოგვიწირავს"[178]. მამათში და კონჭკათში ქრისტეს საფლავს ჰკუთვნებია ეკლესიებიც. საბუთი გაცემულია ჯვარის მამა „ევაკიმეს" მიერ იერუსალიმისადმი შეწირული ყმა-გლეხებისადმი: „წყალობის წიგნი გიბოძეთ მამათს, ქრისტეს საფლავის ეკლესიასა სახელსა ზედა აღშენებულსა იაკობ მამისა უფლისა და კონჭკათს ქრისტეს საფლავის ეკლესიასა სახელსა ზედა აღშენებულსა წმინდისა მთავარანგელოზისა"[179]. ქ. ჩხატარაიშვილის მიხედვით, ორივე ეს ეკლესია XVII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს აშენებული[180]. მამათის წმ. იაკობის სახელობის ეკლესია დღეისათვის აღარ არის შემორჩენილი[181]. ჩაქვისთავი ჩამოაკლდა საიერუსალიმო მამულებს მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის 70-იან წლებში თურქებმა ჩაქვის მხარე დაიკავეს[182].

1739 წელს მამია IV გურიელს ჯვარის მამა გერასიმესათვის განუახლებია იერუსალიმის სამონასტრო მამულების შეწირულება მამათში, ბაილეთში, ჩოჩხათში, ჩაიხედენაში, კონჭკათში და

---

[177] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 148, გვ. 140.

[178] Hd-11270.

[179] Hd-11271.

[180] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო. გვ. 649.

[181] ი. სიხარულიძე, მასალები გურიის ისტორიული გეოგრაფიისათვის, ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 105. ი. სიხარულიძე მამათის აღწერისას შენიშვნაში მიუთითებს, რომ „იქ იყო წმ. იაკობის ეკლესია".

[182] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 652.

ჩაქვისთავში[183]. მამია IV და მისი მეუღლე როდამი კვლავ უახლებენ აღნიშნული სოფლების შეწირულებას ჯვარის მამა ტიმოთეოსს, რომელიც გურიაში XVIII საუკუნის 60-იან წლებში უნდა ყოფილიყო ჩასული[184].

## აცანა

იერუსალიმისათვის შეწირული ყმები ყოფილან აცანაშიც. ბეჟან და გიორგი ტატუაშვილებმა ქრისტეს წმინდა საფლავს, გოლგოთასა და ჯვრის მონასტერს შესწირეს აცანას მსახლობელი ივანე მეგრელიშვილი თავისი მამულით[185].

## გურიანთა

1817 წელს ჯვარის მამა იოაკიმე ჩასულა გურიაში. მამია გურიელს „საღმრთო შურით" მოუძიებია, რაც მის წინაპრებს, მამია და გიორგი გურიელებს „მამათს, კონჭკათს, გურიათას ხომერიკები და ჩოჩხათს ადგილები შეუწირავთ" და ყოველ მათგანს დაადო ბეგარა ექვს-ექვსი მარჩილი[186].

1770-1774 წლებში ჩაიხედნელი გლეხები თურქთა მიერ ქვემო გურიის დაპყრობის გამო თითქმის მთლიანად აიყარნენ და გურიამთის, ექადითისა და ოზურგეთის მიდამოებში დასახლდნენ. ჯვარის მამამ ეს გლეხები გიორგი V გურიელს მიაბარა. გიორგი V-მ მათ სალიანი გადაუწერა და ბეგარა შეუმსუბუქა. მათი გადასახადი იყო კომლზე ერთ ქათამი, ერთ დოქი ღვინო და აღდგომის პური. 1823 წელს ჩაიხედენიდან გადმოსახლებულ გლეხთაგან მარტო გურიამთაში 25 კომლი ცხოვრობდა. XIX საუკუნის დასაწყისში ისინი სხვა მებეგრე გლეხებს გაუთანაბრეს[187].

---

183 ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 151, გვ. 143.

184 იქვე, გვ. 144, № 152. მამია IV გურიელი მთავრობდა 1726-1756, 1758-1765 და 1771-1776 წლებში (ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 359).

185 Hd-11275 საბუთი სავარაუდოდ თარიღდება XVII-XVIII საუკუნეებით.

186 სცსა 1448-3176.

187 ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 653.

### ნაცხავატევი

1761 წელს მამია IV-მ იერუსალიმის ყმებს ახალი შეღავათები მიანიჭა: სოფელ ჩაიხედენასა და ნაცხავატევში მცხოვრებ 14 კომლ „საჯვარისმამო გლეხს" „საქვეყნოდ მოსავალი სალიანი გადაუწერა"[188].

### ზარაფხანის სარგოს შეწირულება

1683 წელს გიორგი დადიან-გურიელსა და მის მეუღლეს თამარს იერუსალიმისათვის შეუწირავთ ზარაფხანის სარგოს ხიშტიდან ყოველწლიურად 200 თეთრი[189].

## § 5. სამეგრელოს სამთავრო

### ხანწკუ

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპთა ტიშენდორფისეულ ნუსხაში არის ერთი, რომელიც გვამცნობს: „გაუჩინეთ ჩუენ, ჯუარის მამამან ნეოფიტემ, გიორგი ლიპარიტელსა და თანამეცხედრესა მისსა ნესტან-დარეჯანს ჭილაძის ასულსა საუკუნოდ აღაპი წმიდისა გიორგისა დღესასწაულსა... ხანწკუ შემოსწირა და მისად სანუქფოდ გაუჩინეთ წირვა და აღაპი"[190]. აღაპი დათარიღებულია 1620 წლით. აღაპში მოხსენიებული გიორგი ლიპარიტიანი არის ლევან II დადიანის ბიძა[191].

ხანწკუ, ვფიქრობთ, უნდა იყოს დღევანდელი ხანწკი, სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. ეს ცნობა საინტერესოა იმითაც, იგი ჯვრის მონასტრის აღაპთა შორის ერთადერთია, სადაც აღნიშნულია ჯვრის მონასტრისადმი საქართველოში უძრავი ქონების შეწირულების ფაქტი.

---

[188] Hd-11269.

[189] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 149, გვ. 140.

[190] ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 26, 77.

[191] ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 218.

## კოცხერი

ოდიშში ჯვრის მონასტრის მეტოქი იყო კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია ზუგდიდის მახლობლად: „რუხს ზემოთ არს ეკლესია გუმბათიანი კოცხერს, ღვთის მშობლისა, კვალად ლეონ დადიანის მანუჩარის ძისაგან აშენებული"[192].

ერთი დოკუმენტის თანახმად, კოცხერის ეკლესია 30 კომლი გლეხით შეუწირავს ქრისტეს საფლავისა და ჯვრის მონასტრისათვის ლევან დადიანს (1611-1658) მეუღლესთან, ნესტან-დარეჯანთან და შვილებთან, ალექსანდრესა და მანუჩართან ერთად 1635 წელს. ამ საბუთს აქვს მინაწერები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ქრისტეს საფლავისათვის სხვადასხვა დროს ყმები შეუწირავთ ვინმე ჯვარისმტვირთველ ნიკოლოზს (1 კომლი); ილარიონ წალენჯიხელს (1 კომლი, რომელიც გამოუსყიდია თათრებისაგან იერუსალიმისაკენ მგზავრობისას)[193]; ლევან III დადიანს (1 კომლი – 1665 წლის მახლობლად) და როდამ შერვაშიძეს (1 კომლი)[194].

კოცხერის ეკლესია და მისი სიძველეები აღწერილი აქვს ექვთიმე თაყაიშვილს[195]. წარწერა მაცხოვრის ხატზე იტყობინება, რომ ეკლესია აუშენებია ლევან II დადიანს მეუღლესთან, ნესტან-დარეჯან ჭილაძის ასულთან ერთად. ეკლესია უკვე აშენებული ყოფილა, როდესაც გარდაცვლილა ნესტან-დარეჯანი. ლევან დადიანმა დაასრულა ეკლესიის შემკობა და შესწირა იგი „ჯვარსა და წმიდასა გოლგოთას". ნესტან-დარეჯანის სიცოცხლეშივე მათ ერთად შეუწირავთ ეკლესიისათვის ოცდაათი კომლი. „ხოლო სხვა ჩვენ

---

192 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ. 151.

193 ილარიონ წალენჯიხელი, როგორც პატრიარქ დოსითეოსის წერილიდან ჩანს, იერუსალიმში იყო 1666 წელს (Цагарели А., Памятники... გვ.71).

194 Какабадзе С. С., Грузинские документы института народов Азии, М., 1967, № 52, გვ. 83.

195 ექ. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, III, თბ., 1913-1914, გვ. 200-205. კოცხერის ეკლესიის სიძველეების, მათ შორის აღნიშნული ხატის შესახებ, იხ. აგრეთვე Кондаков Н., Бакрадзе Д., Опись Памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, СПб, 1890, გვ. 96-101.

შემოგწირეთო", – ამატებს ლევან დადიანი. ხატი, რომელზედაც ეს წარწერაა გაკეთებული 1640 წელს შეუწირავთ ეკლესიისათვის[196]. ცნობილია, აგრეთვე, რომ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის კედელზე ყოფილა ლევან დადიანის წარწერა: „შემოგწირეთ კოცხერი ასის კვამლითა კაცითა"[197].

კოცხერის მშენებლობა, როგორც ჩანს, XVII საუკუნის 30-იანი წლების მახლობლად დაუწყიათ. კათოლიკე მისიონერი ჯუდიჩე მილანელი, რომელიც 1631 წელს ჩამოსულა ქართლში, 1633 წლის ოქტომბერში თანმხლებ პირებთან ერთად სამეგრელოში გამგზავრებულა. მათ მეტად ძნელი მგზავრობა ჰქონიათ. ჯუდიჩე მილანელი წერს, რომ სამეგრელოში ჩასვლისას, „მთავარმა შეიტყო თუ არა ჩვენი გაჭირვება, შევეცოდეთ. შემოგვითვალა, რომ წავსულიყავით კოზხეთად (Chozxcheti), ერთ ადგილას, სადაც საყდარს აშენებდა"[198].

კოცხერის პირველი წინამძღვარი ყოფილა ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, შემდგომში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის იღუმენი, ჯვარის მამა, რომელიც იერუსალიმში წასვლამდე ლევან დადიანის კარზე მოღვაწეობდა[199].

კოცხერის აშენებისა და შეწირულების დრო ემთხვევა პატრიარქ თეოფანე IV-ის (1608-1644 წწ.) მოღვაწეობის ხანას. 1658 წელს კოცხერში გაჩერებულა საქართველოში ჩამოსული იერუსალიმის პატრიარქი პაისიოსი თანმხლებ პირებთან ერთად, რომელთა შორის იყო მომავალი პატრიარქი დოსითეოსი. დოსითეოსი წერს: „პატრიარქი საცხოვრებლად მოათავსეს კოცხერში – იერუსალიმის ივერთა წმინდა ჯვრისადმი დაქვემდებარებულ მონასტერში"[200]. კოცხერის

---

[196] წარწერის ტექსტი – Ad-1507.

[197] ალ. ლორთქიფანიძე, ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე, „ივერია", 1889, № 70.

[198] დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, წერილები საქართველოზე, XVIII ს. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 104.

[199] **Селезнёв М., Руководство к познанию Кавказа, кн. I, СПб, 1847,** გვ. 67. ცნობილია ის ღვაწლი, რომელიც გაუწევია ლევან დადიანს, ნიკიფორე ჩოლოყაშვილთან ერთად ჯვრის მონასტრისადმი. მას მოუხატვინებია და განუახლებია ჯვრის მონასტერი, შეუკეთებია გუმბათი და საკურთხეველი (**Цагарели А.,** Памятники..., გვ.241, 247).

[200] **Селезнёв М., Руководство к познанию Кавказа,** გვ. 32.

ეკლესია აღნიშნულია ტიმოთე გაბაშვილის მიერ 1737 წელს შედგენილ ლიხთ-იმერეთის რუკაზე და მოხსენიებულია როგორც ქრისტეს საფლავის მეტოქი[201].

კოცხერის ეკლესია 1815 წელს განუახლებია ისტორიკოსსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ნიკო დადიანს. ამას გვაუწყებს მხედრული წარწერა ეკლესიაში, სვეტზე: „ყოვლად შეუმკობელისა და დარღვეულისა ეკლესიისა ამის განმაახლებელ აღმაშენებელი და შემამკობელი ნიკოლაჲ დადიანი გუწდრებ აღმომკითხველთა შეწყალება ჩემი ღთისა მიერ ითხოვოთ, რათა თქუწნცა შეგიწყალოსთ ქრისტემან. 1815. ჩყიე წელსა ივნისის 12 იბ"[202].

ეკლესია, როგორც ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერიდან ჩანს, განუახლებიათ 1858 წელს „შემწეობითა ქრისტეს საფლავის არხიმანდრიტის პროკოფიოსისა"[203].

* * *

ზემოთ განხილული საისტორიო წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოში იერუსალიმის მიწათმფლობელობა, ძირითადად, ჩამოყალიბებულა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე: სოფელი დირბი და, ალბათ, დირბის ღვთისმშობლის ეკლესიაც შეწირულია სვიმონ I-ის მიერ 1556-1588 წლებში; თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის აშენების დრო XVI საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით თარიღდება; აღდგომის ეკლესია აშენებულია ალექსანდრე II-ის მიერ XVI საუკუნის 70-იან წლებში და შეწირულია იერუსალიმისადმი თეიმურაზ I-ის მიერ, ალბათ, 1612-1614 წლებში; ჩაიხედენას ეკლესია თავისი ყმა-მამულით აშენებულია და შეწირულია იერუსალიმისადმი მამია II გურიელის მიერ დაახლოებით 1610-1612 წლებში; კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია აშენებულია და შეწირული თავისი ყმა-მამულით იერუსალიმისადმი ლევან II დადიანის მიერ 1635 წელს. ზემოთ ჩვენ განხილული

---

[201] შ. ბურჯანაძე, ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო, თბ., 1959, გვ. 194.

[202] ექ. თაყაშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, გვ. 201-202.

[203] იქვე.

გვქონდა დოკუმენტები ამ შენირულებათა შესახებ და, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა ინვევდეს, რომ დასახელებული ეკლესიებისა და ყმა-მამულის შენირულების საბუთები წარმოადგენს პირველშენირულე-ბას და არა ძველის განახლებასა და ხელახლა დამტკიცებას. შემდ-გომ ხანებში, XIX საუკუნემდე, ქართველი მეფე-მთავრები, რა თქმა უნდა, პერიოდულად უახლებდნენ იერუსალიმს ძველ შენირულებებს, ან უმატებდნენ ახალს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: ჰქონდა თუ არა იერუსალიმის სა-პატრიარქოს ან პალესტინის ქართულ ეკლესია-მონასტრებს რაიმე უძრავი ქონება საქართველოში XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე?

ქართულ საისტორიო წყაროებში შემონახულია ცნობები V-XVI სა-უკუნეებში ქართველი მეფე-დიდებულების მიერ იერუსალიმის სი-ნმინდეებისადმი შენირულების გაღების შესახებ.

მემატიანე ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს ასახელებს ერთ-ერთ უპირველეს პილიგრიმად და მდიდრული შენირულების მიმძღვნელად იერუსალიმისადმი. იგი დედასა და დასთან ერთად ჩასულა იერუსა-ლიმში: „...შევიდეს და ილოცეს ნმიდასა აღდგომასა და მოილოცნეს ყოველნი ადგილნი ნმიდანი და შევედრნეს ნმიდასა აღდგომასა და შენირეს შესანირავი დიდი და ნარმოვიდეს ანტიოქიას...“[204].

საგანგებოდ აღნიშნავენ დავით აღმაშენებლისა და თამარ მე-ფის ისტორიკოსები მათ დიდ ღვანლს იერუსალიმის ნმინდა ადგ-ილების ნინაშე. დავითის შესახებ ნათქვამია: „...არამედ ლავრანი პალესტინისანი აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი თუითოფერი-თა მიერ შესანირავითა განამდიდრნა“[205]. ასევე, თამარმაც: „...ხოლო იერუსალიმისათვის რაღლა სახმარ არს თქმად, რამეთუ ნარგზა-ვნიდის ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სინმინდეთა საბურავებსა და მონაზონთა გლახაკთათვის ოქროთა აურაცხელთა[206]".

IX საუკუნის ქართველი ნარჩინებულისა და მონამის კონსტანტი კახის შესახებ აგიოგრაფი ამბობს: „მოინია იგი იერუსალიმად და

---

[204] ქ.ც. I, გვ. 186.
[205] იქვე, გვ. 353.
[206] იქვე, გვ. 368.

მოილოცნა წმინდანი ადგილნი და საფასჱ დიდძალი მისცა ეკლესიათ, გლახაკთა და მკჳდრთა იერუსალემისათა. და მერმე გამოვიდა იერუსალემით და მოვლნა ყოველნი მონასტერნი უდაბნოჲსანი და მკჳდრნი იორდანისანი და მრავალი განსუენებაჲ და ნუგეშინის ცემაჲ მიჰმადლა მათ". კონსტანტი კახი სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც არ ივიწყებდა წმინდა ადგილებს: „...და რაჲ წელიწად წარსცის ერთსა მსახურსა მისთაგანსა სამი ბევრი ვეცხლი, რომელიმე მისგანი წმიდათა ადგილთათჳს და რომელიმე უდაბნოთათჳს და რომელიმე გლახაკთათჳს, რომელნი მკჳდრ იყვნეს იერუსალემს შინა"[207].

განსაკუთრებით საყურადღებოა ამ თვალსაზრისით იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპების ცნობები. როგორც ცნობილია, ალაპები, სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, შეიცავს მდიდარ მასალას იმ შენირულებათა შესახებ, რომელიც მისდიოდა ჯვარს XI-XVII საუკუნეების მანძილზე. დასახელებულია საქართველოს ისტორიაში არაერთი ცნობილი მეფე და დიდგვაროვანი, რომელთაც ფული ან სხვა ძვირფასეულობა შეუწირავთ პალესტინის ქართული სავანეებისათვის. ალაპებში არის ცნობები იმ უძრავი ქონების შესახებაც, რომელიც ეკუთვნოდა ჯვარს იერუსალიმში XI-XVII საუკუნეებში. ასეთი იყო: აქაია (XIII ს.)[208]; ლელვნარი (XIII ს.)[209]; სახლი მეტოქედ რამლაში (XIV საუკუნის პირველი ნახევარი)[210]; ცხრაშაულის ადგილი (XV ს.)[211]. ამბროსაული – ამბროსეს მიერ ნასყიდი საყანე ადგილი, რომელიც შემდეგ ვენახად გაუშენებიათ (XV-XVII სს.)[212]. ცნობილია, აგრეთვე, რომ ჯვარს ეკუთვნოდა პალესტინაში სოფლები: ჯალჯალა, დეირ მუსა, დეირ ქაქულა და მალჰა[213].

უძრავი ქონების ერთადერთი შენირულება საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც დასტურდება ალაპებში, არის გიორგი ლიპარი-

---

[207] ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა მოწამისა კონსტანტისი ქართველისაჲ, რომელი ენამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 166.

[208] ელ. მეტრეველი, მასალები . , № 123, გვ. 90; 123 ა, გვ. 91.

[209] იქვე, № 16, გვ. 80.

[210] იქვე, № 4ა, 9, გვ.79, 80, 301.

[211] იქვე, № I-75, გვ. 75.

[212] იქვე, № 58, გვ. 84, 133.

[213] **B. Abu Manneh**, The Georgians in Jerusalem..., გვ. 108-109. მალჰას შესახებ იხილეთ, აგრეთვე, **Цагарели А.**, Памятники... .... გვ. 140-141.

ტიანისა და ნესტან-დარეჯანის მიერ ხანწკუს შეწირვა. გასათვალისწინებელია, რომ აღაპებში ზოგჯერ არაა აღნიშნული იმ პირთა დამსახურება იერუსალიმის წინაშე, ვის სახელზეცაა აღაპი დადგენილი. ამის გამო, დასაშვებია, რომ რომელიმე მათგანს რაიმე სახის უძრავი ქონება შეეწირა ჯვრისათვის საქართველოში.

რაც მთავარია, ცნობები საქართველოში იერუსალიმისათვის უძრავი ქონების შეწირულების შესახებ XVI საუკუნის II ნახევრამდე არაა დადასტურებული ქართველი მეფეების მიერ გაცემულ ჩვენამდე მოღწეულ სიგელებში. „პირთა ანოტირებული ლექსიკონის" პირველ ტომში ეს საბუთები ერთადაა თავმოყრილი და ჩვენ საშუალება გვაქვს დარწმუნებით ვიმსჯელოთ ამის შესახებ[214].

მოგვეპოვება თუ არა რაიმე, თუნდაც დოკუმენტურად არასათანოდ დასაბუთებული ცნობა საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო ქონების შესახებ XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე? ზემოთ, თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის ისტორიას როდესაც ვეხებოდით, მოტანილი გვქონდა პლატონ იოსელიანის ცნობა, რომ ჯვრის მონასტერს უკვე V საუკუნეშივე ჰქონია თბილისში თავისი მეტოქი ეკლესია. თეორიულად ასეთი რამ დასაშვებია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მთავარი ეკლესიის ბოლოდროინდელი არქეოლოგიური გათხრების მონაცემებს, რომლის მიხედვითაც ამ ეკლესიის აშენების დრო IV-V საუკუნეების მიჯნით არის განსაზღვრული[215]. საინტერესო ცნობას გვაწვდის, აგრეთვე, XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი და მოგზაური ფადალლაჰ ალ'ომარი. იერუსალიმში ყოფნისას ის შეხვედრია ჯვრის მონასტრის ქართველ ბერებს, რომელთაც უთქვამთ მისთვის, რომ „მათ სამშობლოში მონასტერი ფლობს სამონასტრო ქონებას (ვუკუფ), მათ შორის ცხენების რემასაც, რომლის ნამატის ფასს ისინი იღებენ. აქედან მონასტერს ყოველწლიურად დიდძალი თანხა შემოდის, რომელიც მის საჭიროებასა და მოგზაურებზე იხარჯება"[216]. როგორც ვხედავთ, ორივე ზემოთ მოტანილი ინფორმაცია არაპირ-

---

[214] პ.ა.ლ. I, ბაგრატოვანი, გვ. 212-371.

[215] A. Economopoulos, Fresh Data Resulting from the Excavation in the Church of the Monastery of the Holy Cross at Jerusalem.

[216] გ. ჯაფარიძე, XIV საუკუნის არაბი ენციკლოპედისტი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის შესახებ, გვ. 183; ი. დავიდი, ნაწერები, I, გვ. 295.

დაპირია, არ არის საკმარისად დოკუმენტურად დადასტურებული, რის გამოც მათ ვერ მივილებთ, როგორც უეჭველ საბუთებს, თუმცა სავსებითაც ვერ უკუვაგდებთ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრამდე იერუსალიმის ქართული კოლონია საქართველოში ფლობდა რაიმე სახის უძრავ ან მოძრავ ქონებას, მაგრამ ის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დრომდე ის უნდა ყოფილიყო ბევრად უფრო ცოტა, ხოლო ყმა-მამულის შენირულებები კი – არასისტემატური. XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან კი იწყება იერუსალიმ-საქართველოს ურთიერთობის თვისობრივად ახალი ეტაპი, რაც გამოიხატება უძრავი ქონების ინტენსიურ შენირვაში საქართველოს ტერიტორიაზე პალესტინის წმინდა ადგილებისადმი. ქვემოთ მოკლედ შევჩერდებით იმ გარემოებებზე, რომლებიც თან სდევდა და რამდენადმე განაპირობებდა კიდეც ამ მოვლენას.

XV საუკუნემდე, პალესტინაში მამლუქების ბატონობის პერიოდში, ეგვიპტელი სულთნები დაინტერესებულნი იყვნენ ქართველებთან მეგობრული ურთიერთობით. რ. ჟანენი მამლუქების ასეთ განწყობას იმით ხსნიდა, რომ მათ შორის ბევრი იყო ქართველების ჩამომავალი და ნათესაური გრძნობები აკავშირებდათ ქართველებთან[217]. ბ. აბუ მანეს ასეთი დასაბუთება საკმარისად არ მიაჩნია და მამლუქების კეთილგანწყობას ქართველებისადმი ხსნის, მისი აზრით, უფრო დამაჯერებელი არგუმენტებით: – მამლუქები თავიანთი არმიის რიგებს ხშირად ავსებდნენ ჩეჩენი წარმომავლობის მეომრებით, რისთვისაც მათ სჭირდებოდათ საქართველოს გავლით მშვიდობიანი და დიდი გადასახადებისაგან თავისუფალი მგზავრობის გარანტია. გარდა ამისა, ქართველები არ უშლიდნენ ხელს საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებს, რომელთა შორის ბევრი იყო ეგვიპტიდან ჩასული, მშვიდობიან ცხოვრებასა და რელიგიური წესების შესრულებაში. საპასუხოდ, ისინი სულთნებისაგან მოითხოვდნენ რომ ქართველებს პალესტინაში ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონოდათ. სწორედ მამლუქების ბატონობის პერიოდში შეუძენიათ ქართველებს იერუსალიმში და მის მახლობლად უძრავი ქონება და, მათ შორის, სოფლებიც[218].

---

[217] რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, გვ. 16.

[218] **Butrus Abu-Maneh**, The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period, გვ. 108-109.

ყურადღებას იქცევს მამლუქების პერიოდში იერუსალიმში ქართველებისა და ბერძნების ურთიერთობის საკითხიც. ოტომანების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ (1453 წ.) ბერძენი ბერები, მამლუქების შეხედულებით, თავიანთი ახალი ბატონების მომხრეები იყვნენ. ამიტომ, მამლუქებსა და ოტომანთა შორის დაძაბულობის ზრდასთან ერთად, ისინი (მამლუქები – ნ. ხ.) უფრო და უფრო ხშირად ემუქრებოდნენ ბერძნებს მოსალოდნელი დევნით. ბერძნებისათვის ამ მძიმე წლებში მათ მომხრეებად და დამცველებად ხშირად ქართველები გამოდიოდნენ. ამ ფაქტს აღნიშნავენ იერუსალიმის ისტორიის როგორც ძველი, ასევე თანამედროვე მკვლევრები[219].

XVI საუკუნის დამდეგიდან, თურქების მიერ იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ (1517 წ.) მდგომარეობა შეიცვალა.

მ. სიმსკი თავის თხზულებაში „История Иерусалимских патриархов" აღნიშნავს რომ ცვლილებები მოხდა თვითონ იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს ეთნიკურ შემადგენლობაში. XVI საუკუნის 30-იან წლებამდე იერუსალიმის პატრიარქებს უმთავრესად ადგილობრივი არაბებიდან ირჩევდნენ[220]. პირველი ბერძენი პატრიარქი გახდა გერმანე II (1534-1579)[221]. მას სრულყოფილად სცოდნია არაბული, იმდენად, რომ არაბადაც კი მიიჩნევდნენ. თავდაპირველად იგი ყოფილა დიაკვანი საპატრიარქოს მონასტერში. შემდეგ, თავისი გამორჩეული ნიჭის წყალობით, მიაღწია იმას, რომ პატრიარქად აირჩიეს, რის შემდეგაც თანდათანობით გააძლიერა ბერძნების გავლენა იერუსალიმის საპატრიარქოში[222]. მის დროსვე ჩაეყარა საფუძველი

---

[219] Послания..., გვ. 3-4; Vassilios Tsaferis, The Monastery of the Holy Cross in Jerusalem, Jerusalem, 1987, გვ.12.

[220] Симский М., История Иерусалимских патриархов, Православный палестинский сборник, т. XIX, вып. I, СПб, 1904, გვ. 41.

[221] გერმანეს წინ პატრიარქი იყო დოროთეოს II (1493-1534), რომლის არაბული სახელიც იყო ატალა. მისი არაბული სახელი უნდა შეეცვალათ ბერძნულით არა უადრეს XVII ს-სა, როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოს II-მ დაიწყო მასალების შეგროვება თავისი წიგნისათვის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორია" (Описание святых мест Безимянного, изданное в первый раз с предисловием А. И. Пападопуло-Керамевсом, Православный палестинский сборник, т XI, вып. 2, СПб, 1890, გვ. III). პირველ ბერძენ პატრიარქად ასახელებს აგრეთვე გერმანე II-ს მ. სიმსკი (Симский М., История Иерусалимских патриархов, გვ. 42).

[222] История святого града Иерусалима, გვ. 270-271.

იერუსალიმის საპატრიარქოს ინტენსიურ ურთიერთობას მართლმადიდებლურ ქვეყნებთან.

გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც: იერუსალიმელ არაბ პატრიარქებს ეგვიპტელი სულთნები ხელს უშლიდნენ ემოგზაურათ მეზობელ სახელმწიფოებში. მას შემდეგ, რაც თურქებმა პალესტინა დაიკავეს, იერუსალიმელი პატრიარქებისათვის ადვილი გახდა მოგზაურობა მართლმადიდებლურ ქვეყნებში, რადგან ხშირად ეს ნიშნავდა ოტომანთა იმპერიის საზღვრებში გადაადგილებას, ან იმპერიის მოსაზღვრე ქვეყნებში ჩასვლას[223]. „კალმასობისათვის შორეულ მეტოქებში მღვდელმთავრებისა და მათი რწმუნებულების უსაფრთხო მოგზაურობა გარანტირებული იყო სულთნის ბარათებითა და ფირმანებით, რომლებიც საკუთარი სახელის მიუთითებლად ეგზავნებოდათ ბეგლარბეგსა და სანჯაყბეგს, მუთესელიმსა და ყადის (ასე ხდებოდა ყოველთვის, როცა სიგელი მრავალ ადრესატს გულისხმობდა). ახლა გასაგები უნდა იყოს, რატომ გახშირდა ბერძენი პატრიარქებისა და მათი ვექილების ჩამოსვლა საქართველოში შენირულებათა აკრეფისა და ახლის გაჩენის მიზნით“[224].

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა გერმანე II-ის მომდევნო პატრიარქების: სოფრონიუს V-ისა (1579-1607) და თეოფანე IV-ის (1608-1644) მოღვაწეობა. სოფრონიუსს თავისი პატრიარქობის დროს უმოგზაურია შენირულებათა შესაგროვებლად ეგვიპტეში, სინას მთაზე, კონსტანტინოპოლსა და მოლდავეთში[225]. ასევე ბევრს მოგზაურობდა თეოფანეც. მისთვის მდიდრული შენირულებები მიუძღვნიათ რუსეთსა და მოლდავეთში[226]. გარდა ამისა, მისივე პატრიარქობის დროს მოლდავეთში უფლის საფლავისათვის შეუწირავთ მონასტერი იასას მახლობლად; ვლახეთში შეუძენია წმ. გიორგის სახელობის მონასტერი, ხოლო კონსტანტინოპოლში ყოფნისას უყიდია მამულები ეკლესიით[227]. საქართველოში მის მიერ მოპოვებული ყმამამულისა და ეკლესიების შესახებ ზემოთ გვქონდა აღნიშნული.

---

[223] **Каптерев Н.**, Сношения..., გვ. 6.

[224] ც. აბულაძე, პალესტინის ქართული კოლონია ოსმალთა ბატონობის ხანაში, ხელნაწერი, გვ. 10.

[225] იქვე, გვ. 274-275.

[226] იქვე, გვ. 30, 54, 55...

[227] История святого града Иерусалима, გვ. 297-298.

როდესაც ვლაპარაკობთ XVI საუკუნის მინურულიდან საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მინათმფლობელობის ჩამოყალიბების გამომწვევ მიზეზებსა და პოლიტიკურ გარემოპირობებზე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ისიც, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს დაშლამ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დალმავლობამ თავისი კვალი დააჩნია საზღვარგარეთის ქართული კოლონიების ცხოვრებასაც. ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ყველაზე ადრე ამგვარი მდგომარეობა უცხოეთში მდებარე ათონისა და პალესტინა-სინას მთის ქართულ მონასტრებსა და სავანეებს დამჩნევიათ... ქვეყნის აშლილობითა და თურქთა გაბატონებით გამოწვეულმა შორეული გზების საშიშროებამ ერთი მხრით, მეორე მხრით ხალხის გალარიბებამ ათონსა და პალესტინაში წამსვლელთა რიცხვი წინანდელთან შედარებით ძალზე შეამცირა, თანაც მლოცველებსაც წინანდებურად დიდი ფულის თანწალება და შეწირვა აღარ შეეძლოთ. ამის გამო, მონასტრები გაჭირვებაში ჩაცვივდნენ და უსახსრობა დაეტყოთ. უფულობის გამოისობით შენობების შეკეთებას ველარ ახერხებდნენ და ლამის თავზე დანგრეოდათ".[228] ამგვარი მდგომარეობა ხელს უწყობდა იერუსალიმელ პატრიარქებს მოეპოვებინათ ყმა-მამული საქართველოში იერუსალიმის ქართული მონასტრების გადარჩენის საბაბით.

საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მინათმფლობელობის ჩამოყალიბება უნდა დაწყებულიყო პატრიარქ სოფრონიუს V-ის დროს (1579-1607) როდესაც უფრო ფართოდ გაიშალა იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ ყმა-მამულის მოპოვებისაკენ მიმართული საქმიანობა. თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის აშენებისა და სოფელ დირბის შეწირულების თარილიც XVI საუკუნის ბოლო მეოთხედისაკენ იხრება. თეოფანე IV-ის დროს კი (1608-1644) ძირითადად დასრულდა ამ მინათმფლობელობის ჩამოყალიბება (ჩაიხედენა, აღდგომა, კოცხერი).

საბუთებიდან ვხედავთ აგრეთვე, რომ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მცდელობას, – მოეპოვებინა საქართველოში ყმა-მამული, – მხარს უჭერდნენ ქართველი მეფე-მთავრები. სხვა შემთხვევაში რაიმე სერიოზულ შეწირულებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნე-

---

[228] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 184.

ბოდა. ამავე დროს, თუ იერუსალიმელი პატრიარქები ზრუნავდნენ იერუსალიმის საპატრიარქოს ინტერესებისათვის, ქართულ მხარეს არ შეიძლებოდა არ გაეთვალისწინებინა იერუსალიმის ქართული კოლონიის, ქართული ეკლესია-მონასტრების ინტერესები. ისმის კითხვა: ვინ შეიძლება ჩაითვალოს საქართველოში იერუსალიმისადმი შეწირული ყმა-მამულის მფლობელად – იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, პალესტინის ქართული ეკლესია-მონასტრები, თუ ორივე ერთად? როგორ იყო მათ შორის ამ საკუთრებაზე უფლებები განაწილებული? როგორი დამოკიდებულება იყო იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსა და იერუსალიმის ქართულ კოლონიას შორის? ამ კითხვებს ამომწურავად ვერ ვუპასუხებთ მანამ, სანამ არ იქნება ხელმისაწვდომი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს არქივის მონაცემები. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული წყაროებითაც შეიძლება გარკვეული წარმოდგენის შექმნა ამ საკითხის ირგვლივ.

ჯერ-ჯერობით, ჩვენ არა გვაქვს ზუსტი ინფორმაცია იერუსალიმის ქართულ მონასტრებსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ XI საუკუნიდან XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე. მაგრამ იმავე ჯვრის მონასტრის აღაპებში დაცული ცნობები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ იერუსალიმის ქართული კოლონია ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ავტონომიურობით სარგებლობდა და, ძირითადად, თვითონ განაგებდა თავისი მონასტრების საქმეებს. პალესტინის ქართული მონასტრები თავს აღიქვამდნენ დამოუკიდებლად, ხოლო საქართველოდან გაგზავნილი შეწირულება უშუალოდ მისდიოდა ჯვარს. ამის დამადასტურებელი მაგალითებიდან მოვიტანთ რამდენიმე მათგანს: „...მამასვე(?) დღესა შვდი ათასი თეთრი გავიყავით იჵრუს(ა)ლ(ე)მს მყ(ო)ფთა ქრისტ(ი)ანეთა ქა(რთვ)ელ[თა]. მივეცით პატრიაქსა და მისთა მუნასტერთა ორი ათასი თეთრი ამ(ა)სვე დღეს" (XIII ს.)[229]. ამ აღაპიდან ვერ ვხედავთ, რატომ უნდა გადაეხადათ ორი ათასი ფლური იერუსალიმის პატრიარქისათვის. შესაძლოა, ეს იყო რაიმე დადგენილი გადასახადი ან ვალი. მეორე მხრივ, ფრაზა „პატრიაქსა და მისთა მუნასტერთა" გარკვევით მიგვანიშნებს, რომ ქართველი ბერები თავიანთ თავსა და მონასტრებს მაინცდამაინც არ აიგივებდნენ

---

229 ელ. მეტრეველი, მასალები... № 123, გვ. 90.

იერუსალიმის საპატრიარქოსთან. 1567 წელს ფილიპე შაქარაშვილს იერუსალიმში ჩაუტანია ვარაზ სურხანის შვილის მიერ გაგზავნილი საალაპე ფული. ეს ფული სხვადასხვა მიზნებისათვის გაუნაწილებია და მათ შორის, როგორც ალაპშია ნათქვამი: „თითო ფლ(უ)რი იჱ(რუსა)ლ(ი)მს ჩ(უე)ნს მ(ო)ნ(ა)სტრებს მისცაჲ"[230].

ამ თვალსაზრისით ქართველები გამონაკლისნი არ იყვნენ. წიგნში „История святого града Иерусалима", – შესაძლოა, დოსითეოსის „იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაზე" დაყრდნობით, რომელსაც ასე ხშირად იშველიებს უცნობი ავტორი, – აღნიშნულია, რომ სერბებს, ისევე როგორც ქართველებს, რომელთაც თავიანთი კათალიკოსი ჰყავდათ, არ სურდათ დამორჩილებოდნენ იერუსალიმის ბერძენ პატრიარქებს. იერუსალიმელი პატრიარქებისაგან ისინი მოითხოვდნენ, რომ, ქართველების მსგავსად, მათაც ჰქონოდათ თავიანთი სამლოცველო აღდგომის ეკლესიაში[231].

XVI საუკუნის დასასრულისათვის იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ აქტიურად დაიწყო ყმა-მამულის მოპოვება საქართველოში. იერუსალიმისადმი უძრავი ქონების შეწირულებასთან დაკავშირებულ საისტორიო საბუთებში შეწირულების ადრესატად უმეტესად (ყოველ შემთხვევაში XIX საუკუნემდე მაინც) დასახელებულია როგორც საერთო ქრისტიანული სიწმინდეები: უფლის საფლავი, აღდგომა და გოლგოთა, ასევე, და უფრო ხშირად პირველ რიგში, ჯვრის მონასტერი, რომელიც XI-XVII საუკუნეებში იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრი. დირბის სამღებროს შეწირულების წიგნში ნათქვამია: „შემოსწირა სოფელი დირბი წმიდასა და განმაცხოველებელსა ჯვარის მონასტერსა და ცხოველმყოფელსა აღსადგომელსა საფლავსა უფლისასა და საუფლოთა სისხლითა მორწყულსა წმიდასა გოლგოთასა"[232]. თვითონ დირბის სამღებრო კი, როგორც ვნახეთ, იერუსალიმის წმ. ნიკოლოზის მონასტრისადმია შეწირული. 1647-1649 წლებში ქაიხოსრო გურიელის მიერ გაცემულ საბუთში ნათქვამია: „ჩაიხედენა და ბაილეთი ქრისტეს საფლავისა და ცხოველმყოფელის ჯვარის შეწირული ყოფილიყო"[233]. ასევე, კახ-

---

[230] იქვე, № 112, გვ. 89.

[231] История святого града Иерусалима, გვ. 294-295.

[232] სცსა 1450-51/178.

[233] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., გვ.140, № 148.

ეთის მამულების შესახებ: „კისისხევის სანინამძღვრო, გაღმა მხარის აღდგომის საყდარს შეწირული მამულები და ალაგები ჯვარის მონასტერს ქონოდეს"[234]. ლევან დადიანის მიერ 1635 წელს გაცემულ საბუთში ნათქვამია, რომ კოცხერი შეწირულია იერუსალიმისა და ჯვრისადმი. თვითონ პატრიარქი დოსითეოსი კოცხერს მიიჩნევდა ჯვრისადმი დაქვემდებარებულად: „...Монастырь зависящий от Иерусалимских Иверийцев св. Креста"[235]. XIX საუკუნის დასაწყისშიც კი იერუსალიმის ბერძენი პატრიარქები კვლავ ახსენებდნენ ქართველ დიდებულებს, რომ მათი წინაპრების მიერ ყმა-მამული შეწირული იყო ჯვრის მონასტრისადმი. 1804 წელს იერუსალიმის პატრიარქი ანთიმოსი წერდა: „ნეტარად ჴსენებულთა პირუშლთა მეფეთაგან შეწირული ქ(რისტ)ეს საფლავისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა მონასტრისათვის სოფელი დირბი"[236]. ასეთი შეხსენებების მიზანი ის იყო, რომ ქართველთა შორის კიდევ უფრო გაეძლიერებინათ იერუსალიმისადმი დახმარებისა და ახალი შეწირულებების გაღების სურვილი. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (XVI-XVII საუკუნეებში) ქართულ საბუთებში იგრძნობა ტენდენცია, რომ იერუსალიმის ეკლესია-მონასტრები და, მათ შორის, ჯვრიც წარმოჩნდეს როგორც ერთიანი და განუყოფელი ქრისტიანული სიწმინდეები.

XVII საუკუნის 80-იან წლებამდე ქართველებს იურიდიულად არ ჰქონდათ დაკარგული თავიანთი ეკლესია-მონასტრები პალესტინაში და ჯვრის მონასტრის წინამძღვრებადაც ჯერჯერობით ქართველები ინიშნებოდნენ. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ჯვარის მამობის წლები (1643-1649) ხომ გარკვეული აღორძინების ხანა იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ცხოვრებაში. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი, განსაკუთრებით 70-იანი წლებიდან, მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. ქართველებმა სხვადასხვა მიზეზების გამო ველარ მოახერხეს დადგენილი გადასახადების გადახდა და მათი ეკლესია-მონასტრები დაკეტეს. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი ამ ამბებს ასე მოგვითხრობს: „...ამასობაში მუსლიმები დაეპატრონნენ ქართულ მონასტრებს და დაბეჭდეს ისინი. მალე ამ მონასტრების ხელ-

---

[234] სცსა 1450-51/180.

[235] Селезнёв М., Руководство к познанию Кавказа, გვ. 32.

[236] სცსა 1448-6790.

ში ჩაგდება მოინდომეს კათოლიკეებმა და სომხებმა. კათოლიკეებს უნდოდათ წმ. ნიკოლოზის მონასტერი, ხოლო სომხებს – ყველა დანარჩენი. მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ, ღვთის შეწევნით, გამოგვეხსნა ისინი. მივწერეთ რამდენჯერმე საქართველოში, ბოლოს კი პირადად წავედით იქ"[237]. დოსითეოსი საქართველოში ჩამოსულა 1681 წლის თებერვალში. ის ყოფილა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. თბილისში ჩამოსულა მარტში და 42 დღე დაუყვია „ვინმე ციცისთან". მეორედ თბილისში ჩამოსულა 17 ივნისს. შემდეგ წასულა ქუთაისში. 1682 წლისათვის დოსითეოსი უკვე კონსტანტინოპოლშია[238]. ამავე ხანებში გიორგი XI-ს მოუწვევია კრება, რომელსაც დაუდგენია შეეგროვებინათ ვალების დასაფარავი თანხა და გადაეცათ დოსითეოსისათვის. საბუთი მიმართულია იერუსალიმის პატრიარქისადმი, თუმცა თვითონ დოსითეოსი კრების მონაწილეთა შორის არ ჩანს. საბუთში ნათქვამია: „რადგან თქვენ ჩვენთვის და ჩვენის მონასტრის გულისათვის ამდონს გაისაჯენით, ჩვენც თქვენი ბძანება გავათაეთ და რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა სრულად ყველას გარდასაწყვეტლად მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი". აღსანიშნავია, რომ საბუთში არაფერია ნათქვამი ქართული მონასტრების ბერძნული საპატრიარქოსადმი გადაცემაზე. აქ ხაზგასმულია, რომ დოსითეოსის მიზანი იყო მხოლოდ დახმარება: – „რადგან გაისარჯა პატრიარქი ჩვენის გულისათვის და საქართველოს გულისათვის"[239].

იერუსალიმში დოსითეოსი ჩასულა 1685 წელს და გამოუხსნია ქართული მონასტრები. საქართველოში გამოგზავნილ 1699 წლით დათარიღებულ წერილში დოსითეოსი ასე აღწერს საკუთარ და ბერძნული საპატრიარქოს დამსახურებას ქართული მონასტრების წინაშე: 1. ბერძნებს ქართული მონასტრები გაუთავისუფლებიათ ვალებისაგან; 2. იხდიან მათ პროცენტებს; 3. სასამართლოს გადაწყვეტილებით გათავისუფლებულია ამ მონასტრების კუთვნილი მამულები (იგულისხმება, ალბათ, მამულები იერუსალიმის მახლობლად – ნ. ხ.); 4. ეს მონასტრები, რომლებიც წლების განმავლობაში დაკეტილი იყო, გაიღო და იქ სრულდება ღვთისმსახურება; 5. ბერძნები ქართულ წიგნებს უფრთხილდებიან როგორც თავისას და 6. იხდიან

[237] Цагарели А., Памятники..., გვ. 72.

[238] Селезнёв М., Руководство к познанию Кавказа, გვ. 42-43, სქ. 66.

[239] ქ.ს.ძ. III, № 150, გვ. 592.

ჯარიმას იმ მეჩეთის გამო, რომელიც ჯვრის მონასტერში ყოფილა აშენებული. 1706 წ. დოსითეოსი ვახტანგ VI-ს წერდა: „...ჯვარი და სხვა ქართული მონასტრები ორმოც წელიწადს იყო მიტოვებული და თითქმის გაპარტახდა... ჩვენ, მეფე გიორგი და მისი ძმა ლევანი შევთანხმდით გამოგვესწორებინა ეს საქმე იმ პირობით, რომ მათი იქნებოდა ფული, ხოლო ჩვენი შრომა". შემდეგ დოსითეოსი ჩამოთვლის იმ მონასტრებს, რომლებიც გაუთავისუფლებია მას. ესენია: ჯვრის, წმ. ნიკოლოზის, წმ. თეოდორესი, წმ. ბასილის, წმ. ანასი და წმ. გიორგი იუდეველისა. გარდა ამისა, დოსითეოსი ამ წერილში პირდებოდა მეფეს, რომ მომავალში ბერძნები დაუბრუნებდნენ ამ მონასტრებს ქართველებს, ისე, რომ არ მოითხოვდნენ მათი განახლებისა და სხვა ხარჯებთან დაკავშირებული თანხების ანაზღაურებას[240].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ XVII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრამდე, სანამ იერუსალიმის ქართული მონასტრები არ დაკეტეს ვალების გადაუხდელობის გამო, საქართველოში იერუსალიმის მამულების ძირითადი მესაკუთრე იყო ჯვრის მონასტერი ანუ იერუსალიმის ქართული კოლონია. ხოლო საქართველოში იერუსალიმის ეკლესია მონასტრების მინათმფლობელობა თავის საფუძველში წარმოადგენდა იერუსალიმის ქართული ეკლესია მონასტრების საკუთრებას და მიმართული იყო მათ გადასარჩენად და ასაღორძინებლად. XVII საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი ჯვარს ველარ მივიჩნევთ იერუსალიმის მამულების მთავარ მესაკუთრედ საქართველოში, რადგან ამ დროისათვის იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრები უკვე ბერძნული საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდნენ. დოსითეოსი ქართული მონასტრების შესახებ ამბობდა, რომ ისინი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს გამგებლობაში გადადიოდნენ მხოლოდ დროებით, მანამ, სანამ ქართველები შეძლებდნენ საკუთარი ძალებით გაძღოლოდნენ მათ. ბუნებრივია, ასეთივე იქნებოდა ქართული მხარის პოზიციაც. მომდევნო ხანის (XVIII ს.) ქართული საბუთებიდან ვხედავთ, რომ ქართველი მეფე-მთავრები ისეთივე განწყობით ზრუნავდნენ იერუსალიმის ჯვრის მონასტერზე, როგორც უფრო ადრე მათი წინაპრები. ალექსანდრე V-ის მიერ 1741 წელს გაცემულ სიგელში ნათქვამია: „...პირველ ძველთაგან ჩვენს მამათა

---

[240] Цагарели А., Памятники..., გვ. 81.

და პაპათა თავისის მოსავლის ოცისთავი შემოუწირავთ შენ, საფლავისა ქრისტესსა და პატიოსნისა ჯვარისა მონასტრისათვის". იმავე საბუთში შეწირულების ადრესატი შემდეგნაირადაა დასახელებული: „საფლაო უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესო... სისხლმენამულო პორფიროვანო გოლგოთა...ცხოველმყოფელსა და პატიოსანსა ჯვარსა, რომელსა მოველით და ვსასოებთ უმეტეს სხვათა მეოხებასა შენსა ჩვენ, ნათესავი ქართველთა..."[241]. გიორგი გურიელის შვილის მიერ 1761 წელს გაცემულ ერთ საბუთში ვკითხულობთ: „...რომე ძველად ჩვენს მამა-პაპათაგან ჯვარის მონასტრის მამის შეწირული მამათს და კონჭკათს და ჩოჩხათს, რაც ჩვენს მამულში ჯვარის მონასტერს შეწირული კაცი არის, ყველა ჩვენს ხელდ იყო"[242]. XVIII საუკუნის ქართულ საისტორიო საბუთებში დადასტურებული მსგავსი გამონათქვამები გვიჩვენებს, რომ იერუსალიმის მონასტრებისადმი ყმამამულის შეწირვისას ქართველი მეფეები და მთავრები თავს ვალდებულად თვლიდნენ ეს შეწირულებები მიეძლვნათ გარდა ქრისტეს საფლავისა და გოლგოთისა, ჯვრის მონასტრისთვისაც, რომელიც იმჟამად ქართველებს აღარ ეკუთვნოდათ.

საგულისხმოა, რომ ამ საკითხისადმი ერთმნიშვნელოვანი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაც შედარებით გვიან, XIX საუკუნეში. ამის ერთ-ერთი საუკეთესო დადასტურებაა ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილი „ათონის ქართული სავანის შესახებ" (1886 წ.), რომელშიც, სწორედ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის წერილების გათვალისწინებით, ეს პოზიცია ნათლად არის ჩამოყალიბებული: „სიგლები და გუჯრები, რომლის ძალითაც მამულები საქართველოში დაჰკუთვნებიათ ხსენებულ მონასტრებს, ცხადად და ნათლად გვაუწყებენ ამ პირობასა. ჯერ ერთი ეს, რომ მამულები შეუწირავთ ქართველთა მონასტერთათვის იერუსალემში, და თუ იგი მონასტრები ქართველთა მონასტრები არ არიან და ბერძნები ჰჩემულობენ, აშკარაა მამულები ბერძნებმა ვერ უნდა დაიკუთვნონ. მეორე ისა, რომ მამულები შეუწირავთ იმ პირობით, რომ მარტო შემოსავლით ისარგებლონ და თვითონ მამულები კი ყოველთვის ძირს დარჩეს მუდმივის და დაუშრეტელის სარგებლობისათვის"[243].

---

[241] ქიემ 1343.

[242] სცსა 1448-271.

[243] ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, თბილისი, 1987, გვ. 16.

* * *

XIX საუკუნეში, ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთთან შეერთების კვალდაკვალ, საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის მართვა-გამგეობა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან ერთად რუსეთის ხელისუფლების საქმედ იქცა. 1819 წელს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ წამოჭრა საკითხი საქართველოში საზღვარგარეთის მონასტრების კუთვნილი ყმა-მამულის მართვის ორგანიზაციაში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ. ამ მოსაზრებას ასაბუთებდა იმით, რომ, თითქოს, მამულების მმართველებად გამოგზავნილი იერუსალიმელი არქიმანდრიტები ეწეოდნენ ბერებისათვის შეუფერებელ ცხოვრებას; ბევრს დადიოდნენ სხვადასხვა სოფლებში და უმეტესად დაკავებულნი იყვნენ არა მღვდელმსახურებით, არამედ ვაჭრობით; ფულს პირადი საჭიროებისათვის ხარჯავდნენ და თვითნებურად განაგებდნენ სამონასტრო მამულებიდან აღებულ შემოსავალს. თეოფილაქტეს აზრით, სამონასტრო მამულების მართვა უნდა გადასულიყო სახელმწიფო სალაროს უფლებამოსილებაში, ხოლო ბერძენი არქიმანდრიტები უნდა გაეძევებინათ საქართველოდან და აღარასოდეს დაებრუნებინათ უკან. სამონასტრო მამულებიდან აღებული შემოსავალი კი, გარდა იმ თანხებისა, რაც საჭირო იყო ამ მამულების კეთილმოწყობისათვის, უნდა შესულიყო სახელმწიფო სალაროში და შემდეგ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, უნდა გადაერიცხათ იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოსათვის[244].

რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრემ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად ჩათვალა ერმოლოვს შეეთანხმებინა ეს საკითხი აღმოსავლეთის პატრიარქებთან. იერუსალიმის პატრიარქს მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე მიმართა სინოდის ობერპროკურორმა. პატრიარქმა უპასუხა, რომ ასეთი ღონისძიებები შეიძლება სასარგებლო ყოფილიყო, მაგრამ პრაქტიკულად მათი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მამულების სახელმწიფო სალაროსადმი დაქვემდებარება გულისხმობდა კერძო საკუთრების ხელყოფას. ამავე დროს, პატრიარქი პირდებოდა სინოდს, რომ მიიღებდა ზომებს, რათა მომავალში მამულების მმართველ არქ-

---

[244] Натроев А., Иверский монастырь на Афоне, Тифлис, 1909, გვ. 338.

იმანდრიტებს თავიანთი მოვალეობა კეთილსინდისიერად შეესრულებინათ. კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან კი სინოდმა საერთოდ არ მიიღო პასუხი. ამიტომ, 1829 წლამდე ეს საკითხი ღიად იყო დარჩენილი. ამ წელს პასკევიჩმა კვლავ მიმართა სინოდის ობერპროკურორს და სთხოვა მოემზადებინა მოხსენება იმპერატორის სახელზე. სინოდმა გადაწყვიტა, რომ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლების ჩარევა ბერძნული ეკლესიის საქმეებში მიზანშეწონილი არ იქნებოდა და პასკევიჩს შესთავაზა თვითონვე მოეხსენებინა იმპერატორისათვის.

1834 წელს იმპერატორმა დაადგინა: უფლის საფლავის საკუთარი ყმა-მამული დაეტოვებინათ ხელუხლებლად და არ ჩარეულიყვნენ მისი მართვა-გამგეობის საქმეში.

თეოფილაქტეს წინადადებამ, საქართველოში იერუსალიმის მამულების სეკულარიზაციის შესახებ, გამოიწვია რუსეთის ხელისუფლების დაინტერესება იმ დრომდე ნაკლებად ცნობილი და შეუსწავლელი საზღვარგარეთის ეკლესიების მიწათმფლობელობის საკითხებით. ამიერკავკასიის მთავარმართებლობამ დაიწყო ამ მამულების შესწავლა სტატისტიკური და სამეურნეო თვალსაზრისით. პირველი, ვინც ხელი მოჰკიდა ამ საქმეს, იყო მთავარმართებელი ერმოლოვი. მისი ბრძანებით 1819 წელს ჩატარდა ბერძნული საპატრიარქოს კუთვნილი მამულების აღწერა საქართველოში. აღწერისას გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ რუსი მოხელეების, არამედ ბერძენი არქიმანდრიტების მიერ მიწოდებული ცნობებიც. ასეთივე ყურადღებით მოეკიდა ამ საქმეს სამოქალაქო საქმეთა მმართველი საქართველოში პანკრატიევი, რომელმაც 1831 წელს ჩაატარა ამ მამულების მეორე აღწერა. 1857 წელს რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა ა. მულიკოვსკიმ ეს მონაცემები შეუდარა 1834 წელს მთავარმართებელ როზენის მიერ ჩატარებულ კამერალური აღწერის მონაცემებს და ერთად გამოაქვეყნა[245]. ქვემოთ მოვიტანთ 1834 წლის აღწერის მონაცემებს და, საჭიროების შემთხვევაში, მივუთითებთ ცნობებს 1819 და 1831 წლის სამონასტრო მამულების აღწერებიდან. ქალაქებსა და სო-

---

[245] Муликовский А., Об имениях греческой церкви в Закавказском Крае, З.К.О.И.Р.Г.О. кн. IV, Тифлис, 1857, გვ. 194-226.

ფლების დასახელების გვერდით მიწერილია იერუსალიმის საპატრიარქოს კუთვნილი კომლების რაოდენობა[246]:

თბილისის მაზრა: ბორბალო – 1, ენაგეთი – 1, ბოგვი – 1, მუხრანი – 1, საგარეჯო – 1.

თელავის მაზრა: წინანდალი – 1, კურდღელაური – 1, კისისხევი – 14 (შეტანილია მხოლოდ 1831 წლის აღწერაში), აღდგომა – 28.

სიღნაღის მაზრა: სიღნაღი – 2.

გორის მაზრა: გორი – 13, დირბი – 68.

ქუთაისის მაზრა: ქვიტირი – 3, მესხეთი – 4, გეგუთი – 13, პატრიკეთი – 7, ზედა მაღლაკი – 2, ფარცხანაყევი – 10, საქულია – 2, ობჩა – 1, ჟეთელაძე – 1 (შეტანილია მხოლოდ 1819 წლის აღწერაში), ენერი – 7, საწირე – 10, ოჯოლა – 5, ზარნაძეები – 27, იანეთი – 4, კოლობანი – 1, გუგუნაყათი – 3, ამაღლება – 5, ციხთუბანი – 1 (შეტანილია მხოლოდ 1834 წლის მონაცემებში).

შორაპნის მაზრა: თელეთი – 11, ჩხარი – (შეტანილია მხოლოდ 1819 წლის აღწერაში), ლვანკიეთი – 1, თერჯოლა – 2, გოგნი – 1, საქარა – 18, დინიფელი – 2, ბაკისუბანი – 1, საბეკი – 1 (შეტანილია 1819 წლის აღწერაში). ლორეშა – 1 (შეტანილია მხოლოდ 1834 წლის აღწერაში). ბოსლევი – 2, ლოდორა – 5, უსახელო – 3, სავანე – 4.

რაჭა: სევა – 2, გორი – 1.

როგორც ვხედავთ, ამ აღწერებში არ არის მოხსენიებული გურიისა და ოდიშის სოფლები. პირველი აღწერისას, 1819 წელს, ეს სამთავროები ჯერ კიდევ არ შედიოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მეორე აღწერისას, 1831 წელს, მართალია გურიის სამთავრო უკვე საბოლოოდ იყო შეერთებული რუსეთის იმპერიასთან[247], მაგრამ, როგორც ჩანს, სხვადასხვა მიზეზების გამო აღწერა იქ არ ჩატარებულა. საბუთებიდან კი ვიცით, რომ გურიელები XIX საუკუნის პირველ მეოთხედში კვლავ უახლებდნენ იერუსალიმს ყმა-მამულის შეწირულებებს.

---

[246] ა. მულიკოვსკის ნაშრომში დასახლებული პუნქტების სახელები რუსულადაა მოცემული და ზოგჯერ საკმაოდაა დამახინჯებული. ზოგიერთი მათგანი, მულიკოვსკის მიერ მოტანილი დასახელებით, შესაძლოა, დღეს აღარც არსებობს.

[247] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 92.

1817 წლის 2 აპრილს მამია გურიელმა განუახლა ქრისტეს საფლავს ყმა-მამულის შენირულება მამათში, ჩოჩხათში, კონჭკათში და გურიანთაში[248]. იმავე წლის 13 აპრილს ჯვარის მამა იოაკიმემ ნყალობის ნიგნი მისცა მამათის იაკობ მამისა და კონჭკათის მთავარანგელოზის ეკლესიებს და „ქრისტეს საფლავის კაცებს: ლომაძეებს, კილაძეებს, ხელაძეებს, დობორჯგინიძეს, სარიშვილს, ურუშაძეს, გოგუაძეს, ერთობით ყველა ფრანგულაიშვილს და თაეხელაძეს", რომ არავითარ სხვა გადასახადს არ მოთხოვდა მათ, გარდა გურიელის მიერ დადგენილი რვა ყურუშისა[249]. 13 მაისს დავით გურიელისშვილი ამტკიცებს იერუსალიმისათვის მამათის, კონჭკათისა და ჩოჩხათის ყმა-მამულის შენირულებას. ეს დამტკიცება მინერილია 1761 ნლით დათარიღებულ საბუთზე, რომელიც გაცემულია გიორგი გურიელისშვილის მიერ პატრიარქის ვექილის, ეგზარქოს სვიმეონისადმი[250].

1859 ნელს ქუთაისის გუბერნიაში იერუსალიმის მამულების მმართველს არქიმანდრიტ პროკოფიოსს აღუძრავს საგუბერნიო სასამართლოში საქმე გურიელების მიერ იერუსალიმისადმი შენირულ ყმა-მამულთან დაკავშირებით. პროკოფიოსი იტყობინებოდა, რომ 30-35 ნლის ნინ (დაახლოებით 1824-1829 ნლებში – ნ.ხ.) მამია გურიელმა იერუსალიმის სამონასტრო მამულები უბოძა ლევან გურიელს, რის შემდეგაც იერუსალიმს იქიდან არ მიუღია არავითარი შემოსავალი. ამის თაობაზე ჯერ კიდევ 1836 ნელს აღუძრავს საქმე იერუსალიმელ არქიმანდრიტს მიტროფანეს. იგი იტყობინებოდა, რომ უფლის საფლავის ყმებს დაპატრონებია გურიელის შვილი გიორგი ლევანის ძე, რომელსაც ეკუთვნოდა 63 კომლი მამათში. ჩოჩხათში 16 კომლი ეკუთვნოდა დავით ვახტანგის ძეს და გიორგი დავითის ძეს და აზნაურ მენაპირეს 1 კომლი[251]. 1844 და 1848 ნლებში მონმეებისაგან ფიცის ქვეშ აუღიათ ჩვენებები სადავო ყმა-გლეხების შესახებ. 1859 ნელს ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გადაუნყვეტია, რომ სადავო გლეხები დარჩენილიყვნენ გურიელის მფლობ-

---

[248] სცსა 1448-3176

[249] Hd-11271.

[250] სცსა 1448-271.

[251] სცსა 9-522.

ელობაში იმ პირობით, რომ გადაიხდიდნენ თითო მარჩილს იერუსალიმის მონასტრის (ქრისტეს საფლავის) სასარგებლოდ[262].

მიუხედავად იმპერატორის 1834 წლის დადგენილებისა, რუსეთის ხელისუფლება შემდგომშიც ამჟღავნდება ინტერესს იერუსალიმის მიწათმფლობელობისადმი. კერძოდ, 1853 წელს ამიერკავკასიის მთავარმართებელს დასჭირდა ცნობები საქართველოში ბერძნული ეკლესია-მონასტრების უფლებების შესახებ მათ კუთვნილ მამულებზე. ამ ცნობების წარმოსადგენად მიმართა საქართველოს საეგზარქოსოს. საეგზარქოსომ უპასუხა, რომ ასეთი ცნობები მას არ გააჩნია და ეს იციან მხოლოდ იმ არქიმანდრიტებმა, რომლებსაც უშუალოდ ნიშნავს პატრიარქი (იერუსალიმის ან კონსტანტინოპოლის – ნ. ხ.) ყმა-მამულის მმართველებად[253].

1857 წელს კვლავ დადგა საზღვარგარეთის სამონასტრო მამულების სახაზინო მმართველობაში გადაცემის საკითხი. ამის მიზეზი ყოფილა სამონასტრო ყმა-გლეხების მრავალრიცხოვანი საჩივრები არქიმანდრიტების მიმართ დიდი გადასახადების გამო. თავის მხრივ, არქიმანდრიტებიც უჩიოდნენ გლეხებს დაუმორჩილებლობას. სეკულარიზაციის შესახებ უარყოფითი აზრი გამოთქვა საგარეო საქმეთა სამინისტრომ. მისი აზრით, ამ მამულებზე ხელისუფლების მხრიდან რაიმე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა ბერძნულ ეკლესიებს როგორც მატერიალურ, ასევე პოლიტიკურ ზიანს მიაყენებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება მაინც იძულებული გახდა გადაედგა ასეთი ნაბიჯი. ამის მიზეზი გახდა იერუსალიმის პატრიარქის, კირილეს ჩამოცილება საპატრიარქო კათედრიდან ბერძენი სამღვდელოების მიერ 1872 წელს. საპასუხოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა დაკეტა იერუსალიმის მეტოქი ეკლესია კონსტანტინოპოლში. რუსეთის ელჩმა კონსტანტინოპოლიდან დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ მთავრობას და სთხოვა ყადაღა დაედოთ იერუსალიმის საკუთარი ყმა-მამულისათვის რუსეთის იმპერიაში. გამოიცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მამულების მმართველ ბერძენ არქიმანდრიტებს ევალებოდათ ადგილობრივი ხელისუფლების ზედამხედველობით ნატურით აღებული გადასახადი გადაექციათ

---

[252] Натроев А., Иверский монастырь на Афоне, გვ. 333-336.
[253] სცსა 488-25931.

ფულად და შეეტანათ ბანკში. საყურადღებოა, რომ ეს ბრძანება შეეხო მხოლოდ იერუსალიმის საპატრიარქოს საკუთრებას[254].

რუსეთის ხელისუფლების ამ პოზიციას მხარს უჭერდა ილია ჭავჭავაძეც, რომელიც წინააღმდეგი იყო ბერძენი არქიმანდრიტების მიერ საიერუსალიმო მამულების თვითნებური გაყიდვისა: „... ბერმონაზნობა საქართველოსი აღმოსავლეთში მესაკუთრე კი არ იყო იქაურ მონასტრებისა და მონასტრებისათვის შეწირული მამულებისა, არამედ მარტოსამფლობელოდ და სახმარისად ჰქონდა ერთიცა და მეორეცა, როგორც საქართველოს ხელშეუხებელი კუთვნილება. იერუსალიმისი პატრიარქმა კარგად იცის, რომ იგინი მთელის საქართველოს საკუთრებანი ყოფილან და არიან და არა იმ ბერ-მონაზონთა, რომელთა ხელშიაც დროთა ვითარება ჩააგდებდა. ეხლა, როცა საქართველო შეადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას, იგი მონასტრები უნდა შეადგენდნენ სახელმწიფო კუთვნილებას რუსეთისას კავკასიაში. ამიტომაც გაყიდვა იმ მონასტრების მამულებისა ბერძენთა ბერ-მონაზონთაგან რუსეთის საკუთრების მართლიერების დარღვევად უნდა ჩაითვალოს"[255].

1874 წელს კვლავ ჩატარდა საზღვარგარეთის ეკლესია-მონასტრების ყმა-მამულის აღწერა[256]. 1881 წელს, იმპერატორის ბრძანებით, იერუსალიმის საპატრიარქოს უკან დაუბრუნეს თავისი ყმა-მამული. იერუსალიმის მიწათმფლობელობა საქართველოში განაგრძობდა თავის არსებობას XX საუკუნის დასაწყისამდე. 1909 წელს საქართველოში ჩამოვიდა იერუსალიმელი არქიმანდრიტი დამიანე თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის წინამძღვრად და ყმა-მამულის გამგებლად[257].

---

[254] Натроев А., Иверский монастырь на Афоне, გვ. 340-348.

[255] ი. ჭავჭავაძე, „ათონის ქართული სავანის შესახებ", გვ. 17.

[256] Натроев А., Иверский монастырь на Афоне, გვ. 340-348.

[257] „Закавказская речь", 1911, № 281.

# თავი II

## ჯვარის მამების რიგი XVII საუკუნის II ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე

საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მეურნეობის უშუალო მმართველი იყო პირი, რომელიც ქართულ წყაროებში, ხშირ შემთხვევაში, „ჯვარის მამად" იხსენიება. თავდაპირველი მნიშვნელობით „ჯვარის მამა" გულისხმობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარს, ხოლო რამდენადაც ჯვარი საუკუნეების მანძილზე იყო იერუსალიმის ქართული კოლონიის ცენტრი, მისი წინამძღვარი პალესტინის სხვა ქართული მონასტრების მმართველადაც გამოდიოდა. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს იგი იყო გოლგოთის ქართული კრებულის წინამძღვარიც[1]. დაახლოებით XVIII საუკუნის დამდეგიდან „ჯვარის მამის" თანამდებობამ და ნოდებამ ადრინდელთან შედარებით განსხვავებული შინაარსი შეიძინა, რაც დაკავშირებული იყო იმ ცვლილებებთან, რომელიც მოხდა პალესტინის ქართული მონასტრების უფლებრივ მდგომარეობაში აღნიშნული პერიოდისათვის.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისათვის პალესტინის ქართული მონასტრები გადაეცა იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს. ცნობილი ჯვარის მამის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ჯვრის მონასტრის წინამძღვრად იყო 1643-1649 წლებში) მცდელობამ, – აეღორძინებინა იერუსალიმში ქართული კულტურის კერები, – მისი იერუსალიმიდან წამოსვლის შემდეგ განვითარება ვერ ჰპოვა. ასევე მარცხით დასრულდა ჯერ ვახტანგ V-ის (1658-1678), ხოლო შემდეგ გიორგი XI-ის (1678-1709) მიერ გადადგმული ნაბიჯები. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, პალესტინის ქართული მონასტრების დამცველისა და მომვლელის როლი იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ იკისრა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის (1669-1707) მოღვაწეობა. მან XVII საუკუნის დასასრულისათვის მოახერხა გადაეხადა ქართული მონასტრების ვალები,

---

[1] ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 14.

რის შემდეგაც ეს მონასტრები მთლიანად გადავიდნენ ბერძნული საპატრიარქოს გამგებლობაში. მართალია, დოსითეოსი ოფიციალურად არასოდეს უარყოფდა ქართველების უფლებებს მათ ყოფილ მონასტრებზე, პირიქით, ის ხაზგასმით აღნიშნავდა კიდეც, რომ ამ ვალების გადახდა მხოლოდ ერთმორწმუნე ერისთვის დახმარების სურვილით იყო გამოწვეული, მაგრამ მისი სიტყვები ფორმალური განცხადების ხასიათს ატარებდა. XVIII საუკუნიდან ქართველების მოღვაწეობა იერუსალიმში თითქმის შეწყდა[2].

ყოველივე ამის შედეგად მივიღეთ შემდეგი სურათი: XVIII საუკუნის დასაწყისიდან ქართველებს აღარ ეკუთვნოდათ არც ერთი მონასტერი პალესტინაში, ხოლო საქართველოში იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ფლობდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ქონებას, რომლის უშუალო მმართველი და გამგებელი, XIX საუკუნის ოციან წლებამდე მაინც, ხშირად, ჯვარის მამად იწოდებოდა. ამავე დროს, იმ ფაქტმა, რომ ჯვარსა და პალესტინის სხვა ქართულ მონასტრებს ამ დროისათვის უკვე იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო განაგებდა, გავლენა იქონია ჯვარის მამების დადგენის წესზე, მათი მოღვაწეობის ხასიათზე და დამახასიათებელი ნიშნები შესძინა მათ რიგს.

როგორც ზემოთ ვნახეთ, XVI საუკუნის მიწურულზე ადრინდელი ცნობები საქართველოში იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობის შესახებ ჯერ-ჯერობით თითქმის არ მოგვეპოვება. ის მასალა, რომელიც ასახავს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ეკონომიკურ ცხოვრებას XVII საუკუნემდე, მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, ჯვრის მონასტრის სვინაქსარისეული აღაპები, წარმოგვიდგენს ჯვარის მამების მოღვაწეობას იერუსალიმში. XVII საუკუნიდან, საქართველოში იერუსალიმის მიწათმფლობელობის ჩამოყალიბებასთან ერთად, ჯვარის მამები უკვე ჩამოდიან საქართველოში და განაგებენ ყმა-მამულის მართვის საქმეს. XVII საუკუნის მიწურულიდან კი ჯვარის მამების მოღვაწეობის ძირითადი არეალი საქართველოა. მათი საქმიანობის უმთავრესი მიმართულება ამ დროისათვის უკვე არის არა პალესტინის ქართული სავანეების შენარჩუნება და აღორძინება, არამედ იერუსალიმის ეკლესია-მონას-

---

[2] **Цагарели А., Памятники ...**, გვ. 65-85; **ტ.** გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0188-0192; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, გვ. 120-126.

ტრების ყმა-მამულის მართვა. ჯვარის მამებსა და იერუსალიმის სხვა წარმომადგენლებს საქართველოში ყოფნისას ურთიერთობა უხდებოდათ ქართულ საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან. ქართველი მეფეები და მთავრები ჯვარის მამების მოთხოვნით გასცემდნენ და აახლებდნენ ყოველ მნიშვნელოვან შეწირულებას; მათთან შეთანხმებით ნიშნავდნენ იერუსალიმის სამონასტრო მამულების მოურავებსა და სხვა მოხელეებს; მათი უშუალო მონაწილეობით არკვევდნენ სხვადასხვა სახის სადავო საკითხებს.

XVII-XIX საუკუნეების ჯვარის მამების რიგისა და მოღვაწეობის განხილვა საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ აღნიშნული მოვლენები ისტორიულ-ქრონოლოგიური თვალსაზრისით.

ჯვარის მამების სია XI საუკუნიდან (ჯვრის მონასტრის პირველი წინამძღვრიდან, პროხორედან – გარდ. 1066 წ.) XVIII საუკუნის 30-იან წლებამდე (გერასიმემდე – 1739 წ.) დადგენილი აქვს ელ. მეტრეველს წიგნში „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის". ჩვენს ხელთ არსებული მონაცემები (უმთავრესად საისტორიო საბუთებში დაცული მასალა) საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ და სხვადასხვა ცნობებით შევავსოთ ეს სია XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან და შევავსოთ იგი XX საუკუნის დასაწყისამდე.

## 1. მელეტიოსი

1666 წლით დათარიღებულ რამდენიმე საბუთში ჯვარის მამად იხსენიება მელეტიოსი. ერთი მათგანი დათარიღებულია 1666 წლის 14 მაისით. საბუთი მიმართულია იოსებ თბილელისადმი და მასში ნათქვამია: „...ასე, რომე კურთხეულმა ელისე თფილელმან[3] საყდრის ალაგი მიბოძა და მე ალვაშენე და ჩემი ძმა იმას ვაყმე და მას უკან მე ჯვარის მამად დამაყენეს. და მერმე ჩემი ძმა აბდულმესი ბატონს ციცის ვაყმე და მე იერუსალემს ნაველ და ის სახლ-კარი თქვენ მოგაბარე ამანათად, რო რაც ქირა აიღოთ ნაშენებისა, მე შემინახოთ.

[3] ეპისკოპოსი ელისე თბილელად ჩანს 1628-1659 წლებში (გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, მრავალთავი, თბ., 1971, გვ. 337).

საყდრის წილი და სამართალი რაც იყოს, თქვენი დაიჭიროთ"[4]. გარდა ამ საბუთისა, მოიპოვება კიდევ ორი დოკუმენტი მელეტიოსის მიერ თბილელისათვის სახლის მიბარების შესახებ, რომლებიც, შინაარსიდან გამომდინარე, ამავე დროით უნდა დათარიღდეს. ერთი მათგანი მიმართულია ქალაქის ხელისუფლებისადმი, ხოლო მეორის მიხედვით მელეტიოსი თავის რწმუნებულებად საქართველოში აცხადებს ვინმე ანტონასა და ამბროსას. მათ მელეტიოსის სახლის გაყიდვის შემთხვევაში უნდა ესარგებლათ აღებული ფულით და შემდეგ პატრონისათვის სარგებლით დაებრუნებინათ[5]. მოგვეპოვება, აგრეთვე, 1666 წელს გაცემული კიდევ ერთი საბუთი, რომელიც წარმოადგენს მელეტიოსის მიერ საქართველოში იერუსალიმის მონასტრებისათვის შეგროვებული შეწირულებების სიას. დედოფალს, კათალიკოსს, ქართლ-კახეთის თავადებს, ეპისკოპოსებსა და გლეხებს მისთვის მიუბარებიათ ფული და ძვირფასეულობა იერუსალიმში წასაღებად[6]. ამ საბუთში დაწვრილებითაა აღნიშნული როგორც თანხის რაოდენობა, ასევე საგზაო ხარჯებიც. ფულის შეგროვების მიზანი, მართალია, მითითებული არ არის, მაგრამ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს თანხა პალესტინის ქართული მონასტრების დასახმარებლად იქნებოდა განკუთვნილი. ამ შეწირულებასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი: პატრიარქი დოსითეოსი ერთ თავის წერილში ჩამოთვლის იმ პირებს, რომლებიც ჩასულან იერუსალიმში საქართველოდან გარკვეული თანხით პალესტინის ქართული მონასტრების ვალების გადასახდელად. 1666 წელს საქართველოდან იერუსალიმში ჩასულთა შორის დასახელებულნი არიან ილარიონი, წალენჯიხის მონასტრის იღუმენი და ვინმე ხალიბელი (დოსითეოსის წერილის რუსულ თარგმანში, რომლითაც ვსარგებლობთ, წერია Халибели). ამ ხალიბელს დოსითეოსი ახასიათებს როგორც „ბოროტ ადამიანს,

---

[4] Ad-650. ქრონიკები, გვ. 484. ამ საბუთის ქვემოთ თ. ჟორდანიას მოტანილი აქვს შემდეგი ჩანაწერი: „თუ სახლი გაიყიდოს ნახევარი სიონის არის და ნახევარი ჩემიო".

[5] Ad-63, Ad-586.

[6] Ad-100. თ. ჟორდანია, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1903, გვ. 196-197. „ქრონიკებში" თ. ჟორდანიას მოტანილი აქვს შემდეგი ცნობა: „მელეტის საქართველოში შეუკრებია 1501 მინალთუნი ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად" (ქრ. II, გვ. 483).

რომელსაც პატრიარქი არ უყვარდა"[7]. ამავე ადგილს მ. სელეზნიოვი ასე თარგმნის: „1666 წელს მოვიდა ვინმე მელესი ალეპოელი 10.000 გროშით"[8]. ვფიქრობთ, ეს „ხალიბელი" ანუ „ალეპოელი" იგივე მელეტიოსი იყოს. მელეტიოსის მიერ გაცემულ საბუთებს ახლავს არაბული მინაწერები და დამტკიცებები.

რადგან მელეტიოსს თბილისში სახლის აშენება მოუსწრია, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დაახლობით XVII ს-ის 60-იანი წლებიდან უნდა ყოფილიყო ჯვარის მამად 1666 წლამდე მაინც. მოგვიანებით მელეტიოსს ადანაშაულებდნენ საიერუსალიმო თანხის არადანიშნულებისამებრ გამოყენებაში. მისი მომდევნო ჯვარის მამა ნიკოლოზ ნულუკიძე ამბობს: „რაც გაბრიელ, იოსებ და მელენტიოზ ქმნეს, ჩუჱნ ის არც ერთი არ მოვინდომოთ"[9]. დაახლოებით რა არ უნდა მოენდომებინა მას, ვხვდებით ამ ციტატის გაგრძელებიდან: „რაც საიერუსალიმო ვიშოვნო ამ ოთხს საბატონოში, სრულიად მონასტრისათვის შევინახო და არც ჩემს შვილს და არც ჩემს ნათესავს არ მივსცე უსასყიდლოდ". მელეტიოსის პიროვნების ასეთივე შეფასებას იმეორებს რ. ჟანენიც: „...ნიკიფორეს მოადგილეებმა არ ნაჰბაძეს მის ფრთხილ მმართველობას; განსაკუთრებით გაბრიელ ილუმენმა და მელეტმა თითქოს განზრახ, სულ უმიზნოდ და დაუფიქრებლად უზომო ვალებში ჩაფლეს წმინდა ჯვარის სავანე"[10].

პატრიარქ დოსითეოსის ერთ წერილში აღწერილია ის მძიმე ვითარება, რომელშიც ჩავარდნილი იყო ჯვრის მონასტერი თურქების ბატონობისა და გადაუხდელი ვალების გამო. ნათქვამის საილუსტრაციოდ დოსითეოსს მოჰყავს ფაქტები რამდენიმე ჯვარის მამის ცხოვრებიდან: „ჯვარის ილუმენებიდან გაბრიელი მოკლეს, იოსები ღამით გაიქცა იერუსალიმიდან, ხოლო მელეტიოსი დიდხანს იტანჯებოდა საპყრობილეში"[11]. მელეტიოსის ბეჭედზე არის სამენოვანი (არაბულ-ქართულ-ბერძნული) ლეგენდა: „მამა ჯვარისა მელეტიოზ". მელეტიოსის მიერ გაცემულ საბუთებს დართული აქვს მინაწერი არაბულ ენაზე: „მამა მელეტიოსი, წინამძღვარი ჯვარის მონასტრისა, რომელიც არის დიდებული იერუსალიმის გარეთ".

---

[7] Цагарели А., Памятники ..., გვ. 71.

[8] Селезнёв М., Руководство к познанию Кавказа, გვ. 40.

[9] ქრონიკები, II, გვ. 490.

[10] რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, გვ. 37.

[11] Послания..., გვ. 20.

## 2. ნიკოლაოზ წულუკიძე

ჯვარის მამა ნიკოლაოზ წულუკიძე იხსენიება 1675 წელს. მისთვის მეფე შაჰნავაზს (ვახტანგ V) და კათალიკოს დომენტის უბოძებიათ „სრულ საქართველოს ჯვრის მონასტრის მამულები"[12]. თუ რა პირობა დადო მან ჯვარი მამად დანიშვნისას, ზემოთ გვქონდა აღნიშნული. ნიკოლაოზ წულუკიძის გამოჩენა იმ დროის ჯვარის მამათა რიგში, შესაძლოა, არ იყოს შემთხვევითი. წულუკიძეთა საგვარეულოდან ვიცნობთ ქაიხოსროსა და პაატას, რომელთაც XVII საუკუნის 40-იან წლებში გარკვეული დამსახურება მიუძღვით იერუსალიმის ჯვრის მონასტრისადმი[13].

ნიკოლაოზ წულუკიძის ჯვარის მამად დადგინების საბუთს პირველად ყურადღება მიაქცია მ. ჯანაშვილმა. იგი წერდა: „ქართველებისაგან ინიშნებოდა არა მხოლოდ ჯვარის მონასტრის იღუმენი, არამედ საქართველოში ჯვარის მონასტრის ყმა-მამულის მმართველიც". ნათქვამის დასადასტურებლად მ. ჯანაშვილს მოტანილი აქვს აღნიშნული საბუთის მთლიანი ტექსტის რუსული თარგმანი[14].

## 3. ქრისტეფორე (მუხრანის ბატონიშვილი)

1683 წელს ჯვარის მამად ჩანს ქრისტეფორე. ამ წლის 18 აგვისტოს იგი ყოფილა გურიაში, სადაც გიორგი დადიან-გურიელსა და მის მეუღლეს, „ქართველთ ბატონის ასულს თამარს", ყოველწლიურად ორასი მარჩილი თეთრი შეუწირავთ ჯვრის მონასტრისათვის ზარაფხანის „სარგოს ხიშტიდან"[15].

---

[12] Ad-553; ქრონიკები, II, გვ. 490; ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1981, გვ. 66.

[13] ელ. მეტრეველი, მასალები..., ალაპი № 99, გვ. 145.

[14] Джанашвили М., Грузинские обители вне Грузии, Тифлис, 1899, გვ. 17-18.

[15] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა... № 149, გვ. 146. ჯვარის მამა ქრისტეფორე, როგორც წყაროები გვატყობინებენ, იყო კონსტანტინე მუხრანბატონისა და დარეჯანის შვილი, ვახტანგ V-ის ძმის შვილი. აქედან გამომდინარე, საბუთში მოხსენიებული თამარი არის მისი და, კონსტანტინე მუხრანბატონის ასული, რომელიც რამდენიმე ქორწინების შემდეგ ბოლოს შეირთო გიორგი გურიელმა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ., 1973, გვ. 352).

ჯვარის მამა ქრისტეფორე იხსენიება ქართველი მეფეების მიერ გაცემულ სხვა საბუთებშიც.

ერთი საბუთის მიხედვით, გიორგი მეფე პირობას აძლევს მუხრანის ბატონიშვილებს: – „ჩვენს ბიძაშვილს, ბატონიშვილს პაპუას, ძმასა თქვენსა, ჯვარის მამას ქრისტეფორეს და დათუნასა, ძმისწულებს თქვენთა: კონსტანტინეს, ოტიასა და ადარნასეს", – რომ მათი ძმის ერეკლეს დანაშაულის გამო დანარჩენებს პასუხს არ მოკითხავდა და ერეკლეც მეფისგან შენდობილი იყო[16]. ერეკლე მუხრანის ბატონიშვილისა და მისი დანაშაულის შესახებ მოგვითხრობს ვახუშტი ბაგრატიონი: სპარსეთის სპასალარმა „აჯი ალი ხან ნარიპირნა მთავარნი, რამეთუ არღარა აქუნდათ სიმტკიცე სჯულისა და მეფეთა თჳსთა ერთგულებისა, ვინაჲთგან მცირედითა ნიჭითა გამაჰმადიანდებოდნენ". ამ განდგომილ მთავართა შორის ყოფილა „ძე მუხრანბატონისა ერეკლე, რომელსა ზრდიდა მეფე, ვითარცა შვილსა ... ხოლო მეფემან ერეკლე და მაჩაბელნი შეიპყრნა და პატიმარ ჰყო"[17]. ვახუშტის ეს ამბები მოთხრობილი აქვს 1687 წლის ქვეშ. ეს საბუთიც, ალბათ, დაახლოებით ამ დროს უნდა იყოს გაცემული.

მეორე საბუთის მიხედვით, ნაზარალიხანი აძლევს პირობის წიგნს მუხრანის ბატონიშვილებს: პაპუას, ჯვარის მამას და დათუნას, რომ „თუ თქვენ ჩვენზედ არა სტყუოთ, ჩვენ თქუენ არა შეგცოდოთ"[18]. ეს საბუთი მიეკუთვნება ერეკლე I-ის ქართლში გამეფების შემდგომ პერიოდს. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით ერეკლე I-მა შეიპყრო პაპუა მუხრანბატონი და გაგზავნა ირანში გიორგი XI-ის მომხრე სხვა თავადებთან ერთად 1695 ნელს. ამავე დროს, პაპუა საბუთში ჯერ კიდევ მუხრანის ბატონიშვილად ინოდება. მუხრანბატონად ის დაახლოებით 1691 წლიდან გვხვდება[19]. აქედან გამომდინარე, აღნიშნული საბუთი 1688-1695, უფრო კი 1688-1691 წლებით უნდა დათარიღდეს.

ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი მთავარეპისკოპოსად იხსენიება 1698 წელს. საბუთში ნათქვამია: „მუხრანბატონის შვილმა

---

[16] სცსა 1461-3/3.

[17] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 459-460.

[18] სცსა 1461-3/4.

[19] ი. ჩიქოვანი, ს. ბიჭიკაშვილი, დ. ნინიძე, მუხრანბატონთა გენეალოგიური ტაბულა, არტანუჯი, № 5, თბ., 1996, გვ. 22-36.

კოსტანტინემ და ბატონმა ბიძაჩემმა მთავარეპისკოპოსმან ქრისტეფორემ და ძმამან ჩემმან და ადარნასემ ერთის განაყოფის გლეხის მამული ნილკანს გიბოძეთო"[20]. მთავარეპისკოპოსად იხსენიება ქრისტეფორე აგრეთვე 1700[21] და 1703 წელს[22].

## 4. პაპა სერგი

საქართველოში იერუსალიმისადმი შეწირული მამულების მმართველთა შორის ცალკე უნდა გამოვყოთ იერუსალიმის პატრიარქის ვექილი, არქიმანდრიტი პაპა სერგიოსი, როგორც ქართულ საბუთებში ხშირად იხსენიება – პაპა სერგი. იგი დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში და მეტად ენერგიულად განაგებდა იერუსალიმის კუთვნილი ყმა-მამულის საქმეებს. მისი საქართველოში ჩამოსვლა ემთხვევა იერუსალიმის ქართული მონასტრების ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც ისინი იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს გამგებლობაში გადავიდნენ.

ტერმინი პაპა (ბერძნ. „πάπας" ან „πάππας" – „მამა") ადრექრისტიანულ პერიოდში უმთავრესად გამოიყენებოდა ეპისკოპოსის მიმართ როგორც პატივისცემისა და სიყვარულის გამომხატველი მიმართვა. მოგვიანო ხანაში ეს სიტყვა იხმარებოდა „მღვდლის" მნიშვნელობით[23]. საქართველოში „პაპად" იხსენიებოდა ზოგიერთი სხვა მღვდელმსახურიც, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ იერუსალიმის ყმა-მამულის მართვასთან. ასეთები იყვნენ პაპა დანიელი და პაპა ლავრენტი. ისინი დასახელებულნი არიან გიორგი XI-ის მიერ 1681 წლის მახლო-

---

[20] ქრონიკები, II, გვ. 518.

[21] Sd-2301; სცსა 1450-37/255. Sd-2301-ში მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე დასახელებულია მოწმეებს შორის. მასთან ერთად იხსენიება ჯვარის მამაც (სახელი არ არის მითითებული). ჩანს, მთავარეპისკოპოსად გახდომის შემდეგ ქრისტეფორე ჯვარის მამად აღარ ყოფილა.

[22] ქრონიკები, III. გვ. 10, 11. ერთი ცნობით ქრისტეფორე გარდაცვლილა 1701 წელს. XVI-XVII საუკუნეების ერთ ხელნაწერზე არის ასეთი მინაწერი: „ტპჱ – 1700 – [ამა] ქორონიკონს გიორგ[ობი]ს თვის კბ [ბატონ]იშვილი მთავარეფი[სკო]პოზი ქრისტეფორე მიიცვალა. (ქამნი, A-1153, ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 49).

[23] The Oxford Dictionary of Bizantium, 1991, ტ. 3, გვ. 1578-1579.

ბლად იერუსალიმის ქართული მონასტრების გამოსასყიდად მონყობილი კრების ოქმში[24]. პაპა ლავრენტი სხვა წყაროების მიხედვითაც არის ჩვენთვის ცნობილი. საინგილოში, კახში, ხუციშვილების ოჯახში დაცული ყოფილა ხელნაწერი კრებული, რომელსაც ჰქონია შემდეგი მინაწერი: „უფალო ღმერთო, შეიწყალე ყოვლად ულირსი ამ წიგნის მჩხიბავი ლავრენტი მონაზონი, ჯვარის მამის აღზრდილი ბერი"[25]. ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ჯვარი (№ 1848), რომელზედაც წერია: „ქ. პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვარი მეკუთვნის მე, ლავრენტის, წმინდა ქალაქის, იერუსალიმის იბერთა მონასტრის ბერმონაზონს 1664"[26].

პატრიარქი დოსითეოსი ერეკლე I-ს სწერდა: მამა სერგი, გამოგზავნილი ზემო და ქვემო ივერიაში მონყალების შესაგროვებლად, იყოს შენი მფარველობის ქვეშ[27]. ამავე წერილში იგი სთხოვდა მეფეს, რომ გამოეყო შესაფერისი ადგილი თბილისში, სადაც პაპა სერგი მოაწყობდა სენაკებს წმინდა საფლავის მამებისათვის[28]. 1706 წელს პატრიარქი სწერდა ვახტანგ VI-ს: „არქიმანდრიტი მამა სერგი წავიდეს კახეთში ნაზარალიხანთან და ქვემო ივერიაში, როგორც ჩვენ ვუბრძანეთ მას, ჩვენგან მიცემული მირონის დასარიგებლად"[29].

პაპა სერგის საბეჭდავზე ამოტვიფრულია 1676 წელი[30]. იგი რომ 1688 წლის მახლობლად უკვე საქართველოში ყოფილა, ამას მონმობს ერეკლე I-ის მიერ გაცემული ერთი საბუთი, სადაც ნათქვამია: „...წყალობის სიგელი მოგეცით თქვენ, იერუსალიმის დოსითეოს პატრიარქის მღვდელ-მონაზონს, პროტოსინგელოსს პაპა სერგის. ასე რომე ბედნიერმა შაჰ-სულეიმანმა რომ ქართლი გვიბოძა, შენ მოხველ და მოგვახსენე, რომ ზარაფ ზალინას სახლ-კარი ჩვენი ყოფილაო"[31]. ნაზარალიხანი ქართლში 1688 წელს გამეფდა. ყველაზე გვიანდელი საბუთი, რომელშიც პაპა სერგი იხსენიება 1719 წლის 26 სექტემ-

---

[24] სცსა 1448-1283.
[25] სახალხო გაზეთი, 1911, № 254.
[26] თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 164.
[27] Послания .., გვ. 9.
[28] იქვე.
[29] იქვე, გვ. 13-14.
[30] Ad-2048.
სცსა 1450-51/227.

ბრითაა დათარიღებული[32]. ე.ი. პაპა სერგის საქართველოში ყოფნის დრო შეიძლება დაახლოებით 1688-1719 წლებით შემოვსაზღვროთ.

1718 წელს ვახტანგ VI აახლებს დირბისა და დირბის სამღებროს შენირულების წიგნს და მიმართავს „წმიდის იერუსალიმის პატრიარქის ვექილს პაპა სერგის"[33]. საბუთის დასასრულს ნათქვამია: „რომელი წალმართ ჯვარის მამები იქნებიან, ეს ბრძანება და რიგი იმათაც აღასრულონ". 1719 წლის 2 აპრილს მეფე ბაქარი აახლებს თბილისში ჯერის მონასტრისადმი ქარვასლის შენირულებას და ამბობს: „ბიძა ჩვენს მეფეს პატრონ გიორგის ტფილის ქალაქში ქარვასლის შენირულების წიგნი ებოძებინა... ახლა პაპა სერგიმ მოგვახსენა, ის წიგნი ჯვარის მამას პართენის გაჰყვაო და ერთი იმ რიგის წიგნი თქვენ გვიბოძეთო... "[34]. პაპა სერგის მიუბარებია ჭვარების საიერუსალიმო მამულები ფარემუზ ჯავახიშვილისადმი: „კურთხეული მეფის გიორგის მთაწმინდას შენირული ნასოფლარები  თქვენ მე მომაბარეთ სამოურაოთ... ამის დროსა არც თქვენ ამის მოურაობა მომიშალოთ და არც მე ეს პირობა მოვშალო..."[35].

საბუთებიდან ჩანს, რომ პაპა სერგი და ჯვარის მამა სხვადასხვა პირები არიან. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ სია იმ პირებისა, რომელთაც 1707 წელს გადაუბურავთ სპარსეთში გარდაცვლილი ვახუშტი ორბელიანის ცხედარი. ჯვარის მამასთან ერთად იქ პაპა სერგიცაა დასახელებული[36]. იგი იხსენიება აგრეთვე იმ პირთა სიაშიც, რომლებსაც მოგვიანებით უკან გაუგზავნეს გადაბურვილი ქსოვილები. ამ სიიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პაპა სერგი უფრო მეტად პატივცემული პიროვნება ყოფილა, ვიდრე ჯვარის მამა. კერძოდ, იერუსალიმის პატრიარქს უგზავნიან თვითონ დედოფლის მიერ გარდახურვილ ყვითელ დიბას, პაპა სერგის – ბატონიშვილი მარიამის „ნაბურვილ" იისფერ დარაიაბაბთს, ხოლო ჯვარის მამას – „მისივე გარდახურვილი ა და ბაზიერთხუცისა ა".

საბუთებიდან ეხედავთ, რომ პაპა სერგისა და ჯვარის მამას სხვადასხვა უფლებები ჰქონდათ იერუსალიმის ყმა-მამულის შემო-

32 Hd-464.

33 სცსა 1450-51/169 – 1718 წ.

34 დოკ. თბ. ისტ. № 100, გვ. 119.

35 სცსა 1450-51/162 – 1716 წ.

36 საქ. სიძვ., II, № 229.

სავალზე. 1716 წელს მეფე ბაქარი უმტკიცებს დირბის მოურაობას ელიზბარ დავითიშვილს. საბუთს აქვს შემდეგი მინაწერი: „მოსავალი მოურავმა პაპა სერგიოსისათვის მიცემული დირბის მოსავლის გაყოფის განაჩენის თანახმად გაარიგოს: „ყოველგვარი მოსავლის ორი მესამედი ჯვარის მონასტერს გადაუხადოს და პაპა სერგიოსს მიაბაროს, მესამედი კი ჯვარის მამას მისცეს"[37]. მოგვიანებით, ელიზბარ დავითიშვილის მოურავად დანიშვნის შემდეგ, მეფე ბაქარმა კვლავ გასცა ბრძანება დირბის შემოსავლის გაყოფის შესახებ: „(ელიზბარ დავითიშვილმა – ნ. ხ.) დირბის გამოსაღები და ყოვალგვარი ნივთის მოსავალი გაჰყოს. ორი წილი პაპა სერგის მისცეს – ის მონასტერში გაგზავნის და მოახმარს, ერთი წილი კი ჯვარის მამას. ამას დასჯერდეს ჯვარის მამა..."[38].

ვახტანგ VI 1719 წელს განსაკუთრებული საბუთი გაუცია პაპა სერგისა და ჯვარის მამას შორის უფლებების განაწილების შესახებ: „ჯვარის მამას ნურც პაპა სერგი და ნურც სხვა ნურას შეეცილების. თავის მამულში განწყრომას, დასარბევსა და გარდასახდევინებელს ჯვარის მამა გარდაახდევინებდეს. ყოველი სამუშაო ამან ქნას: ამან თესოს და ამან მოამკევინოს; მსახური აზნაურიშვილი როგორც უნდა იახლოს, ხასადრობა და მესთულეობა ჯვარის მამის ხელთ იყოს – თუ უნდა თვითონ დაიჭიროს, თუ უნდა სხვას მისცეს. ქარვასლა და დუქნები პაპა სერგის თერთმეტ თუმნად ჰქონდეს. ამას გარდა ოთხს თუმანს, – პურად, თუ ღვინოდ, თუ თეთრად, – ჯვარის მამა პაპა სერგის ცხოველსმყოფელი ჯვარის მონასტრისათვის მისცემდეს..."[39].

ამ საბუთების მიხედვით, გამოდის, რომ იერუსალიმის მონასტრებისათვის გასაგზავნ თანხას საქართველოში უკვე აგროვებს არა ჯვარის მამა (როგორც ადრე მელეტიოსი ან ნიკოლაოზ ნულუკიძე), არამედ იერუსალიმელი არქიმანდრიტი პაპა სერგი. ჯვარის მამას კი ჰქონია თავისი მამული, რომელზედაც პაპა სერგის ხელი არ მიუწვდებოდა. თუმცა, შემოსავლიდან გარკვეული თანხა ჯვარის მამასაც უნდა გაელო მონასტრისათვის.

---

[37] Hd-461.

[38] Hd-2656, დოკ. საქ. სოც. ისტ. I, № 247, გვ. 276.

[39] Hd-464.

უკეთ რომ წარმოვიდგინოთ შექმნილი სიტუაცია, კიდევ ერთხელ დავაზუსტოთ ინფორმაცია პაპა სერგის შესახებ. პაპა სერგის ტიტული საბუთების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: „იერუსალიმის არქიმანდრიტი", „იერუსალიმის პატრიარქის ვექილი", „პატრიარქის ბერი, მღვდელ-მონაზონი, პროტოსინგელოსი". დანარჩენ შემთხვევებში იგი იხსენიება როგორც მხოლოდ „პაპა სერგი". დოსითეოსის წერილებიდან ვიგებთ, რომ პაპა სერგის ძირითადად წმინდა საფლავის საჭიროებისათვის ზრუნვა ევალებოდა. წმინდა საფლავის სახელით, როგორც ცნობილია, მოქმედებდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, რომლის ოფიციალური პოზიცია კარგადაა გამოხატული XIX საუკუნის 40-იანი წლების ერთ დოკუმენტში. ეს არის კანონთა კრებული იერუსალიმში ჩასული რუსი პილიგრიმებისათვის[40]. მის ერთ-ერთ პუნქტში ნათქვამია: „წმინდა საფლავის ხაზინა ერთია და განუყოფელი. ამიტომ ყველანაირი შენირულება, რომელი წმინდა ადგილისთვისაც არ უნდა იყოს ის გამიზნული, შედის მონასტრის (წმინდა საფლავის – ნ. ხ.) ხაზინაში. შემდეგ კი მას საპატრიარქო განაგებს თავისი შეხედულების მიხედვით". მართალია, ეს დოკუმენტი ბევრად უფრო გვიანდელი ხანისაა, ვიდრე პაპა სერგის მოღვაწეობის დრო, მაგრამ ის წარმოგვიდგება როგორც ადრე განეული მიზანმიმართული მუშაობის შედეგი.

პაპა სერგის დროს მოღვაწე ჯვარის მამებიდან ჩვენთვის ცნობილნი არიან: ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი, პართენ ხარჭაშნელი, არსენ ერისთვისშვილი, გაბრიელი, ქრისტეფორე ფალავანდიშვილი, ზაბულონ გლურჯიძე. საისტორიო საბუთების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იერუსალიმის მამულების მართვაში ეს ჯვარის მამები აღნიშნულ პერიოდში შედარებით ნაკლებად მონაწილეობდნენ, თუ არ ჩავთვლით ზაბულონ გლურჯიძისა და ქრისტეფორე ფალავანდიშვილის ყოფნას გურიაში 1717 წელს. გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: როდესაც 1692 წელს ნაზარალიხანმა აღადგენინა ჯვარისმამის ეკლესია, იგი ჩააბარა ჯვარის მამა პართენს და არა პაპა სერგის. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სწორედ პაპა სერგის დროს გაიმიჯნა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრისა და საქართველოში მისი მეურნის ფუნქციები

[40] Каптерев Н., Сношения ..., გვ. 670.

და ეს მეურნე უკვე იყო იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს, წმინდა საფლავის წარმომადგენელი.

დასასრულ, პაპა სერგის შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მონაწილეობდა ვახტანგ VI-ის მიერ დაარსებული სტამბის საქმიანობაში. კერძოდ, ეხმარებოდა მთარგმნელებს ტექსტის ბერძნულ დედანთან შედარებაში. 1713 წელს გადაწერილ კურთხევანს, რომელიც ბერძნულიდან უთარგმნია კვიპრიანე სამთავნელ ეპისკოპოსს, დართული აქვს შემდეგი ანდერძი: „... რაოდენიც ძალმედვა თვით ჩემით შევამოწმე და გასწორებასა ვეცადე – სიტყვა თუ ასო მეტ-ნაკლებობა. და რომელიმე არქიმანდრიტის პაპა სერგიოზის კითხვითა და შემოწმებითა გავაკეთე"[41]. მოგვეპოვება აგრეთვე პაპა სერგის მიერ შესრულებული ბერძნული წარწერა დავით გარეჯის უდაბნოს მთავარი ეკლესიის სადიაკვნის კედელზე:

„1691. ὁ τοῦ Ἁγίου Τάφουπροτοσύγγελος Σέργιος ἦλθεν εἰς προσκύνησιν ἔνθαδε" (წმინდა საფლავის პროტოსკნგელოზი სერგიოსი მოვიდა თაყვანისსაცემად აქ)[42].

## 5. პართენი

თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის ისტორიაზე საუბრისას, აღვნიშნავდით, რომ 1692 წელს ნაზარალიხანს თბილისის ჯვარისმამის ეკლესია გაუწმენდინებია და ჩაუბარებია ჯვარის მამა პართენისათვის[43]. პლატონ იოსელიანის ცნობით, პართენი უკვე 1678 წელს ყოფილა ჯვარის მამად. შემდეგ ის რუსეთში გაჰყოლია მეფე არჩილს[44]. ამ ცნობას თითქოს ეხმაურება ჯვრის მონასტრის ქარვასლის დაცვის სიგელი, გაცემული 1717 წელს მეფე ბაქარის მიერ. სიგელი იტყობინება, რომ ქარვასლა იერუსალიმისათვის შეუწირავს გიორგი XI-ს, მაგრამ ეს შეწირულების წიგნი „გაჰყოლია" ჯვარის მამა პართენს[45] (თუ სად, საბუთში არაა მითითებული).

---

[41] ქრ. შარაშენიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 200.

[42] თ. ოთხმეზური, ბერძნული წარწერები დავით გარეჯის უდაბნოში (ხელნაწერი).

დოკ. თბ. ისტ., № 107, გვ. 126.

[44] Иоселиани Пл., Описание ..., გვ. 64-65.

[45] დოკ. თბ. ისტ., გვ. 119, № 100.

პართენიოს ჯვარის მამის მოსახსენებელი შესულია ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ სულთა მატიანეში. ამ მატიანეში იგი მოხსენიებულია ნიკოლოზ ამბა ალავერდელის გვერდით, რომლის მოღვაწეობის წლებიც არის 1697-1721. აქედანვე ვიგებთ, რომ იგი ყოფილა ხარჭაშნელი ეპისკოპოსი: „მოიჴსენე უფალო ხარჭაშნელ ებისკოპოზი ჯვარის მამა ყოფილი პართენიოს"[46]. შუამთის მოძღვართ-მოძღვარი პართენი, რომელიც შემდეგ „იქმნა ხარჭაშნელად", იხსენიება 1707 წელს[47]. პართენ ხარჭაშნელი ამოწმებს, აგრეთვე, 1709 წელს გაცემულ ერთ საბუთსაც – იოსებ ნინოწმინდელის შეწირულების სიგელს დოდოს მონასტრისადმი[48].

## 6. არსენ ერისთვისშვილი

1697 წელს ჯვარის მამად ვხედავთ არსენ ერისთვისშვილს. იგი ამოწმებს ნასოფლარ შამირზას შეწირულების წიგნს[49]. საბუთზე დასმულია მისი ბეჭედი, რომელზეც წერია: „მონა ღვთისა, მამა ჯვარისა არსენ"[50]. არსენი ჯვარის მამად ჩანს 1701 წელსაც. იგი სხვებთან ერთად ამოწმებს ევდემონ კათალიკოსის მიერ მცხეთის ჯვრის მონასტრისათვის ნახევარკონის შეწირულებას[51]. ერთი საბუთის მიხედვით, ჯვარის მამა არსენი გვერდთ იმყოფა ნაზარალიხანმა და გაარიგა პაპუნა და ედიშერ ზემო ციციშვილების გაყრის საქმე[52].

ჯვარის მამა არსენი იხსენიება ანა ქსნის ერისთავის ასულის მზითვის წიგნშიც. ეს საბუთი „საქართველოს სიძველენში" დათარიღებულია ერეკლე I-ის ქართლში მეფობის დროით (1688-1703)[53]. საბუთში მოხსენიებულია თბილელი დომენტი. დომენტი ორბელიშვილი თბილელად ჩანს 1695-1701 წლებში[54]. 1693 წელს თბილე-

---

[46] ნ. მარი, ალაპნი, გვ. XX; ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 40. ქრონიკები, III, გვ. 24.

[48] ქ.ს.ძ. III, № 198, გვ. 663.

[49] ვ. ფუთურიძე, ქართულ სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 381-88, № 161.

[50] საქ. სიძვ. II, გვ. 114, № 91; ქართ. სპარს. ისტ. საბ. გვ. № 161, 381-388.

[51] სცსა 1449-2287.

[52] სცსა 1450-51/111. ქ. ს. ძ., .III, № 137, გვ. 206-207. ი. დოლიძე ამ საბუთს ათარიღებს 1701-1703 წლებით.

[53] საქ. სიძვ., II, № 386, გვ. 429-435.

[54] გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის საქართველოს..., გვ. 339.

ლად არის ონოფრე. ასე რომ, ამ საბუთის თარიღის ქვედა ზღვარი 1693 წელზე ადრე არ გადავა.

1699 წელს ჯვარის მამა არსენ არაგვის ერისთვისშვილს გადაუწერია ჟამ-გულანი[55].

არსენის, როგორც ჯვრის მონასტრის წინამძღვრობისათვის შეუფერებელი პიროვნების, გათავისუფლებას მხარს უჭერდა იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი. 1701 წელს იგი სწერდა ნაზარალიხანს: „შეასრულეთ პატრიარქის სურვილი, ნულარ იქნება ის (არსენი – ნ. ხ.) მონასტრის იღუმენი[56].

## 7. ქრისტეფორე ფალავანდიშვილი

ქრისტეფორე ფალავანდიშვილი ჯვარის მამად ჩანს 1706 წლიდან. იგი იხსენიება ურბნისის ეკლესიის სამრეკლოზე გაკეთებულ წარწერაში, რომელიც აუშენებია (გალავანთან ერთად) ვახტანგ VI ს. „... მას ჟამს ოდეს გვადგა სარქრად ბებიდას შვილი ჩემი, ჯვარის მამა, ურბნელ ეფისკოპოზი ფალავანდისშვილი ქრისტეფორე. ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა ბ. ქორონიკონს ტუდ"[57]. ქრისტეფორე ფალავანდიშვილი ურბნელად ჩანს 1711 წლამდე. ამ დროიდან იგი შეცვალა ელისემ[58]. ქრისტეფორე ფალავანდისშვილს ჯვარის მამად ვხედავთ 1717 წელს. ამ დროს იგი ქვათახევის მონასტრის წინამძღვარიცაა[59]. ჯვარის მამა ქრისტეფორე გურიაშიც ყოფილა.

---

[55] ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის (ზსიემ) ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, № 12. გამოსაცემად მოამზადა ც. კახაბრიშვილმა (ხელნაწერი).

[56] Послания..., გვ. 7.

[57] ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, თბ., 1907, I, გვ. 50; პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 129. როგორც ექ. თაყაიშვილი, ასევე პ. ზაქარაია აღნიშნავენ, რომ ინდიქტიონის მითითებისას „ბ"-ს მაგიერად უნდა იყოს „გ". ვახუშტი ბაგრატიონი ურბნისის ეკლესიის შესახებ წერს: „ხოლო ან არს ეკლესია დიდი უგუმბათო,... შემუსრვილი აღაშენა და განაახლა ჟდ მეფემან ვახტანგ და შეამკო ხატი მისი წმიდის სტეფანე პირველმონამისა. მოზღუდა ქვითკირითა" (ქ.ც. IV, გვ. 373).

[58] ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზ., I, გვ. 59.

[59] Hd-4264 (პ); Hd-23; საქ. სიძვ. III, გვ. 411, № 429.

მას „გაურიგებია“ იქაური მამულების საქმე: – შეუწყნარებია ანტონ მელია, რომელსაც მონასტრის მამულებზე ადრე რაღაც დანაშაული ჰქონია ჩადენილი და მისთვის გლეხები უბოძებია[60].

გარდა ამისა, მოგვეპოვება ჯვარის მამა ქრისტეფორე ფალავანდიშვილის მიერ გაკეთებული მინაწერი გოლგოთაზე გადაწერილი სახარებისა და სამოციქულოს ყდაზე: „ქ. ესე წიგნი ქვათახევის არისე, ვინც მოიპაროს ქვათახევისა რისხავს და გაუწყრება. და ღმერთო, ადღეგრძელე წინამძღვარი ქრისტეფორე ფალავანდ“[61].

ქრისტეფორე ფალავანდიშვილი ურბნელად უნდა ყოფილიყო 1708 წლამდე, რადგან ამ დროიდან ურბნელი ეპისკოპოსი არის ელისე მერისლიძე[62]. ქვათახევის წინამძღვრად კი უნდა ყოფილიყო 1720 წლამდე. ამ დროიდან ქვათახევის წინამძღვრად ჩანს ზაქარია[63].

შეინიშნება გარკვეული კანონზომიერებაც: ჯვარის მამები, როგორც მუხრანის ბატონიშვილი, ასევე ფალავანდიშვილი ქართლის მეფეების ახლო ნათესავები არიან, რაც მიუთითებს ამ თანამდებობის მნიშვნელობაზე. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ნაზარალიხანის მეფობისას ჯვარის მამად ჩანს, ალბათ, მასთან უფრო დაახლოებული პართენ ხარჭაშნელი, ხოლო შემდეგ არსენ არაგვის ერისთვიშვილი[64]. გარდა ამისა, მთავარეპისკოპოსად გახდომის შემდეგ არც ერთი აღარ მოიხსენიება ჯვარის მამად. ჩნდება კითხვა: ხომ არ იყო მთავარეპისკოპოსის წოდება შეუთავსებელი ჯვარის მამობასთან?

---

[60] Hd-11277.

[61] H-1348; მ. კარანაძე, ქართული მწიგნობრობის ისტორიიდან (ხელნაწერი წიგნის ყდა – კოდიკოლოგიური კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი), (საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1994, გვ. 65). გვარის წინ დასმულია ჯვარი, რაც, შესაძლოა, სწორედ მინაწერის ავტორის ჯვარის მამობის აღმნიშვნელია.

[62] ქრონიკები, III, გვ. 27.

[63] საქ. სიძვ., II, № 21, გვ. 28.

[64] ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ნაზარალიხანს ბევრი სასულიერო პირი შეუცვლია თავისი მომხრეებით: „...გარნა ამის ჟამამდე არა იცვალებოდნენ კათალიკოზი და ეპისკოპოზნი საყდართა თჳსთაგან. ამან შესცვალა და დასხნა თჳსნი...“ (ქ.ც. IV, გვ. 464).

შემორჩენილია რამდენიმე საბუთი, რომლებიც წარმოადგენს ჩამონათვალს იმ პირებისას, რომელთაც „გარდაბურეს"[65] სპარსეთში გარდაცვლილი ვახუშტი ორბელიანის ცხედარი, როდესაც ვახუშტი ორბელიანი საქართველოში ჩამოასვენეს. „გარდამბურველთა" შორის მოხსენიებულნი არიან შემდეგი პირები:

„მთავარეპისკოპოსმა ხარა ჯინჯილო ყვითელი ა

ქვათახევის წინამძღვარმა ხათაია ა, ოთხი კვერი სანთელი და ორი საპალნე ღვინო.

ჯვარის მამა ქრისტეფორემ იისფერი ჩაქანი[66] ა"[67].

„გარდაბურვილი" ნივთები, როგორც ჩანს, რამოდენიმე ხნის შემდეგ ურიგდებოდა სხვადასხვა პირებს, რის შესახებაც კვლავ ცალკე ნუსხა დგებოდა. იმ პირთა სიაში, რომელთაც მიიღეს ვახუშტი ორბელიანისათვის „გარდაბურვილი" ქსოვილები იმავე 1707 წელს იხსენიებიან:

„მთავარეპისკოპოზს – მისი ნახურვილი ა, ბატონიშვილის თეიმურასისა ა

ჯვარის მამას – მისი გარდახურვილი ა, ბაზიერთ ხუცისა ა"[68].

## 8. გაბრიელი

შედგენილია იმ პირთა ნუსხაც, რომელთაც გარკვეული ხარჯი გაუღიათ ვახუშტი ორბელიანის დაკრძალვისას. ჩამოთვლილთა შორის არიან:

„ჯვარის მამა – აბაზი ზ

ჯვარის მამას გაბრიელს – შაური ვ"[69].

---

[65] „გადაბურვა", როგორც ამ საბუთებიდან ჩანს, ძირითადად, გულისხმობდა ცხედარზე რაიმე ძვირფასი ქსოვილის გადაფარებას მიმსვლელის მიერ. ქსოვილის გარდა, იშვიათად, „გარდასაბურავი" შეიძლება ყოფილიყო სანთელი, ღვინო და სხვ.

[66] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ხარა" – „ნაქსოვია ერთი", „უსახო ოქროქსოვილი"; „ხათაია" – „ნაქსოვია ერთი"; „ჩაქანი" განუმარტავია (სიტყვის კონა, II, თბ., 1973).

[67] საქ. სიძვ. II, № 229, გვ. 268.

[68] საქ. სიძვ. II, № 230, გვ. 273.

[69] საქ. სიძვ. II. № 234, გვ. 280-284.

ამ საბუთებში მოხსენიებული ჯვარის მამა ქრისტეფორე არის ქრისტეფორე ფალავანდიშვილი, რომელიც ამ დროს იყო ურბნელი ეპისკოპოსიც. როგორც ვხედავთ, ამ საბუთში იხსენიება კიდევ ერთი ჯვარის მამა, გაბრიელი.

## 9. ზაბულონ გლურჯიძე

ჯვარის მამა ზაბულონ გლურჯიძე მოხსენიებულია 1717 წლის 8 იანვრით დათარიღებულ საბუთში. იგი ჩასულა გიორგი გურიელის კარზე და იქაური „საჯვარისმამო" ყმა-მამულის გამგეობა უტვირთავს[70]. ჯვარის მამა ზაბულონი იხსენიება, აგრეთვე, 1723 წლის ორ საბუთში. ეს საბუთები წარმოადგენს დავას ერთი ვალის შესახებ და ამ ვალის გარდაწყვეტილებას. ჯვარის მამას მიბარებული ჰქონია ვახუშტი აბაშიძის თოთხმეტი თუმანი თეთრი. ეს ფული მას უსესხებია კონსტანტინე დავითიშვილისათვის. თამასუქი „ქალაქში" დარჩენილა. იქ კი, „ქალაქში", ჯვარის მამა მოუკლავთ. აღნიშნული თანხა შემდგომში უკლებლივ მიბარდა ვახუშტი აბაშიძეს[71]. უფრო ადრე ეს ფული კონსტანტინე დავითიშვილისათვის გამოურთმევია მეფე ვახტანგ VI-ს და თავის „ქარხანაში" დაუხარჯავს.[72] შესაძლოა, ჯვარის მამა ზაბულონი მოკლეს თბილისში ლეკებისა და ოსმალების შემოსევების დროს 1722-1723 წლებში. როგორც ცნობილია, ამ შეტაკებებისას განსაკუთრებით ძლიერად დაზიანდა სიონი და მისი მიმდებარე ტერიტორია (სადაც დგას ჯვარისმამის ეკლესიაც): „ხოლო მისცეს მაჰმად-ყული ხან ქალაქი და შევიდნენ ლეკნი, იავარ-ყვნეს და მრავალი ტყუე-ყვნეს. ეგრეთვე გამოვიდნენ მცველნი ციხის თათარნი და დაწუეს სიონი... და სისხლი მართალთა დაითხია უსჯულოთაგან"[73].

---

[70] Hd-11270.

[71] დ. უჩანეიშვილი, დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ., 1967, № 15, გვ.31.

[72] იქვე, № 14, გვ. 31. ამ დავაში მონაწილე პირთაგან ვახუშტი აბაშიძე ვახტანგ VI-ის შვილის, ანუკას ქმარია. კონსტანტინე დავითიშვილი, შესაძლოა, დაკავშირებული იყო სოფელ დირბის იერუსალიმისადმი შეწირული მიწების მართვასთან. როგორც ზემოთ ვნახეთ, ტრადიციულად დირბის მოურავებად ინიშნებოდნენ დავითიშვილები.

[73] ქ.ც. IV, გვ. 503-504.

როგორც ვხედავთ, ჯვარის მამა ზაბულონი იხსენიება 1717 წლის იანვარში, ხოლო იმავე წლის ივნისში საბუთების მიხედვით ჯვარის მამად ჩანს ქრისტეფორე ფალავანდიშვილიც. აქაც, მსგავსად ზემოთ განხილული შემთხვევისა, გლურჯიძე ცვლის ფალავანდიშვილს, მაგრამ გარკვეული დროის განმავლობაში ორივე მათგანი ერთდროულად იხსენიება ჯვარის მამად.

## 10. გერასიმე

ჯვარის მამა გერასიმე ამონმებს მდივან გიორგისათვის ყაფლანიშვილის სახლთხუცის ელიზბარისაგან იესე ეგნატაშვილის ხელით გამოგზავნილი ფულის მიბარების ნიგნს: „მე, ჯვარის მამა გერასიმე ამის მონმე". საბუთს აქვს გერასიმეს ბეჭედი, რომელზეც მითითებულია 1717 ნელი. ამის მიხედვით „საქართველოს სიძველენში" საბუთი დაახლოებით დათარიღებულია 1717 ნლით[74]. შესაძლოა, ჯვარის მამის ბეჭედზე მითითებული თარიღი აღნიშნავდეს ჯვარის მამად, იერუსალიმელ არქიმანდრიტად დადგინების დროს. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ გერასიმე 1717 ნლიდან უკვე არქიმანდრიტი ყოფილიყო[76], მაგრამ როდიდან არის იგი ჯვარის მამა და იერუსალიმის პატრიარქის ოფიციალური ნარმომადგენელი საქართველოში, ზუსტად ნათელი არ არის. ქვემოთ ვნახავთ, რომ 1719 ნლამდე საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველად დადგენილი იყო ბერძენი არქიმანდრიტი პაპა სერგი. შესაძლოა, ჯვარის მამა გერასიმე საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველად დაინიშნა 1719 ნლის შემდეგ.

1739 ნელს გერასიმეს მამია გურიელმა პირობის ნიგნი მისცა ჯერის მონასტრის მამულების დაცვის შესახებ[76]: „ჟამთა ვითარები-

---

[74] საქ. სიძვ. II, № 313, გვ. 361.

[75] უმეტეს შემთხვევაში ბეჭდის თარილი მისი მოჭრის, გაკეთების თარილია, მაგრამ ვინაიდან ყოველი მოლვანე თავისი ზეობის დასანყისშივე ცდილობდა ჰქონოდა თავისი სამოხელეო ბეჭედი, ამიტომაც ხშირად ბეჭდის მოჭრის თარილი ბეჭდის მფლობელის მოლვანეობის დასანყის ნელს ემთხვევა (ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, ნან. I, თბ. 1978, გვ. 15).

[76] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 151, გვ. 143.

საგან აქ მართალი ჯვარის მამა და ქრისტეს საფლავის ბერი არვინ მოსულიყო. ამისათვის ქრისტეს საფლავის მამულსა დიაღ ძალი დაემართა". ამ საბუთში ყურადღებას იქცევს გერასიმეს მოხსენიება „მართალ ჯვარის მამად", რაც იერუსალიმიდან ჩამოსულ არქიმანდრიტს და პატრიარქის ვექილს უნდა გულისხმობდეს. „იერუსალიმის არქიმანდრიტი, ჯვარის მამა გერასიმე" ჩანს 1753 წელსაც[77]. შემორჩენილია ერთი უთარიღო საბუთიც: ჯვარის მამა გერასიმე პირობის წიგნს აძლევს ხორეშან მამულაიშვილს ქრისტეს საფლავის ყმის ბეგარის გადახდის შესახებ[78]. გერასიმე გარდაცვლილა 1756 წლის მახლობლად. ამ წლის 12 მარტით დათარიღებული საბუთი[79] გვამცნობს, რომ იერუსალიმის პატრიარქის პართენიოსის (1737-1766) მიერ საქართველოში „ვექილად"[80] წარმოვლენილი არქიმანდრიტი და ეგზარქოსი სვიმეონ საქართველოში მოვიდა. აქ პატრიარქის ვექილი და ჯვარის მამა გერასიმე მიცვალებულიყო. ე.ი. გერასიმეს მოღვაწეობის დრო დაახლოებით 1719-1756 წლებით ისაზღვრება.

შესაძლოა, ქრისტეფორე ფალავანდიშვილის (1706-1717) და ზაბულონ გლურჯიძის (1717-1723) ჯვარისმამობის დრო ემთხვეოდეს გერასიმეს ჯვარის მამად მოღვაწეობის დასაწყისს.

## 11. იოსები

ჯვარის მამა იოსებ ერისთვისშვილი 1742 წელს ამოწმებს სოლაღაშვილების საძმო და გაუყრელობის წიგნებს[81].

ჯვარის მამა იოსები იხსენიება აგრეთვე გიორგი გურიელის მიერ გაცემულ ერთ საბუთში, რომლის მიხედვითაც გურიელი უახლებს ჯვარს, გოლგოთასა და ქრისტეს საფლავს ძველ შენირულებებს გურიის სოფლებში. საბუთი უთარიღოა[82]. ქ. ჩხატარაიშვილის

---

[77] სცსა 1448/4121. დოკ. თბ. ისტ. № 217, გვ. 264.

[78] Hd-11276.

[79] სცსა 1450-51/215.

[80] სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ვაქილი" არის „თანამოსარჩლე, ვაქირი, მიზდური მოსარჩლე, რომელ არს სვინოლროსი". მისივე განმარტებით „მიზდი" არის „ასალები რამ სარგო, ქირა", ხოლო „მიზდური" – „მიზდის ამღები".

[81] Hd-14289, Hd-14290.

[82] Hd-10275 (ჰ).

მიხედვით ეს უნდა მომხდარიყო XVIII საუკუნის 50-იან წლებში[83]. ე. ი. ჯვარის მამა იოსებ ერისთვისშვილის მოღვაწეობის დრო შეიძლება მივიჩნიოთ 1742 წლიდან 1750-იანი წლების შუა ხანებამდე.

## 12. ონოფრი

გერასიმეს დროსვე საქართველოში ჯვარის მამად ჩანს ონოფრი. იგი მოხსენიებულია 1752 წლის 2 და 29 ივნისით დათარიღებულ ორ საბუთში[84]. ამოწმებს ამილახვრების სახლის კუთვნილების წიგნს.

## 13. ანტონ დიასამიძე

ანტონ დიასამიძე არქიმანდრიტად და ჯვარის მამად ჩანს 1755 წლის თებერვალში. მისთვის მიუბარებიათ მოლარეთუხუცეს ელიზბარ გლურჯიძის მიერ ნაყიდი და წმინდა საფლავისათვის შეწირული ვენახი ატენში[85]. იგი იხსენიება, აგრეთვე, ჯვარის მამა გერასიმეს დანატოვარი ნივთების გადაცემის საბუთში[86]: პატრიარქის ვექილის, გერასიმეს გარდაცვალების შემდეგ, 1756 წლის მარტში საქართველოში ჩამოვიდა ასევე ვექილად წარმოვლენილი სვიმეონი, ამ უკანასკნელს გერასიმეს ნივთები გადასცა ჯვარის მამა ანტონ დიასამიძემ. ანტონი ჯვარის მამად მოგვიანებითაც გვხვდება, ოღონდ განსხვავებული სტატუსით. 1781 წელს, როდესაც გარდაცვლილა ჯვარის მამა არსენიოსი, მისი დარჩენილი ნივთები ჩაუბარებია ჯვარის მამა ანტონიოსს[87]. მოგვიანო ხანის საბუთებიდან ჩანს, რომ ანტონ დიასამიძე არის „ქრისტეს წმინდა საფლავის მეურნე"[88] და „იერუსალიმიდან ვექილად წარმოვლენილი არქიმანდრიტი, იერუსალიმელი ჯვარის მამა"[89]. 1799 წლის 18 ივნისით დათარი-

[83] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 652.

[84] სცსა 1450-23/239 - დოკ.თბ.ისტ. № 206, გვ. 246-47; სცსა 1450-28/235. ქ.ს.ძ. IV, 1972 № 321, გვ. 406-407.

[85] სცსა 1448-627.

[86] სცსა 1450-51/215.

[87] Sd-5113.

[88] სცსა 1450-51/194.

[89] სცსა 1448-71.

ღებულ საბუთში ანტონ დიასამიძე თავს უწოდებს „ჯვარის მამად ყოფილს"[90], მაგრამ, როგორც ჩანს, მისი, როგორც იერუსალიმელი არქიმანდრიტის მოღვაწეობა უფრო ადრე უნდა დასრულებულიყო. XVIII საუკუნის 90-იანი წლებისათვის საქართველოში იერუსალიმის საკუთრების გამგებელი უკვე ჯვარის მამა ათანასეა. მართალია, ანტონ დიასამიძეს 1798 წელს კიდევ ვხედავთ როგორც ათანასეს თანამწირველს[91], მაგრამ პატრიარქის ვექილად იგი ამ დროს უკვე აღარ მოიხსენიება. ანტონ დიასამიძის ბეჭედზე გამოსახულია 1779 წელი რაც, შესაძლოა, არის მისი იერუსალიმელ არქიმანდრიტად დადგინების თარიღი. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ანტონ დიასამიძე პირველად ჯვარის მამად გვხვდება 1755-1756 წლებში, ხოლო როგორც იერუსალიმელი არქიმანდრიტი და პატრიარქის ვექილი იგი 1779-1793 წლებში მოღვაწეობდა.

### 14. სვიმეონი

სვიმეონი საქართველოში ჩამოვიდა 1756 წელს, როგორც „პატრიარქის ვექილი"[92]. 1761 წელს იგი ამოწმებს მამია გურიელის მიერ ქრისტეს საფლავის ყმებისათვის სალიანის გაუქმებას[93].

იმავე 1756 წლის 11 მაისს სვიმეონი სთხოვდა კათალიკოს ანტონს, რომ მას გაეგზავნა კაცი იერუსალიმის პატრიარქ პართენიო-

---

[90] Qd-848.

[91] Hd-3534.

[92] სცსა 1450-51/215. პლატონ იოსელიანს სინოდის არქივში უნახავს იერუსალიმის პატრიარქის პართენიოსის (1737-1766) მიერ გაგზავნილი სიგელები ანტონ I-სადმი. ერთ-ერთ მათგანი დათარიღებულია 1755 წლის 8 სექტემბრით. მის შინაარსს პლატონ იოსელიანი ასე გადმოგვცემს: „წერილი მოიტანესო ქრისტეს საფლავისა არხიმანდრიტმან სკმეონ და მამა აკაკიმან და ითხოვეს რომ ქალაქსა თფილისს გარდაცუალებულა ჯუარის მამა არხიმანდრიტი ამბროსი და მოიძებნოსო თუ დარჩა რაიმეო... ვპგზავნით არხიმანდრიტს სკმეონს შენევნისა შესაგროვებლად ქართლში და მამა აკაკის ჯუარის მამად. – მეფენი ქართუელთანი ადრე ყოველთვის გკგზავნიდნენ შეწევნასა და აგერ 25 წელიწადია აღარას გზავნიან სანუგეშოდ წმინდისა ქალაქისა და არცაღავის თქუენგან მოსულაო" (მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესაგან ქართლისა მთავარეპისკოპოსისა, თბ., 1852, გვ. 31).

[93] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 154, გვ. 146.

სთან და ეთხოვა: როგორმე დაეხსნა დომენტი კათალიკოსის მიერ კონსტანტინოპოლში ფრანგებისათვის მიბარებული განძი და ვალი მოეშორებინა[94]. სვიმეონი იხსენიება აგრეთვე გიორგი გურიელისშვილის მიერ ქრისტეს საფლავისათვის ყმების შენირულების ნიგნში[95]. აქ იგი ინოდება როგორც „პატრიარქის კაცი, ექვსარიხოსი სვიმეონ" და „პატრიარქის მაგიერი კაცი".

## 15. ელისეოსი

1762-1763 წლებში საქართველოში ჩამოსულა ქრისტეს საფლავის არქიმანდრიტი ელისეოსი. იგი შემოქმედელ მიტროპოლიტ ნიკოლოზთან ერთად ამტკიცებს გურიის სოფლების მამათისა და კონჭკათის ყმა-მამულის ქრისტეს საფლავისადმი შენირულების საბუთებს[96].

## 16. ტიმოთეოსი

XVIII საუკუნის შუა ხანებში ჯვარის მამად ჩანს ტიმოთეოსი[97]. მამია გურიელსა და მის მეუღლეს, როდამს, განუახლებიათ ძველი შენირულებები მამათში, ბაილეთში, ჩაიხედენასა და ჩოჩხათში. საბუთი უთარიღოა. მამია გურიელი, რომელსაც ცოლად ჰყავდა როდამი, არის მამია IV, „დიდის" ზედნოდებით ცნობილი. ის მთავრობდა 1726-1756, 1758-1765 და 1771-1776 წლებში[98]. 1732 წელს მან ცოლად შეირთო იმერეთის მეფის ალექსანდრეს ასული როდამი. როდამი ცოცხალი ყოფილა 1769 წელსაც. შ. ბურჯანაძე ამ საბუთს ათარიღებს XVIII საუკუნის პირველი ნახევრით. ქ. ჩხატარაიშვილის მიხედვით, ტიმოთეოსი გურიაში ყოფილა XVIII საუკუნის 60-იან წლებში[99].

---

[94] პ. კარბელაშვილი, იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათალიკოსნი და მღვდელმთავარნი, თბ., 1900, გვ. 160.

[95] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 153, გვ. 145.

[96] სცსა 9-522, ფურც. 3.

[97] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 152, გვ. 144.

[98] ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 359.

[99] იქვე, გვ. 651.

## 17. დავით ნიქოზელი

1761 წელს ჯვარის მამა დავით ნიქოზელი ამოწმებს ნასყიდობის წიგნს ხერხეულიძეებისა და არდაშელებს შორის[100]; 1762 წელს კი ხერხეულიძეებსა და მირზაშვილებს შორის[101]: – „ქ. მე მიქოზელი ეფისკოპოზი დავით და ჯვარის მამა ამისი მოწამე ვარ". ახლავს ბეჭედიც მხედრული ლეგენდით: „ქ. მიქოზელი ეპისკოპოზი". შუაში ასომთარულით წერია „დავით". ორივე ნასყიდობის ობიექტი სოფელ ყელქცეულში მდებარე მამულია.

1763 მას მოუგვარებია დავა გოგიაშვილსა და გონგლიაშვილებს შორის წისქვილის თაობაზე[102]. 1770 წელს „ნიქოზელი ეპისკოპოსი, ჯვარის მამა დავითი" ამტკიცებს ყმის კუთვნილებას: „გყვანდეთ და გიბედნიეროსთ ღმერთმან იელუსალიმის ერთგულობასა და ჯვარის მამის სამსახურშია"[103]. დავით ნიქოზელი ეპისკოპოსი შეტანილია XVIII საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ ქართლ-კახეთის ეპისკოპოსთა სიაში ურბნელის შემდეგ[104].

ჯვარის მამა ნიქოზელს 1773 წელს დავა ჰქონია გერმანე მროველთან „დირბის საქმეზე"[105].

## 18. არსენიოსი

1781 წელს გარდაცვლილა ჯვარის მამა არსენიოსი. მისი დარჩენილი ნივთები, მიბარებული პაპუნა წერეთლისათვის, მიუღია იერუსალიმელ ჯვარის მამას ანტონიოსს[106]. ეს ის ანტონ დიასამიძეა, რომელსაც 1756 წელს გერასიმესაგან დარჩენილი ნივთები ჩაუბარებია სვიმეონისათვის. ამჯერად იგი „ქრისტეს წმინდა საფლავის მეურნე, არქიმანდრიტი, ჯვარის მამა ანტონ დიასამიძეა"[107].

---

[100] Sd-201.

[101] Sd-202.

[102] სცსა 1448-3037.

[103] სცსა 1448-18.

[104] ქ.ს.ძ. III, № 373, გვ. 929.

[105] Qd 1773; ქ.ს.ძ. IV, გვ. 659 № 508. ნიქოზელი ეპისკოპოსი XV საუკუნის შუა წლებშიც გვხვდება ჯვარის მამად (ელ. მეტრეველი, მასალები..., გვ. 77).

[106] Sd-5113.

[107] სცსა 1450-51/194.

## 19. ათანასე

1788 წლიდან საქართველოში ჯვარის მამად ჩანს ათანასე. 1793 წლიდან კი იგი პატრიარქის ვექილი და იერუსალიმელი არქიმანდრიტია[108]. ამ დროიდან ათანასე უკვე საქართველოს საიერუსალიმო მამულების სრულუფლებიანი გამგებელია: 1794 წელს თანამდებობიდან ათავისუფლებს დირბის სახლთხუცესს[109]; 1795 წელს მიემგზავრება იმერეთში შეწირულებების გასაახლებლად[110]; 1798 წელს გურიაშია[111]; იმავე წელს ნიშნავს სოფელ აღდგომის მოურავს[112] და სხვ.

საინტერესო ფაქტი მოჰყავს პლატონ იოსელიანს ათანასე ჯვარის მამის ბიოგრაფიიდან. გიორგი XII-ის კარზე მოღვაწეობდა ვინმე პატრი ნიკოლა, გვარად რუტოლიანი (გაუძევებიათ საქართველოდან 1801 წლის 22 ნოემბერს). ერთხელ ამ პატრს მიუმართავს მეფისათვის და ურჩევია მისთვის უკუეგდო საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის განზრახვა: „დამონებული სხვათაგან მეფობა არის უბედური და მარადის სამწუხარო. სხვათაგან დამოკიდებული ქვეყანა იქმნება ქვეყანა დაცინებული და საკიცხველი". პატრი ნიკოლა ამ და სხვა მსგავსი გამონათქვამებით ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა მეფეზე. მის მომხრედ გამოსულა ჯვარის მამა ათანასეც. მან ითხოვა მოეტანათ ბიბლია და შესაბამისი ადგილი წაეკითხათ მეფისათვის ესაია წინასწარმეტყველის თავიდან[113]. მათ სიტყვებს მეფეზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, იმდენად, რომ მასთან სპეციალურად მისულა „წინამძღვარი და მოძღვარი ეფთვიმი"[114], რათა

---

[108] Hd-9005.

[109] სცსა 1450–51/223.

[110] სცსა 1450–51/201.

[111] Hd-11272.

[112] Ad-617.

[113] პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-ისა, თბ., 1978, გვ. 152-153. პლ. იოსელიანს ციტირებული აქვს ესაიას მესამე თავი. მეფისათვის ეს ადგილი წაუკითხავს პლ. იოსელიანის მამას ეგნატე იოსელიანს.

[114] ეს ეფთვიმი იყო გარეჯში იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი (ცხოვრება გიორგი XIII-ისა, შენ. 53, გვ. 252). ეფთვიმე მჭედლიშვილი ნათლისმცემლის წინამძღვარი იყო 1776-1798 წლებში (მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ., 1965, გვ. 181-183).

გაემხნევებინა მეფე და დაერწმუნებინა იგი ხელი არ აეღო თავის პირვანდელ განზრახვაზე – რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლაზე.

ამჯერად იერუსალიმისა და რომის წარმომადგენლები, სხვა დროს შეურიგებელი მოწინააღმდეგენი[115], ერთ ბანაკში აღმოჩდნენ. უფრო ადრე ანალოგიური პოზიცია გამოავლინა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა კიევის მიტროპოლიის რუსეთთან შეერთების გამო XVII საუკუნის 80-იან წლებში. პატრიარქი წინააღმდეგი იყო ამ შეერთებისა და მას მიიჩნევდა „ეკლესიურ თვითმოყვარებად". დოსითეოსი მხურვალედ თანაუგრძნობდა რუსეთის პოლიტიკურ გაძლიერებას, განსაკუთრებით, როდესაც საქმე თურქეთთან დაპირისპირებას ეხებოდა. მაგრამ, ამავე დროს, მას არ სურდა რუსეთის ეკლესიური გავლენის სფეროს გაფართოება. დოსითეოსმა კარგად იცოდა, რომ საქართველო, მოლდავეთი და ვლახეთი არ იყვნენ რუსეთის მფარველობაში შესვლის წინააღმდეგნი. ამას კი შეიძლებოდა გამოეწვია მოსკოვის პატრიარქის გაძლიერება მისი თანამოძმეების, აღმოსავლეთის პატრიარქების ხარჯზე[116].

ჯვარის მამა ათანასეს პოზიციას კარგად ხსნის ის განწყობაც, რომელმაც თავი იჩინა რუსეთის მმართველ წრეებში XVIII ს-დან იერუსალიმის საპატრიარქოს მიმართ. XVII საუკუნის მანძილზე იერუსალიმელი პატრიარქები რუსეთში ხედავდნენ არა მხოლოდ მდიდრული შეწირულობების წყაროს, არამედ ძალასაც, რომელიც დაიხსნიდა მათ თურქეთის ბატონობისაგან. რუსეთი კი იერუსალიმს აღიქვამდა როგორც რუსული პოლიტიკის ერთგულ მომხრეს. XVIII საუკუნიდან ეს მჭიდრო ურთიერთობა თანდათანობით განელდა და რუსეთის მხრიდან შესამჩნევი უნდობლობითაც შეიცვალა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა და, შეძლებისდაგვარად, შეეზღუდა კიდეც საზღვარგარეთის მონასტრებისათვის შეწირულებების შეგროვების საქმე[117]. საქართველოში კი ასეთი რამ არ იგრძნობოდა. პირიქით, იერუსალიმის წარმომადგენლები აქ თავს სავსებით მშვიდად და კეთილგანწყობილ

[115] Послания, ...გვ. 16. Фонкич Б.Л., Иерусалимский патриарх Досифей и его рукописи в Москве, Византийский временник, XXIX, М., 1969, გვ. 287-288.

[116] Каптерев Н., Сношения ..., გვ. 252-270.

[117] Каптерев Н., Сношения ..., გვ. 467-473.

გარემოცვაში გრძნობდნენ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, საქართველოში რუსეთის გავლენის სფეროს გადმოტანა იერუსალიმისათვის სასურველი არ იქნებოდა.

ბოლო საბუთი, რომელიც ათანასეს საქართველოში მოღვაწეობას ეხება, დათარიღებულია 1804 წლით[118]. გიორგი ავალიშვილი, თავისი მოგზაურობის დროს, 1819 წელს, შეხვედრია ყოფილ ჯვარის მამას ათანასეს სტამბოლის მახლობელ დაბა იენიქოში, სადაც ის წმ. გიორგის მონასტრის წინამძღვრად ყოფილა[119]. მოგვიანებით ათანასე იერუსალიმის პატრიარქი გახდა. იგი პატრიარქი იყო 1827-1845 წლებში[120].

## 20. ბენედიქტე

თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის შესახებ საუბრისას აღვნიშნავდით, რომ ეკლესიის კარიბჭის ქვაფიცარზე (რომელიც დღეს მოხსნილია) ამოკვეთილია ჯვარის მამა ბენედიქტეს წარწერა. მოტანილი გვქონდა წარწერის სრული ტექსტი, გამოცემული სხვადასხვა დროს ქართველი მეცნიერების ვ. დონდუასა და ვ. ბერიძის მიერ. წარწერიდან ვხედავთ, რომ ბენედიქტე საქართველოში ჩამოსულა 1794 წელს და თავისი მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე ქართლში, კახეთსა და იმერეთში ყმა-მამული მოუპოვებია წმინდა საფლავისათვის.

1794 წელს, როდესაც ბენედიქტე ჩამოსულა საქართველოში, ჯვარის მამად იყო ათანასე. ქართულ საისტორიო საბუთებში ბენედიქტეს სახელი 90-იანი წლების მიწურულიდან, 1799 წელს გვხვდება და იხსენიება როგორც „ჯვარის მამის ვექილი", ხელს ურთავს როგორც მღვდელ-მონაზონი ბენედიქტე, ხოლო მის ბეჭედზე გამოსახულია ჯვარი და სწერია: „იერუსალიმელი ვენეტიქოსი"[121]. ჯვარის მამის ვექილად იხსენიება ბენედიქტე 1799 წლის კიდევ რამდენიმე საბუთში[122]. ზოგჯერ იგი არქიმანდრიტათაც იწოდება[123]. ჯვარის მა-

---

[118] სცსა 1448-6790.

[119] გ. ავალიშვილი, მგზავრობაი, გვ. 55.

[120] Каптерев Н., Сношенія ..., გვ. 811.

[121] Qd-848.

[122] სცსა 1450-51/187, 1450-51/186 და სხვ.

[123] Qd-1931; Qd-759.

მად კი ბენედიქტე ჩანს 1799 წლის ნოემბრიდან[124]. ბენედიქტეს სხვა ბეჭედზე ამოტვიფრულია 1807 წელი[125]. ამავე დროს, 1804 წელს ათანასე ჯერ კიდევ საქართველოშია და ინოდება პატრიარქის ვექილად და ჯვარის მამად. ერთი მხრივ ეს ფაქტი, ხოლო მეორე მხრივ საბუთებში დაცული ინფორმაცია გვაფიქრებინებს, რომ ბენედიქტე ფაქტიურად უკვე 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ასრულებდა ჯვარის მამის მოვალეობას, მაგრამ ქრისტეს საფლავის მეურნედ და პატრიარქის ვექილად ის ათანასეს შემდეგ უნდა იყოს დამტკიცებული 1804-1807 წლებში.

1809 წელს ბენედიქტე ყოფილა იმერეთში და, შესაძლოა, გურიაშიც[126]. მომდევნო ხანის საბუთებში ჭარბობს სხვადასხვა თამასუქები, ფულის გასესხების ხელწერილები[127]. როგორც ჩანს, ბენედიქტეს ამგვარი ფინანსური საქმიანობა ფართოდ ჰქონდა გაშლილი და, ალბათ, პირად გამორჩენასაც არ ივიწყებდა. მალე ბერძენი ჯვარის მამის ამ ფინანსურმა ოპერაციებმა რუსეთის ხელისუფლების ყურადღებაც მიიპყრო. ამავე დროს, ეს ფაქტი წარმოდგენილ იქნა არა როგორც კერძო და კონკრეტული შემთხვევა, არამედ როგორც ზოგადი და არასასურველი რუსეთის სახელმწიფოსათვის.

1819 წლის 6 მაისის მოხსენებით კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი იმპერატორს ატყობინებდა, რომ მას შემდეგ, რაც ბენედიქტე შეცვალა არქიმანდრიტმა მათეოსმა, საქართველოში მრავალ ადგილას დაწყებულა სასამართლო პროცესები ბენედიქტეს მიერ გაცემული სესხებისა და მის მიერ ჩატარებული სავაჭრო ოპერაციების გამო. ერმოლოვი გამოთქვამდა უკმაყოფილებას და აღნიშნავდა, რომ ბერძენი სასულიერო პირები თვითნებურად განაგებდნენ საზღვარგარეთის ეკლესია-მონასტრების კუთვნილი მამულების მართვის საქმეს და რუსეთის ხელისუფლებას არ რევდნენ თავიანთ საქმეებში[128]. ერმოლოვის ამ წერილში აღნიშნულია, რომ ბენედიქტეს ჯვარის მამობა დასრულებულა 1818 წელს. 1819 წლის

---

[124] Ad-1931.

[125] Ad-672.

[126] S-31, მინაწ. VI.

[127] სცსა 1450-36/38, 1450-36/41, Hd-8348 და სხვ.

[128] Муликовский А., Об имениях греческой церкви ..., გვ. 194.

ივლისში ბენედიქტეს სოფელ დირბში შეხვედრია გიორგი ავალიშვილი, რომელიც აღმოსავლეთის წმინდა ადგილების მოსახილველად მიემგზავრებოდა. „მივედით წმიდისა საფლავისა სოფელსა დირბსა ჯუარის ამაღლების მონასტრის არხიმანდრიტისა მათეოსისად. აქ დაგვხუდა წინამოადგილეჲ ამისი არხიმანდრიტი ვენედიქტე, რომელსაც ეგულვებოდა ერთად ჩემთანა მგზავრობაჲ კონსტანტინოპოლამდე"[129]. ბენედიქტეს მოგზაურობის მიზანი, შესაძლოა, იერუსალიმის პატრიარქის ნახვა იყო, რომელიც იმჟამად კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. გზად, სტამბოლის ახლოს მდებარე დაბა იენიქოში, ბენედიქტე შეხვედრია, აგრეთვე, ადრინდელ ჯვარის მამას, ათანასეს, რომელიც იმჟამად წმ. გიორგის მონასტრის წინამძღვარი ყოფილა[130]. რამდენიმე ხნის შემდეგ ბენედიქტე და გიორგი ავალიშვილი ერთად ყოფილან აუდიენციაზე იერუსალიმის პატრიარქ გრიგორთან. ამ ვიზიტის დროს ბენედიქტე თარჯიმნის მოვალეობას ასრულებდა. საფიქრებელია, რომ ბენედიქტე შეხვედრია ათანასეს და შემდეგ იერუსალიმის პატრიარქს, რათა მიეღო ახალი დანიშნულება ჯვარის მამობიდან გადაყენების შემდეგ. ჩვენ არ ვიცით, თუ რა მოითათბირეს მათ ამ შეხვედრების დროს, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: როგორც ჯვარისმამის ეკლესიის წარწერიდანაც ვგებულობთ, ბენედიქტეს კვლავ გაუგრძელებია თბილისში თავისი მოღვაწეობა და ჯვარისმამის ეკლესიის კარიბჭეზეც კი გაუკეთებია წარწერა, სადაც თავს ჯვარის მამად იხსენიებს. როგორც ჩანს, იგი ამ ეკლესიის წინამძღვარიც კი ყოფილა. 1830 წლით დათარიღებული ერთი საბუთის თანახმად იგი ნიშნავს დირბის მოურავს[131] და ინოდება როგორც ჯვარის მამის ვექილი.

ბენედიქტეს საქართველოში ყოფნისას კარგად შეუსწავლია ქართული ენა და ნაწარმოებებიც უთარგმნია ბერძნულიდან ქართულად – „საპოლეტიკო თეატრონი ესე იგი საყოფაქცევო სახილუწლობა" (1817 წელს)[132] და „გამოცხადება მარტომყოფელისა დანიელისა"

---

[129] გ. ავალიშვილი, მგზავრობაჲ, გვ. 12.

[130] იქვე. გვ. 55.

[131] Hd–8078.

[132] სულ მოღწეულია ამ ხელნაწერის ოცზე მეტი ნუსხა. მათგან ერთ-ერთი საუკეთესოა S-3694 (ლ. კიკნაძე, გიორგი ავალიშვილის ცხოვრება..., გვ. 199).

(1823 წელს)[133]. თუმცა, როგორც „საპოლეტიკო თეატრონის" ერთი მინაწერიდან ჩანს, ტექსტის ქართულად გამართვაში მას მაინც დამხმარე დასჭირებია[134].

## 21. იოვაკიმე

ბენედიქტეს ჯვარის მამობის დროს, 1814-1817 წლებში საქართველოში ჯვარის მამად ჩანს იოაკიმე. 1814 წელს იგი ყოფილა მამია გურიელის კარზე, რომელსაც მისთვის ყმის შეწირულება განუახლებია[135]. გურიაში ვხედავთ მას 1817 წელსაც. ამჯერად გურიელმა განუახლა მას მამათის იაკობ მამის ეკლესიის, კონჭკათის წმ. მთავარანგელოზის ეკლესიის[136] და ქრისტეს საფლავის ყმების შეწირულება გურიის სხვა სოფლებში[137].

## 22. აკაკი

1817 წელს, ალბათ იოაკიმეს შემდეგ, გურიაში ყოფილა იერუსალიმის არქიმანდრიტი აკაკი[138].

## 23. პროკოფი

1819 წელს იმერეთში, სოფ. ზარნაძეებში ცხოვრობდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მამულების გამგებელი ბერძნის არქიმანდრიტი პროკოფი. ამავე წლის 4 დეკემბერს შელაპარაკების ნიადაგზე იგი მოუკლავს ყმა-გლეხს გოგიტა ზარნაძეს[139].

---

[133] H-1099.

[134] „საპოლეტიკო თეატრონის" (S-3694) 2v-ზე არის ასეთი მინაწერი: „ქართულსა ენასა ზედა გარდმოღებულ იქმნა ტფილისს, იერუსალიმის მონასტერსა შინა ეკკლესიასა პატიოსნისა ჯუარისასა, არხიმანდრიტის ვენედიკტესაგან და შეწყობილ იქმნა ქართულსა ზედა იესეს ჩუბინოვისაგანე, რადგანაც ვენედიქტემ ქართული არ იცოდა".

[135] Hd–10281.

[136] Hd–11271

[137] სცსა 1448-3176.

[138] სცსა ფ. 9, № 522, ფურც. 2.

[139] ა. იოსელიანი, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (XVII-XIX სს.), თბ., 1980, გვ. 14, სქ. (სცსა 1461–16).

## 24. მათეოსი

ერმოლოვის 1819 წლის 6 მაისით დათარიღებულ შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ მათეოსი უკვე ნახევარი წელი იყო, რაც საქართველოში იმყოფებოდა[140]. ესე იგი, საქართველოში იერუსალიმელი არქიმანდრიტი მათეოსი ჩამოსულა 1818 წლის დასასრულს. ერთი საბუთის მიხედვით, მას დირბელი ყმებისათვის მიუცია სესხად ოცი თუმანი სამი წლის ვადით[141].

## 25. თადეოსი

იერუსალიმის პატრიარქი ათანასე 1833 წლის 1 ივნისით დათარიღებულ წერილში რუსეთის სინოდის მიმართ ასახელებს არქიმანდრიტ თადეოსს, რომელიც ჩამოსულა თბილისში წმ. საფლავის მამულების მმართველად[142].

## 26. მიტროფანე

1836 წელს იერუსალიმის არქიმანდრიტმა მიტროფანემ წარადგინა საჩივარი გიორგი გურიელის მიერ იერუსალიმის მამულების მითვისების თაობაზე[143].

1841 წელს მიტროფანემ მიმართა ქუთაისის სამაზრო სასამართლოს იერუსალიმისათვის ადრე შეწირული ყმების, სტეფნაძეების, წერეთლისაგან დაბრუნების გამო[144]. ამავე წელს იგი კვლავ ყოფილა გურიაში[145].

## 27. იაკობი

1837 წლის 19 აგვისტოს საქართველოში იმყოფებოდა იერუსალიმის არქიმანდრიტი იაკობი. იგი მონაწილეობდა ვასილ, დავით და გრიგოლ ბებუთოვებისაგან იერუსალიმისათვის მიწის შესყიდვის

---

140 Каптерев Н., Сношения        გვ. 614-615.

141 სცსა 1450-36/43.

142 Каптерев Н., Сношения ..., გვ. 613.

143 სცსა 9-522, ფურც. 15.

144 Sd-5238.

145 Sd-2484.

საქმეში. მას ბებუთოვებთან შუამდგომლობას უწევდა ყოფილი ჯვარის მამა, იმხანად კი იერუსალიმის პატრიარქი ათანასე[146].

1841 წელს იაკობს ქრისტეს სალავის ყმების, იორამიშვილებისათვის უწყალობებია სახლისა და კალო-საბძლის ალაგი[147], ხოლო 1842 წელს დირბში მცხოვრებ გლახა ნიადგიშვილისა და მისი ძმის გიორგისათვის უბოძებია ბეითალმანი მიწები[148].

## 28. დანიელი

პლატონ იოსელიანის ცნობით 1859 წელს თბილისში გარდაცვლილა არქიმანდრიტი დანიელი[149].

## 29. კესარიოსი

1852 წელს საქართველოში იერუსალიმელ არქიმანდრიტად ჩანს კესარიოსი. იგი იხსენიება იერუსალიმის პატრიარქის მიერ იაკობ ნიკოლაძისადმი გამოგზავნილ წერილში. პატრიარქი მადლობას უხდის მას ქრისტეს საფლავისადმი გაწეული სამსახურისათვის. როგორც წერილიდან ჩანს, იაკობ ნიკოლაძე ეხმარებოდა სამეურნეო საქმეების მოგვარებაში არქიმანდრიტ კესარიოსს[150].

კესარიოსი იერუსალიმის არქიმანდრიტად ჩანს საქართველოში 1860 წელსაც. იგი შუამდგომლობდა იაკობ ნიკოლაძესთან არქიმანდრიტ ნიკიფორეს, რომელიც მიდიოდა დასავლეთ საქართველოში იერუსალიმის მამულების გამგებლად. მას, როგორც ჩანს, უნდა შეეცვალა არქიმანდრიტი პროკოფიოსი[151].

## 30. პროკოფიოსი

არქიმანდრიტი პროკოფიოსი საქართველოში ჩამოსულა 1857 წელს. პროკოფიოსი თავის საჩივარში იერუსალიმის მამულების გურიელებისგან მიტაცების გამო ამბობს, რომ პირველად საქმე

---

146 Hd-9855.

147 Qd-10728.

148 Qd-10729.

149 **Иосселиани Пл., Описание** , გვ.65.

150 ნიკო ნიკოლაძის პირადი ფონდი, 36-274.

151 იქვე, 36-269.

ალუძრავს სასამართლოში მის წინამორბედ არქიმანდრიტს. ასეთი კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, იყო მიტროფანე.

1858 წლის მახლობლად იერუსალიმის არქიმანდრიტ პროკოფიოსს განუახლებია კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესია, რასაც იტყობინება მხედრული წარწერა კანკელზე[162]. პროკოფიოსი საქართველოში ჩანს 1860 წლამდე.

## 31. ნიკიფორე

ნიკიფორე საქართველოში ჩამოსულა 1860 წელს. ეს ნიკიფორე იხსენიება კოცხერის ღვთისმშობლის ეკლესიის კანკელზე გაკეთებულ წარწერაში, რომელიც 1862 წელსაა შესრულებული[163].

## 32. დამიანე

1885 წელს საქართველოში ჩამოსულა იერუსალიმის არქიმანდრიტი დამიანე. გაზეთი „ივერია" იტყობინებოდა, რომ მას გაუყიდია იერუსალიმის სამონასტრო მამულები ქუთაისის გუბერნიაში[164].

## 33. მელეტიოსი

1888 წელს დირბში და ტახტისძირში ჩასული იყო არქიმანდრიტი მელეტიოსი[165].

## 34. იერეთეოსი

ჯვარისმამის ეკლესიის აღწერისას აღვნიშნავდით, რომ ეკლესიის კედელზე არის ბერძნულწარწერიანი ფილა, რომელიც იტყობინება, რომ 1896 წლის 12 ნოემბერს აქ გარდაცვლილა არქიმანდრიტი იეროთეოს ემესელი.

---

[162] ძე. საქ. III, გვ. 201-202.

[163] იქვე.

[164] ივერია, 1887, №№ 198, 210.

[165] ს. გუმცაძე, წერილი ქართლიდამ, ივერია, 1888, № 216.

## 35. სოფრონი

1899 წელს პ. კონჭოშვილი წერდა: „შარშან საქართველოს სასწავლებელთა საბჭომ წინადადება მისცა ამ ეკლესიის წინამძღვარს (თბილისის ჯვარისმამის ეკლესია – ნ. ხ.), მ. არქიმადრიტს სოფრონსა, ტომით ბერძენსა, რათა ეკლესიის ეზოში გაჰმართოს სამრევლო-საეკლესიო სკოლა; ხოლო მან მოახსენა საბჭოს წინადადება პატრიაქსა; იერუსალიმის სინოდმა განიხილა რა ეს თხოვნა, რასაკვირველია, უარჰყო ის"[156].

## 36. პატრიკი

1909 წელს იერუსალიმის პატრიარქ დამიანეს გამოუგზავნია ჯვარისმამის ეკლესიის წინამძღვრად და იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველად არქიმანდრიტი პატრიკი[157].

ქვემოთ წარმოვადგენთ ჯვარის მამებისა და საქართველოში იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველთა სიას XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან XX საუკუნის დასაწყისამდე:

გაბრიელი – XVII საუკუნის 50-იანი წლები
იოსები – XVII საუკუნის 50-იანი წლები
მელეტიოსი – XVII საუკუნის 50-იანი წლების II ნახ. – 1666
წულუკიძე ნიკოლაოზ – 1675
ქრისტეფორე (მუხრანის ბატონიშვილი) – 1683-1688
პაპა სერგი – 1688-1719
პართენი (ხარჭაშნელი) – 1692
არსენ (არაგვის ერისთვისშვილი) – 1697-1701
გაბრიელი – 1707
ქრისტეფორე ფალავანდიშვილი – 1706-1717
ზაბულონ გლურჯიძე – 1717-1723
გერასიმე – 1717 (?)-1756

[156] პ. კონჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, თბ., 1901, გვ. 76.
[157] „Закавказская речь", 1911, № 281.

იოსები – 1742-1756 (?)
ონოფრი – 1752
ანტონ დიასამიძე – 1755
სვიმეონი – 1756-1761
ელისეოსი – 1762-1763
ტიმოთეოსი – XVIII საუკუნის 60-იანი წლები (?)
დავითი (ნიქოზელი) – 1761-1773
არსენიოსი – 1781
ანტონ დიასამიძე – 1779-1804
ათანასე – 1788-1804
ბენედიქტე ვიტინელი – 1794-1830
იოაკიმე – 1814-1817
აკაკი – იერუსალიმელი არქიმანდრიტი 1817
მათეოსი – 1818-1819
თადეოსი – 1833
იაკობი – 1837-1842
მიტროფანე – 1836-1857
კესარიოსი – 1852-1860
პროკოფიოსი – 1858-1860
დანიელი – 1859
ნიკიფორე – 1860-1862
დამიანე – 1887
მელეტიოსი – 1888
იეროთეოსი – 1893
სოფრონი – 1898
პატრიკი – 1909

ჯვარის მამების მოღვაწეობის მიმოხილვიდან ვხედავთ, რომ XVIII საუკუნეში ზოგიერთი მათგანი, კერძოდ: გერასიმე, სვიმეონი, ელისეოსი, არსენიოსი და ანტონი (1779 წლიდან) ინოდება „იერუსალიმის არქიმანდრიტად“, „პატრიარქის ვექილად“ და სხვ., ხოლო დანარჩენები ამ ტიტულების გარეშე – მხოლოდ „ჯვარის მამად“.

ყურადღებას იქცევს ჯვარის მამების ერთდროულად მოღვაწეობის ფაქტიც. პაპა სერგის დროს ჯვარის მამებად ვხედავთ ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილს, პართენს, არსენ ერისთვისშვილს, გა-

ბრიელს, ქრისტეფორე ფალავანდიშვილს და ზაბულონ გლურჯიძეს. გერასიმეს დროს ვხედავთ იოსებ ერისთვისშვილს, ონოფრის, ანტონს და სხვ.

თავის დროზე ჯვარის მამების ტიტულატურასა და მათი ქართველთაგან დანიშვნის საკითხს ყურადღება მიაქცია ნ. ბერძენიშვილმა. ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილება XIV-XVIII საუკუნეებში" იგი წერდა: „აქ აუხსნელი რჩება ერთი რამ: ჯვარის მონასტრის მამები, იმავ დოსითეოსის წერილებიდან ჩანს, ქართლის კათალიკოსის მიერ და ქართველთაგანნი ინიშნებოდნენ. მაშ როგორღა ეწოდებოდათ მათ „პატრიარქის ვექილი" ან „პატრიაქის მსახური"? შეიძლება ათანისიოსი (ჯვარის მამა XVIII საუკუნის მიწურულში – ნ.ხ.) და ზოგიერთი სხვანი ჯვარის მამანი, ქართლის კათალიკოსის მიერ დადგენილები, პატრიარქის მიერაც იყვნენ აღჭურვილნი სათანადო უფლებით ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში. ასეთი წარმომადგენლები, შესაძლებელია, ყოველთვის ჯვარის მამანი არ ყოფილიყვნენ, არამედ ბერძენი მღვდელმსახურნიც"[158].

აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოსადგენად, ჩვენი აზრით, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როდიდან მკვიდრდება ქართულ წერილობით წყაროებში ჯვარის მამების „პატრიარქის ვექილად" და „პატრიარქის მსახურად" მოხსენიება და რომელი ჯვარის მამები იხსენიებიან ამგვარი წოდებებით.

თუ კიდევ ერთხელ გავადევნებთ თვალს ჯვარის მამების რიგსა და მათ ტიტულატურას, ვნახავთ, რომ XI საუკუნიდან, პროხორეს მიერ ჯვრის მონასტრის აშენების დროიდან, XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე ჯვარის მამების ტიტულატურაში რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეინიშნება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმასაც, რომ ამ პერიოდში „ჯვარის მამა" და „იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარი" იდენტური ცნებებია. ჯვარის მამები ქრონოლოგიურად მისდევენ ერთმანეთს, ხოლო მათი ტიტულატურიდან არ ჩანს, რა სახის ურთიერთობა ჰქონდათ მათ იერუსალიმის საპატრიარქოსთან. ამის დამადასტურებელი მაგალითები საკმარისზე მეტია. მოვიტანთ მხოლოდ რამოდენიმე მათგანს:

---

158 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. V, თბ., 1971, გვ. 108-109.

„მე მამამან ამა პატიოსნისა ჯუარისა, არქიმანდრიტმან იოსებ..." (XIV საუკუნის დამლევი)[159].

„ესე გაუჩინეთ მე, ჯუარის მამამან ეპიფანე, და ძმათა ყოველთა ჩუენისა მონასტრისა, ალაპი..." (1567-1593 წწ.)[160].

წარწერა იერუსალიმის ერთ-ერთი შენობის კედელში ჩატანებულ ქვაზე: „ქ. მე, ზედგინისძემან ჯუარის მამამან ქაიხოსრო, აღვაშენე ზღუდე ესე..." (XV საუკუნის მეორე ნახ. – XVII საუკუნის დასაწყისი)[161] და სხვ.

აღნიშნული პერიოდისათვის ჩვენთვის ცნობილია ამ ტიტულის განვრცობის ერთადერთი ფორმა: – მას ემატება გოლგოთის წინამძღვრობის აღნიშვნა.

„გოლგოთისა და ჯვარის მონასტრისა მამად და წინამძღურად ჩინებულმან ეპიფანე..."[162].

რამდენჯერმე ამგვარად იხსენიებს თავს ნიკიფორე ჩოლოყაშვილიც. ჯვრის მონასტრის ალაპებში იგი უმეტესად მოიხსენიება მხოლოდ როგორც ჯვარის მამა. სხვადასხვა მინაწერებსა და წარწერებში კი ხშირად ინოდება როგორც „მამა ჯვარისა და წმიდისა გოლგოთისა ნიკიფორე კახი". ერთგან კი იგი იერუსალიმის არქიმანდრიტათაც არის მოხსენიებული: „ჯვარისა და წმ. გოლგოთისა მამისა და წმ. ქალაქისა იერუსალიმისა არხიმანდრიტისაჲ ნიკიფორე ომანის ძისაჲ ჩოლაყას შვილისაჲ კახისათა..."[163].

ნიკიფორე ჩოლოყაშვილის შემდეგ, რამდენიმე ხანს, ჯვარის მამები რიგრიგობით მონაცვლეობენ მონასტრის წინამძღვრებად და ინოდებიან მხოლოდ ჯვარის მამებად: გაბრიელი, იოსები, მელეტიოსი, ნიკოლაოზ წულუკიძე, ქრისტეფორე მუხრანის ბატონიშვილი.

XVII საუკუნის 80-იან წლებში, დაახლოებით 1688 წლისათვის საქართველოში ჩამოდის იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი პაპა სერგი და იწყებს იერუსალიმის სამონასტრო ყმა-მამ-

---

159 ელ. მეტრეველი, მასალები..., № 96, გვ. 87.

160 იქვე, ალაპი № 266, გვ. 103.

161 გ. მიქაძე, იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971, გვ. 236-237.

162 Цагарели А., Памятники..., გვ. 174.

163 1649 წლის მინაწერი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დაცულ სვინაქსარზე. Цагарели А., Памятники..., გვ. 183-184, № 143.

ულის მართვას. იგი იხსენიება როგორც „პატრიარქის ვექილი" და „იერუსალიმის არქიმანდრიტი". პაპა სერგის საქართველოში ჩამოსვლამდე იერუსალიმის ბერძნულმა საპატრიარქომ მოახერხა საქართველოში შეგროვებული ფულით დაეფარა პალესტინის ქართული მონასტრების ვალები და მათზე თავისი უფლებები დააკანონა. მართალია, პაპა სერგი მართავდა ჯვრის მონასტრის მამულებს, მაგრამ საბუთებში არც ჯვრის მონასტრის წინამძღვრად და არც „ჯვარის მამად" იგი არ ინოდება. მისი საქართველოში ყოფნისას ჯვარის მამად იხსენიება პართენი, რომელსაც ერეკლე I-მა თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის წინამძღვრობა ჩააბარა; არსენი, რომელსაც მართალია უარყოფით კონტექსტში, მაგრამ თვითონ დოსითეოსი ასახელებს ჯვრის მონასტრის კანონიერ წინამძღვრად; გაბრიელი, ქრისტეფორე ფალავანდიშვილი და ზაბულონ გლურჯიძე. პაპა სერგი დაახლოებით XVIII საუკუნის 20-იანი წლებისათვის შეუცვლია გერასიმეს. გერასიმე პირველი ჯვარის მამაა, რომელიც, იმავე დროს, პატრიარქის ვექილიც არის. იგი მართავს იერუსალიმის კუთვნილ მამულებს და ინოდება როგორც „მართალი ჯვარის მამა". ეს ტერმინი უნდა აღნიშნავდეს გერასიმეს სრულუფლებიანობას იერუსალიმის მამულების მართვის საქმეში. გამოდის, რომ გერასიმეს დროს მოღვაწე სხვა ჯვარის მამები, მაგალითად იგივე ონოფრი და ანტონ დიასამიძე, არ ყოფილან „მართალი" ჯვარის მამები. ისინი არ არიან არც იერუსალიმის არქიმანდრიტები და არც პატრიარქის ვექილები. მათ ტიტულატურაში არ არის ასახული ურთიერთობა იერუსალიმის საპატრიარქოსთან. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მათ კვლავ ნიშნავდნენ ქართველი მეფეები და კათალიკოსები ჯვარის მამებად. გერასიმეს შემდეგ, 1756 წლიდან საქართველოში ერთმანეთს ენაცვლებიან პატრიარქის ვექილები, თუმცა, როგორც ჩანს, მათ პარალელურად ინიშნებოდნენ ადგილობრივი ჯვარის მამებიც. ასეთი უნდა ყოფილიყო, მაგალითად, ჯვარის მამა დავით ნიქოზელი 1761-1773 წლებში. რეალურად რა მოვალეობები და უფლებები ჰქონდათ ამ მეორე „არაიერუსალიმელ" ჯვარის მამებს? უნდა ვიფიქროთ, ეს უფლებები მეტად შეზღუდული უნდა ყოფილიყო და მათ არ შეეძლოთ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება იერუსალიმის მამულების მართვის საქმეში. სავარაუდოა, ისინი რჩებოდნენ თბილისის ჯვარისმამის ეკლესიის წინამძღვრებად და ეხ-

მარებოდნენ იერუსალიმელ არქიმანდრიტებს საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მამულების მართვაში.

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვრის ქართველი მეფე-კათალიკოსების მიერ ქართველთაგან დანიშვნის შესახებ აღნიშნულია როგორც ქართულ წყაროებში, ასევე პატრიარქ დოსითეოსის წერილებშიც ქართველი მეფეებისადმი. აქ კიდევ ერთხელ შეიძლება მოვიტანოთ ვახუშტი ბაგრატიონის სიტყვები დირბის ღვთისმშობლის ეკლესიის შესახებ: „არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იჱრუსალემის ჯვარის მონასტრისა, არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა. და ყოველსა საქართველოსა შინა არს მამული მისი...". ჯვარის მამა ეპიფანე იერუსალიმური მამათა ცხოვრების ერთ-ერთ მინაწერში წერს: „მე მღუდელთ მთავარმან და წმ. ქალაქსა იერუსალიმს კეთილად მსახურთა და კეთილად დაცულთა მეფეთაგან წარმოგზავნილმან და გოლგოთისა და ჯვარის მონასტერისა მამად და წინამძღურად ჩინებულმან ეპიფანე..."[164]. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი 1701 წელს ერეკლე I-სადმი გაგზავნილ წერილში ამბობს: „თუ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის იღუმენი უნდა იყოს ქართველი, გამოაგზავნეთ კეთილშობილი პიროვნება და მასთან ერთად დიაკონი"[165]. ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ XVIII საუკუნის დასაწყისამდე მაინც ეს ტრადიცია, უმთავრესად, არ ირღვეოდა. დოსითეოსის ციტირებული წერილის დაეჭვებული ტონი (თუ... უნდა იყოს ქართველი)[166] და თვითონ პატრიარქის მეტად უარყოფითი შეფასება ქართველი ჯვარის მამების, მათ შორის ნიკიფორე ჩოლოყაშვილის, პიროვნული თვისებებისა[167], – მისი სიტყვებით, ნიკიფორე ყოფილა ბერი მხოლოდ გარეგნულად, სინამდვილეში კი ის იყო ამპარტავანი და მაცდური პიროვნება[168], – გვაფიქრებინებს, რომ დოსითეოსს, ალბათ, მაინცდამაინც აუცილებლად არ მიაჩნდა ჯვრის იღუმენად ქართველის დანიშვნა. მაგრამ ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც დოსითეოსი იყო, რა თქმა უნდა, გადაჭრით ამ ტრადიციის დარღვევისაკენ არ მოუწოდებდა. საყურადღებოა, რომ პატრიარქი

---

[164] Цагарели А., Памятники..., № 111, გვ. 174,

[165] Послания ..., გვ. 8

[166] Послания ..., გვ. 7.

[167] იქვე.

[168] იქვე.

დოსითეოსი ქართველ მეფეს სთხოვდა გადაეყენებინა ჯვრის მონასტრის წინამძღვრობიდან არსენი. აქედან კარგად ჩანს, რომ წინამძღვრის დადგენა-გადაყენების საქმე 1701 წლისათვის ან ჯერ კიდევ მთლიანად ქართველების ხელში იყო, ან მათ დაუკითხავად არ წყდებოდა.

გარკვეულ დრომდე ჯვარის მამა და ჯვრის მონასტრის წინამძღვარი, ანუ იღუმენი, ერთსა და იმავე პირს აღნიშნავდა. ასე იყო XVII საუკუნემდე. ამის დამადასტურებელი მაგალითები საკმაოდ ბევრია და ახლა აქ აღარ მოვიტანთ. ასევე იყო ნიკიფორე ჩოლოყაშვილის დროსაც და კიდევ დაახლოებით 30-40 წელიწადი მაინც. როგორც აღვნიშნავდით, 1666 წელს ჯვრის მონასტრის წინამძღვრად იხსენიებს თავს ჯვარის მამა მელეტიოსი, ხოლო დოსითეოსი XVIII საუკუნის დამდეგს მოღვაწე ჯვარის მამას, არსენს, ჯვრის მონასტრის წინამძღვრად ასახელებს. თუმცა, როგორც დოსითეოსის წერილიდან ვნახეთ, დაახლოებით XVII საუკუნის 70-იანი წლებიდან ჯვრის მონასტერი დაბეჭდილი იყო ოსმალეთის ხელისუფლების მიერ. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მელეტიოსის შემდეგდროინდელი ჯვარის მამები იერუსალიმში საკმაოდ იშვიათად ჩადიოდნენ.

XIX საუკუნიდან, ბენედიქტეს შემდეგ (დაახლოებით 1830 წლიდან), იერუსალიმის ყმა-მამულის მმართველები საქართველოში ჯვარის მამებად უკვე აღარ ინოდებოდნენ. იერუსალიმის სამონასტრო მამულების მართვა საქართველოში მთლიანად იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს საშინაო საქმედ იქცა. იერუსალიმის საპატრიარქო, XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ორ არქიმანდრიტს გზავნის: – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოსთვის. ბენედიქტეს ჯვარის მამობის (1799-1830) დროს გურიაში იყვნენ არქიმანდრიტები იოაკიმე და აკაკი. კესარიოსის (1852-1860) დროს დასავლეთ საქართველოში ვხედავთ მიტროფანეს, პროკოფიოსსა და ნიკიფორეს. დასავლეთ საქართველოში მოღვაწეობდა დამიანეც (1887).

# თავი III

# იერუსალიმის სამონასტრო ყმა-მამულის მართვა საქართველოში

## §1. ყმა-მამულის მართვა

იერუსალიმის სამონასტრო მინათმფლობელობა საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში, უმთავრესად, მხოლოდ შეწირულებების ხარჯზე იზრდებოდა. ეს ბუნებრივიცაა. ჯერ ერთი, ზოგადად, საეკლესიო მინათმფლობელობაში შეწირულებას უკავია პირველი ადგილი და არა ნასყიდს[1]. მეორეც ის, რომ სხვადასხვა ვალებისა და გადასახადებისაგან ეკონომიკურად ისედაც შევიწროებული ქართული კოლონია თუ იერუსალიმის საპატრიარქო ძნელად თუ გამონახავდა საჭირო თანხებს რაიმე მნიშვნელოვანი ქონების შესაძენად. როგორც ზემოთ განხილული საისტორიო საბუთებიდან და სხვა წყაროებიდან ვნახეთ, იერუსალიმელი პატრიარქების საქართველოში მოგზაურობის მიზანი სწორედ სხვადასხვა სახის შეწირულებების შეგროვება იყო და არა თავისუფალი თანხების უძრავ ქონებაში დაბანდება[2]. XIX საუკუნიდან იერუსალიმის საპატრიარქო საქართველოში იშვიათად, – საბუთებში ამის შესახებ მხოლოდ ერთი ცნობა მოგვეპოვება, – მაგრამ მაინც ყიდულობდა ყმა-მამულს. ერთი საბუთის მიხედვით, 1837 წელს იერუსალიმის პატრიარქი ათანასე (ყოფილი ჯვარის მამა)

---

[1] ბ. ლომინაძე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მინათმფლობელობა ძველი დროიდან XIX ს-მდე (ზოგადი მიმოხილვა) ქუთ. 1997, გვ. 12. ეს არ ნიშნავს, რომ იერუსალიმის საპატრიარქო ამ პერიოდში საერთოდ არ ყიდულობდა უძრავ ქონებას. ცნობილია, რომ იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანე IV-მ XVII საუკუნის პირველ ნახევარში კონსტანტინოპოლში იყიდა მინის ნაკვეთი, სადაც ააშენეს ეკლესია. შემდგომში აქ იყო იერუსალიმელი პატრიარქების რეზიდენცია კონსტანტინოპოლში. იერუსალიმელი პატრიარქები მიიჩნევდნენ, რომ საჭირო იყო ოტომანთა დედაქალაქში, მმართველ ხელისუფლებასთან ახლოს ცხოვრება, რათა უკეთ დაეცვათ თავიანთი უფლებები სხვა კონფესიების წარმომადგენელთა შემოტევებისაგან (История Св. Града Иерусалима ..., გვ. 289).

სთხოვდა ვასილ, დავით და გრიგოლ ბებუთოვებს მიეყიდათ წმინდა საფლავისათვის მიწა ათას ხუთას ვერცხლად. თუ სად მდებარეობდა ეს ნაკვეთი, საბუთში არაა მითითებული[3].

ყმა-მამულის შემწირველები, უმრავლეს შემთხვევაში, ქართველი მეფეები და მთავრები იყვნენ. როგორც ვნახეთ, საქართველოში იერუსალიმის მიწათმფლობელობის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სვიმონ I-ის, თეიმურაზ I-ის, ლუარსაბ II-ის, მამია II გურიელის და ლევან II დადიანის სახელებთან.

მეფეები და მთავრები თავიანთ თავზე ვალდებულებას იღებდნენ დაეცვათ იერუსალიმისადმი შეწირული ყმა-მამული მიტაცების, დარბევისა და აოხრებისაგან. სვიმონ II-ის მიერ ხეითის ბოლოს მდებარე მიწების შეწირულების განახლების საბუთში ნათქვამია: „...ჩვენც შეგვიწირავს და ნურა კაცი ნუ ეცილებით და ნურცა შეეცილებით. თუ არა და ჩვენად შეცოდებად მოგკითხავთ იცოდეთ"[4]. გიორგი გურიელი 1717 წელს პირობას დებდა, რომ „საჯვარისმამო მამულს... დღეის ამას იქით, ჩვენს სიცოცხლეშიდ, არც ჩვენგან და არც ჩვენის დარბაზის ერის, დიდისა და არც მცირისაგან და სყიდვით და აოხრებით არა უშავდენ რა"[5]. მიუხედავად ამ დაპირებებისა, ისტორიული ვითარების გამო, იერუსალიმის ყმა-მამულის მდგომარეობა საქართველოში ხშირად მეტად არასახარბიელო იყო. ქართულ საისტორიო საბუთებში ჩვეულებრივია მსგავსი გამონათქვამები: „...ან ვიხილეთ ტფილის ქალაქსა შინა მეტოქი ჯვარის მონასტრის ეკლესია ჟამთა ვითარებისაგან აოხრებულიყო"[6]; „...თქვენს საჯვარისმამო მამულს დიაღ ძალი დაემართა ჩვენს ხელში"[7] და სხვ. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი 1681 წელს ქართველ თავად-აზნაურობასა და სასულიერო პირებს შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „წმინდასა ალაგს ბევრ ალაგს აქვს მამულები, მაგრამ არავინ ერჩის და არც აოხრებს. და თქვენ იტყვით, რომ ქრისტიანები ვართო. მაგას რა ქრისტიანობა ჰქვიან. ვისაც სული უყვარს და ან ღმერთი სწამს, უნდა შემატოს წმიდას ალაგის მამულსა და თქვენ აოხრებთ"[8].

---

[3] Hd-9855.
სცსა 1450-51/171 – 1624 წ.
Hd-11270.
სცსა 1450-51/177.
Hd-11270.
სცსა 1461-3/132 – ქ.ს.ძ. III, გვ. 582.

პერიოდულად ქართველი მეფეები და მთავრები, ჯვარის მამების თხოვნით, გადასინჯავდნენ ხოლმე ძველ საბუთებს და აახლებდნენ ადრინდელ შეწირულებებს. ეს განახლებები საჭირო იყო, რადგან ეკლესიისადმი გადაცემული ქონება ფაქტიურად ბენეფიციუმის ფარგლებს არ შორდებოდა და ყოველგვარი დადებული პირობა (საგადასახადო შეუვალობა, მამულები...) ძალაში იყო მხოლოდ შემწირველის სიცოცხლეში. ამიტომ ეკლესიის ყოველი ახალი მესვეური ცდილობდა ტახტზე ასვლისას მიეღო პირობის დამტკიცება შემწირველისაგან"[9]

XVII საუკუნიდან შეწირულებათა მიმღებები და უმაღლესი გამგებლები, ხშირ შემთხვევაში, იერუსალიმელი პატრიარქები იყვნენ. საქართველოში იერუსალიმის მიწათმფლობელობის ჩამოყალიბება, ძირითადად, დასრულდა პატრიარქ თეოფანე IV-ის დროს – 1608-1644 წლებში. სოფელ ჩაიხედენაში ყოფნისას მან „მეტოქად ქნა" მამია II გურიელის მიერ აშენებული ეკლესია, ხოლო თავის ვექილად – გადასახადების ამკრებად და საქმეთა მწარმოებლად – დატოვა ლაზეთისა და ალანეთის მიტროპოლიტი გაბრიელი.[10]. პატრიარქ თეოფანეს ასახელებს შეწირულების მთავარ მიმღებად ლუარსაბ II-ის მიერ თერგვისისა და საღოლაშენის შეწირულების სიგელიც, რომელშიც ნათქვამია: „შეგვიწირავს იერუსარემისათვინ და ქრისტეს საფლავისათვის და პატრიარქ თეოფანესათვის"[11].

მართალია საქართველოში იერუსალიმის მონასტრებისადმი ყმამამულის შეწირვა, ძირითადად, ხდებოდა იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ინიციატივით, მაგრამ მათი უფლებამოსილება ამ მამულებზე გარკვეულ დრომდე არ უნდა ყოფილიყო უფრო ფართო, ვიდრე ქართული მხარისა. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, XVI-XVII საუკუნეებს, როდესაც იერუსალიმის ქართული კოლონია ჯერ კიდევ განაგრძობდა დამოუკიდებელ არსებობას. გიორგი XI-ის მიერ იერუსალიმის ქართული მონასტრების დასახსნელად მონვეული კრე-

---

[9] ზ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან, გვ. 99.

[10] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., გვ. 137, № 147.
სცსა 1450-51/209.

ბის ოქმი, ვფიქრობთ, კარგად ახასიათებს ქართული ხელისუფლებ-ის დამოკიდებულებას იერუსალიმის ქართული მონასტრებისადმი: „...რადგან თქვენ ჩვენთვის და ჩვენი მონასტრის გულისათვინ ამდონს გაისაჯენით, ჩვენც თქვენი ბძანება გავათაეთ...". აგრეთვე: „...რადგან გაისაჯა პატრიაქი ჩვენი გულისათვის და საქართველოს გულისათვის..."[12].

საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო ყმა-მამულის უშუალო გამგებლები იყვნენ ე.წ. ჯვარის მამები. საისტორიო წყაროებიდან, – პირველ რიგში იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებიდან, ჩანს, რომ XVII საუკუნის მიწურულამდე, „ჯვარის მამა" ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარს. XVIII საუკუნის დამდეგიდან, უფრო მეტად კი შუა ხანებიდან ზუსტად ვერ ვიტყვით, აღნიშნავდა თუ არა „ჯვარის მამა" ყოველთვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღვარს. ამ დროიდან მონასტერს უკვე ბერძნული საპატრიარქო განაგებდა და იქ ქართველი ბერები თითქმის აღარ ცხოვრობდნენ. „ჯვარის მამებად" იწოდებოდნენ საქართველოში ჩამოსული ბერძენი არქიმანდრიტები, იერუსალიმის პატრიარქის ვექილები და აგრეთვე ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირი, რომლებიც, როგორც ვამბობდით, შესაძლებელია, იყვნენ იერუსალიმელი, „მართალი" ჯვარის მამების დამხმარეები და თბილისის ჯვარის მამის ეკლესიის წინამძღვრები.

ქრისტეს საფლავის მოსამსახურეს უწოდებს თავს თბილელი ეპისკოპოსი ელისე საგინაშვილი (თბილელად იყო 1628-1659 წლებში)[13]. იგი, როგორც ჩანს, დაახლოებით, ჯვარის მამის ანალოგიური უფლებებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. მას თერგვისში, იერუსალიმისადმი შეწირულ სოფელში, ჩაუსახლებია ვინმე იოთამ ბარლისშვილი: „...ესე ნიგნი [მოგეც] მე, თბილელ ეფისკოპოზმან და ქრისტეს საფლავის მოსამსახურემან ელისე, შენ, ბარლის შვილსა იოთამს და შვილთა შენთა... მოხველ და იქ, თერგისში ცოლი შეირთე და დასახლდი ჩვენის შეკითხულობითა და ნებართვითა"[14].

---

[12] ქ.ს.ძ., III, გვ. 592-594.

[13] გ. ჯანდიერი, XVII საუკუნის საქართველოს..., გვ. 337.

[14] სცსა 1450-51/174 – 1640 წ.

იერუსალიმისადმი შენირულ მამულში რომ ყმის ჩასახლება ჯვარის მამის უფლება იყო, ეს ჩანს ერთი მოგვიანო ხანის საბუთიდან: „მის მაღალღირსებას ჯვარის მამას ანტონის ოდიშიდამ ქრისტეს საფლავის ყმა ლაშხი კოჩა გადმოუყვანია და დირბს მამულზე დაუყენებია"[15]. გარდა ამისა, ელისე თბილელმა მღვდელ-მონაზონ ნიკოლოზთან და ზებედესთან ერთად დანიშნა დირბის მოურავიც. „დირბი ჩვენ ქრისტეს საფლავისათვის გვიბოძა როსტომ მეფემან" – ნათქვამია საბუთში[16].

ჯვარის მამას ჰყავდა თავისი დამხმარეები, რომლებიც მეთვალყურეობდნენ იერუსალიმის ყმა-მამულს ჯვარის მამის იქ არყოფნისას.

გიორგი იმერთა მეფის ჯვარის მამა თეოდოსისადმი 1619 წელს გაცემულ საბუთში ნათქვამია: „...ვინც თქვენი მოსაქმე იყოს, ყოველ წელს აიღებდეს (მოსავალს – ნ. ხ.) და თქვენს ტაძარს მოახმარებდეს. არც თქვენ მოსაქმეს ხელი გოუშალოთ თქვენს სარგოსა და გამოსაღებზედ"[17].

ქაიხოსრო გურიელის მიერ ჯვარის მამა ნიკიფორე ჩოლოყაშვილისადმი გაცემულ სიგელში ნათქვამია: „რომელიც თქვენ ბერი დააყენოთ, იმან იმსახუროს ჩვენს ნინაშეცა და წმიდის მონასტრისთვისცა, როგორც ძველს იადგარში გინერიათ, და არა თქუენ-

---

[15] სცსა 1448-824 – 1781 წ.

[16] Hd-15041 საბუთი უთარილოა. აქ მოხსენიებული ზებედე უნდა იყოს ალავერდის ოთხთავში (A-84) ჩაკერებულ ანდერძში მოხსენიებული ზებედე მღვდელ-მონაზონი, ლევან დადიანისა და გიორგი ლიპარტიანის კარზე მოღვაწე („საფლავის წინამღვარი"), ნალენჯიხელი. აღნიშნული ანდერძი დანვრილებით აქვს შესწავლილი კ. გრიგოლიას ნაშრომში „ზებედე მღვდელ-მონაზონი და მისი ანდერძი" (საქართველოს სახ. მუზ. მოამბე, XVII-Б, თბ., 1953, გვ. 49-59), სადაც გარკვეულია, რომ 1630 წლის მახლობლად ზებედეს კონფლიქტი მოსვლია ლევან დადიანთან და ის იძულებული გამხდარა ქართლში გადასულიყო, საიდანაც, როგორც ჩანს, ყოფილა წარმოშობით. შემდეგ, კ. გრიგოლიას ვარაუდით, მღეელ-მონაზონი ზებედე კახეთში წასულა. ჩვენს მიერ მოტანილი საბუთი, ვფიქრობთ 1640-იანი წლების მახლობლად უნდა იყოს გაცემული, მას შემდეგ რაც ზებედე წამოვიდა დასავლეთ საქართველოდან.

ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., № 8, გვ. 21-22.

გან უნებური კაცი არ დაიდგინებოდეს[18]. ასევე, გიორგი გურიელი ჯვარის მამა იოსებისადმი გაცემულ შენირულების სიგელში ჩამოთვლის იერუსალიმის კუთვნილ მამულებს და ამბობს: „... სხვას ბერს ამაზედ ჴელი არა ქონდეს პატრიაქისა და ჯვარის მამის დაყენებულისა ბერის მეტსა"[19]. ასეთი უნდა ყოფილიყო, აგრეთვე, ზემოთ დასახელებული ზებედე მღვდელმონაზონიც. ხონის საყდრის გამოსავალი დავთრის ერთ-ერთ მინაწერში ნათქვამია: „ქ. ჩვენ, ბატონმა ჯვარის მამა[მ] და მისმა მოძღვარმა (sic!) ზებედემ დავსხედით და გავარიგეთ..."[20].

მოგვიანებით, XVIII საუკუნის მიწურულისათვის, ჯვარის მამის დამხმარე პირი „ჯვარის მამის ვექილადაც" იწოდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, ჯვარის მამა ბენედიქტე თავისი მოღვაწეობის დასაწყისში[21]. გიორგი XII-მ 1799 წელს მას ჩააბარა მთაწმინდის პორტაიტის ღვთისმშობლის კუთვნილი მამულები. საბუთში ნათქვამია: „რაც მთაწმინდის პორტაიტის შენირული მამული და ყმა არის, ქართლსა, კახეთსა თუ ქალაქში, ერთიანად შენთვის მოგვიბარებია. უნდა შენ ამაზე როგორც რიგი და მართებული არის, ისე კარგათ თვალყური უნდა მიუგდო შემოსავალსა თუ გასავალს. ყველაზედ ბეჯითად მომვლელი უნდა იყო და უბრალოთ არავის გააგლეჯინო ხოლმე. და რაც შემოსავალი იქნებოდეს... ყველას უკლებლად უნდა აიღებდე, როგორც დებულებით განწესებით აძევთ"[22].

რამდენიმე ქართული ხელნაწერის მინაწერსა და საისტორიო საბუთში გვხვდება ტერმინი „მეიერუსალიმე". როსტომ მეფის მიერ იერუსალიმისადმი ვაჭრების შენირულების საბუთში ნათქვამია: „ამა ვაჭართანა სხვას ხელი არა ქონდეს, ვინ მეიელუსარიმე ბერი მოვიდოდეს..."[23]. ამ საბუთის მიხედვით „მეიერუსალიმე" აღნიშნავს „საიერუსალიმო" გადასახადის ამკრეფ ბერს, შესაძლოა ჯვარის მამის მიერ დაყენებულს, ან იქნებ თვითონ ჯვარის მამასაც.

---

[18] ისტ. დოკ. იმერეთის სამეფოსა..., გვ. 140.

[19] Hd-10275.

[20] ქ.ს.ძ III, გვ. 358-373.

[21] Qd-848; სცსა 1450-51/186.

[22] სცსა 1450-51/181.

[23] სცსა 1450-51/179.

ჩვენს მიერ ზემოთ უკვე დამოწმებულ ჯვარის მამა მელეტიოსის მიერ გაცემულ საბუთში, სადაც ჩამოთვლილია იერუსალიმში ნასასვლელი მგზავრობის ხარჯები, ნათქვამია: „ხუთასი მარჩილი გარდვიხადე აჯი ერზისათვის მეიეროსალემე და ხუთასი მარჩილი თათრების ხარჯი და ფეშქაშისათვის..."[24]. ამ შემთხვევაში კი „მეიერუსალიმე", იმ მუსლიმ მოხელეს უნდა აღნიშნავს, რომელიც ხვდებოდა მომლოცველებს ალეპოში, მიაცილებდა მათ იერუსალიმამდე და შემდეგ უკან, ალეპომდე[25].

დ. ბაქრაძეს გურიაში მოგზაურობისას უნახავს საბუთები და წარწერები, სადაც ეს ტერმინია დამოწმებული. ქაიხოსრო გურიელის მიერ გაცემულ აჭის წმინდა გიორგისადმი გლეხების შეწირულების წიგნში ნათქვამია: „ ჩვენის სასაფლაოს წინამძღვარი დაგვისვამს იოსებ მეიერუსალიმე, ჩვენის სასაფლაოს მეტოქად იყონ"[26]. ერკნეთის გულანის ერთ მინაწერში ნათქვამია: „ამის შემკრავსა ცოდვილ მღვდელმონაზონს მეიერუსალიმელს გრიგოლს შენდობა ჰყოფდეთ და ჩემთა დედა-მამათათჳს. ზამთარში გავაკეთე და ბევრი ჭირი და სიცივე ვნახე ჩაქუს"[27]. დ. ბაქრაძის აზრით, „მას (იოსებს და, ალბათ რიგოლსაც – ნ.ხ.), რასაკვირველია, ასე იმიტომ ენოდა, რომ იერუსალიმი მოილოცა"[28]. კონტექსტიდან გამომდინარე, ნათლად არ ჩანს, რომ „მეიერუსალიმე" მაინცდამაინც იერუსალიმის მომლოცველს უნდა გულისხმობდეს, თუმცა გამორიცხული არ არის. შესაძლოა, აქაც საიერუსალიმო გადასახადების ამკრებ ბერთანაც გვქონდეს საქმე, რომელიც ჯვარის მამას ეხმარებოდა.

იერუსალიმის სამონასტრო ყმა-მამულის მართვაში, ისევე, როგორც ზოგადად საეკლესიო მიწათმფლობელობაში, ერთ-ერთი მთავარი როლი მოურავს ჰქონდა დაკისრებული. მოურავი ინიშნებოდა ეკლესიისა თუ მონასტრის წინამძღვრის, ან თვით მამულების შემ-

---

[24] Ad-100.

[25] Н. Марр, Предварительный отчет, გვ. 51.

[26] დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987, გვ. 242.

[27] იქვე, გვ. 186.

[28] იქვე, გვ. 97.

ნირეელის მიერ[29]. თუმცა, ეკლესია უფრო ხშირად ცდილობდა, რომ ეს ინიციატივა თავის თავზე აელო[30]. საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო მიწათმფლობელობაშიც მოურავის სახელო ასევეა წარმოდგენილი – მას ნიშნავდა ან ქრისტეს საფლავის წარმომადგენელი, ან მეფე. XVII საუკუნის 40-იანი წლების მახლობლად ელისე თბილელმა, მღვდელმონაზონმა ნიკოლაოზ და ზებედემ ბოქაულთუხუცესს დავით დავითიშვილს, ალბათ, სამოურავოდ, ჩააბარეს სოფელი დირბი. „დირბი ჩვენ ქრისტეს საფლავისათვის გვიბოძა როსტომ მეფემან და ბევრი კაცი რჯიდა და იცილებოდა იმისათვის. ჩუენ თქუენ მოგაბარეთ თუალისა და ყურის დასაჭირავად და საძალოდ და საუმართლოდ არავის დაანებოთ და იმათ ერთი დღე გიჴნან და გალეწონ და მოგართუან..."[31]. 1716 წელს დირბის მოურავობა მეფე ბაქარმა დაუმტკიცა ელიზბარ დავითიშვილს „თავისი სამართლიანის სარგოთი"[32]. ასეთივე წარმატებით შეეძლო მოურავის დანიშვნა იერუსალიმიდან ჩამოსულ არქიმანდრიტს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოკვეთილი იყო XVII საუკუნის მიწურულიდან, მას შემდეგ, რაც იერუსალიმის ქართული ეკლესია-მონასტრები იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს გამგებლობაში შევიდა. 1716 წელს ჭვარების მოურავობა პაპა სერგიმ ჩააბარა ფარემუზ ჯავახიშვილს[33]. ასევე, ჯვარის მამა ათანასე 1798 წელს გიორგი მეფის ბრძანებითა და ნებართვით ნაზირ დავით მაყაშვილს აძლევს აღდგომის საყდრისა და მამულის მოურავობას[34]. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს 1806 წელს მანუჩარ დადიანის მიერ გაცემული საბუთი ჭარჩხურის მთავარანგელოზის დეკანოზ სიმონ თოდუასადმი: „...ქრისტეს საფლავის მამული საჯვარისმამო (sic) ძველთაგან ნაქრთამი გქონებოდა და ჟამთა ვითარებისაგან ის საჯვარისმამო მამული ჩემგან დაკავებული შეგექმნა ქობალის კარზედ. და მერმეთ

---

[29] ბ. ლომინაძე, ფეოდალური მიწათმფლობელობის ისტორიიდან, საწინამძღვრო, მსკი, 31, თბ., 1954, გვ. 148; ჯ. კოპალიანი, მოურაობის სახელო ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1982, გვ. 36.

[30] ჯ. კოპალიანი, მოურავობის სახელო ..., გვ. 36.

Hd-15041.

[32] დოკ. სოც. ისტ. I, № 247, გვ. 176.

[33] სცსა 1450-51/162.

[34] Ad-617.

შენ მოდი და შემომავედრე ისევ იმ მამულის ბოძებას და მეც ვისმინე ვედრება შენი და ისევ გიბოძე ის მამული საჯვარისმამო. ასე რომე, რომელიც ჯვარის მამა მობრძანდეს და თავისი მამული მოიკითხოს, როგორც ჯეროვანი იყოს და სამართლიანის გზით ჯვარის მამამ გიბრძანოს, იმ საქმეს შეუდგე და ემსახურო. რომ მისი მამული ჯვარის მამას არა ოდეს არ დააკლდეს და დაემალოს..."[35]. საქართველოს საეკლესიო მინათმფლობელობაში მოურავის სახელოს, ჩვეულებრივ, აზნაურები ფლობდნენ[36], იერუსალიმის მონასტრების მინათმფლობელობაში კი, უფრო ხშირად, მოურავეები თავადები არიან. დირბში მოურავი იყო დავითიშვილი, ქვარებში – ჯავახიშვილი, აღდგომაში – მაყაშვილი.

საქართველოში იერუსალიმის სამონასტრო ყმა-მამულის მართვაში მონაწილეობდა, აგრეთვე, საქართველოს საკათალიკოსო. ნათქვამის დასადასტურებლად, მოვიტანთ ზემოთ უკვე რამდენჯერმე დამოწმებულ ნიკოლაოზ წულუკიძის ჯვარის მამად დადგინების სიგელს, რომელშიც ნათქვამია: „ჯვარის მამა თქვენის ბრძანებით დადგომილა ნიადაგ, ქართველის ბატონისა და კა[თალიკო]ზისაგან..."[37]. ქართველი სასულიერო პირების, მათ შორის კათალიკოსების მოღვაწეობაში დიდი ადგილი ეკავა იერუსალიმის ქართულ კოლონიაზე ზრუნვას. საისტორიო წყაროები გვატყობინებენ, რომ აფხაზეთის კათალიკოსი მაქსიმე მაჭუტაძე (კათალიკოსად ჩანს 1640-1651 წლებში) ხშირად მიდიოდა იერუსალიმში დიდი შეწირულებით. ამის შესახებ მოგვითხრობენ ქრისტეფორე კასტელი და არქანჯელო ლამბერტი[38]. ტიმოთე გაბაშვილი ჯვრის მონასტრის აღწერისას ამბობს, რომ: „იქ ხატია აფხაზეთის კათალიკოსი ღირსი მაქსიმე"[39]. პლატონ იოსელიანის შენიშვნით ეს იგივე მაქსიმე მაჭუტაძე უნდა იყოს. ამ მოსაზრებას იზიარებს ბ. ლომინაძეც[40].

---

[35] ქიემ 641.

[36] ჯ. კოპალიანი, მოურავის სახელო .., გვ. 39.

[37] Ad-553.

[38] ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII-XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის, მსკი, თბ., 1954, ნაკვ. 31, გვ. 131.

[39] ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 82.

[40] ბ. ლომინაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს..., გვ. 131.

იერუსალიმისა და საქართველოს საპატრიარქოს ურთიერთობას XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე რამდენადმე ახასიათებს ერთი კონფლიქტური ხასიათის შემთხვევა, რომელიც მოხდა კათალიკოს დომენტი IV-სა და იერუსალიმის პატრიარქის ვექილ პაპა სერგის შორის. ზემოთ მოტანილი გვქონდა ერთი საბუთი, რომლის მიხედვითაც 1709 წელს ზემო ქართლის სარდლის გივი ამილახორის შვილმა გიორგიმ, მისმა ძმამ ვახტანგმა და ძმისწულმა გივიმ თბილისში, ვანქის სასაფლაოსთან, იერუსალიმს თავიანთი ნასყიდი მიწის ნაკვეთი შესწირეს[41]. ეს ნაკვეთი, როგორც სხვა საბუთიდან ჩანს, შეუწირვინებია ამილახვრებისათვის პაპა სერგის, რომელსაც შემდეგ იქვე, თავისთვის, სახლი აუშენებია[42]. ამ ფაქტს მეტად აღუშფოთებია კათალიკოსი დომენტი, იმდენად, რომ მან გადაუხადა პაპა სერგის სახლის საფასური, რათა ამ უკანასკნელს თავის საკუთრებაზე ხელი აეღო. პაპა სერგი ასე მოგვითხრობს ამ ამბავს: „...არას ჟამში არა ქმნილიყო და ერთი საქმე ვქენი, რომ ზემო ქართლის სარდლის ამილახორის შვილის გიორგისაგან ქალაქს მიწა შევაწირვინე და სასახლე ავაშენე. თქვენც გაშინჯეთ და დაინახეთ: არც კარგი იყო საქართველოსათვინ და არც თქვენი საყდრისათვინ. ახლა თქვენ მუქაფა მიბოძეთ ფასად ოცდათხუთმეტი თუმანი თეთრი სრული ფასი, რაგვარადაც დაფასდა ან დააფასეს. ამაში ჩვენ არც რა საქმე გვაქვს და არცარა ამგვარი ცუდმადი საქმე დღეის ამას იქით ვერცარა მოვინდომოთ და ვერცარას წამოვედაოთ".

საინტერესოა, რომ დაახლოებით 45 წლით ადრე აღნიშნული შემთხვევიდან, ჯვარის მამა მელეტიოსს აუშენებია თავისთვის სახლი სიონის კუთვნილ მიწაზე და ამას არც კათალიკოსის და არც სხვა ვინმეს მხრიდან არავითარი უარყოფითი რეაქცია არ გამოუწვევია. პირიქით, მელეტიოსმა იერუსალიმში წასვლის წინ თავისი

---

[41] Ad-1741. როგორც წესი, ფეოდალურ საქართველოში, როდესაც ეკლესია-მონასტერს მორწმუნე ფეოდალები უძრავ ქონებას უწყალობებდნენ, ცდილობდნენ უაღრესად მოუდევარი ქონება შეეწირათ. ასეთი იყო ნასყიდი მიწა, რადგან მხოლოდ ნასყიდის შეწირვა იყო მტკიცე და დაცული შემწირველის მემკვიდრეთაგან გამოწირვისაგან (გ. ნადარეიშვილი, სანივთო სამართლის ობიექტების შესახებ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, თბ., 1973, გვ. 105).

[42] Ad-2048 – 1711 წ.

სახლი გაყიდვის უფლებით თბილელს მიაბარა. გამოდის, რომ ის, რაც დასაშვები იყო მელეტიოსისათვის, მიუღებელი აღმოჩნდა პაპა სერგისთან დაკავშირებით. განსხვაება ამ ორ შემთხვევას შორის მხოლოდ ისაა, რომ მელეტიოსმა სახლი აიშენა სიონის კუთვნილ მიწაზე, ხოლო პაპა სერგიმ იერუსალიმისადმი შეწირულ მიწაზე. ზემოთ ჩვენ მოტანილი გვქონდა მაგალითები იმისა, თუ როგორი პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა პაპა სერგი საქართველოს ხელისუფალთა შორის. ასე რომ, მისი აშენებული სახლის კათალიკოსი დომენტის მიერ ძალდატანებით გამოსყიდვა უბრალო მოვლენა არ უნდა ყოფილიყო. შესაძლოა, არსებობდა საფრთხე, რომ შეწირულ მამულში დასახლების შემთხვევაში პაპა სერგი თვითონ გადაიქცეოდა ამ მიწის რეალურ პატრონად.

ქართლის კათალიკოსის უფლებების საკითხი იმ დროს მეტად აქტუალური იყო და, რაც არ უნდა საინტერესო იყოს, მის მხარდამჭერად ირანის მმართველები გამოდიოდნენ. ერთი სპარსული საბუთი თითქოს უშუალოდ ეხმაურება ზემოთ აღნიშნულ შემთხვევას. ესაა 1713 წელს წელს გაცემული შაჰ-სულთან ჰუსეინის სიგელი კათალიკოსისათვის საეკლესიო მამულების დაბრუნებისა და, ძველი წესისამებრ, მისთვის სათანადო პატივის მიგების შესახებ. საბუთი მიმართულია ვახტანგ VI-ისადმი და მასში ნათქვამია: „...ამჟამად მოხსენებულ იქნა, რომ ეკლესიისათვის შეწირულ მამულებს, რომლის მართვა-გამგებლობა კათალიკოსებს ეკუთვნოდათ, სხვები დაეუფლნენ, ერევიან [მათ საქმეებში] და კათალიკოსს არ უშვებენ მათში. იერუსალიმისა და ურუმის ხალხი, რომელიც წინა წლებში ჩამოდიოდა საქართველოში, მას (კათალიკოსს) მიმართავდა ხოლმე თავის ქვეყანაში. ახლა კი ამ ხალხების უმრავლესობა საქართველოში ცხოვრობს, სახლის პატრონები გამხდარან და უკვე აღარ მიმართავენ კათალიკოსს [თავის საქმეებზე]". ამ საბუთს მიწერილი აქვს თანადროული თუ მოგვიანო ხანის ჩვენთვის საყურადღებო დასახელება: „ქ. ბერძნებმა რო სახლ-კარს აშენებდნენ და დგომა და ტანება დაიწყენ კ[ათალიკო]ზის წინააღმდეგობა, იმის გაყრის რაყამია"[43].

---

[43] ვ. ფუთურიძე, ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წიგნი $I_3$, თბ., 1965, № 27, გვ. 71.

როგორც საბუთის ტექსტიდან, ასევე მასზე დართული დასახელებიდან აშკარად ჩანს, ქართველ მღვდელმთავარსა და იერუსალიმელ არქიმანდრიტებს შორის არაერთგვაროვანი, ზოგჯერ კი საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა უნდა ყოფილიყო.

## § 2. ყმა-გლეხთა გადასახადები

საქართველოში იერუსალიმის მონასტრებისათვის შეგროვილ თანხას ზოგადად „საიერუსალიმო" ენოდებოდა. ჯვრის მონასტრის ერთი აღაპი გვატყობინებს, რომ 1567 წელს იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში, ჩასულა ფილიპე შაქარაშვილი, რომელსაც ჩაუტანია „სურხანის შვილის ვარაზ(ი)ს გ(ა)მოგზავნილი საიერუსალიმო თეთრი"[44]. ეს თანხა ფილიპე შაქარაშვილს მიუბარებია ჯვარის მამისათვის.

ეს ტერმინი გვხვდება საისტორიო საბუთებშიც იმავე მნიშვნელობით. „საიერუსალიმო" ენოდებოდა იერუსალიმის მონასტრების ყმა-მამულიდან აღებულ შემოსავალსაც. მამია II გურიელის მიერ ჩაიხედენას შეწირულების სიგელში, პატრიარქის ვექილის მოვალეობა შემდეგნაირადაა განსაზღვრული: „...ან საილუსარემო, ან სასულიერო, ან ამა მამულისა ბეგარა სწერია, გამოუკრებდეს..."[45]. როსტომ მეფის მიერ 1650 წელს დირბის სითარხნის განახლების სიგელში ნათქვამია: „ასრე რომე ექუსი ათასი თეთრი საელუსარემო გამოიღონ და ყოველთა წელიწადთა მიართმევდნენ"[46]. ასევეა ნიკოლაოზ წულუკიძის პირობის წიგნშიც: „...რაც საიერუსალემო ვიშუენ ამ ოთხს საბატონოში, სრულა მონასტრისათვის შევინახო"[47].

იერუსალიმისათვის შეწირული ყმა-მამული, მსგავსად სხვა ეკლესია-მონასტრების მიწათმფლობელობისა, თავისუფალი იყო ყოველგვარი სახელმწიფო გადასახადისა და სათხოვარისაგან. 1650 წელს

---

[44] ელ. მეტრეველი, მასალები..., № 112, გვ. 89.
ისტ. დოკ. იემერეთის. სამეფოსა..., № 147, გვ. 137.
[46] სცსა 150-51/192.
Ad-553.

გაცემულ როსტომ მეფის მიერ დირბის შეწირულების განახლების სიგელში ნათქვამია: „...ათარხნა სოფელი დირბი და გაათავისუფლა ყოველგვარი სათხოვარისა და გამოსაღებისაგან. არა ეთხოებოდეს და არა ეჯრებოდეს არა დიდი სათათრო ულუფა, არა წურილი საელჩო ულუფა, არა კალოს კაბიწი, არა ვენახთ კულუხი, არა ზროხა-საკლავი, არა ქათამი და ერბო, კუერცხი, არა ულაყი, არა თეთრი, არა საჯინიბო და არა სასახლაო, არა წურილ-წურილი სამუშაო, არა დიდი საწერი და არა ცოტა...“[48]. 1761 წელს გიორგი გურიელი პირობას იძლევა, რომ „ჯვარის მონასტრის ყმებზე ხელი არ ექნება არც ბეგარის აღებით, არც საუდიეროს გადახდევინებით, არც მეოჩხობით და მეტვირთეობით, თეთრის, საბაზიაროსა და სამეჯინიბოს გადახდევინებით, არც შინაყმის გამოყვანით, მეძაღლობით და მეციხოვნობით“[49].

იერუსალიმის ყმები არ იყვნენ თავისუფალნი მხოლოდ ლაშქარნადირობისაგან. ეს წესი, როგორც ცნობილია, უნივერსალური იყო საქართველოს საეკლესიო მიწათმფლობელობისათვის, რადგან ნადირობა სამხედრო წვრთნისა და მანევრების როლს ასრულებდა. ლაშქარ-ნადირობისაგან გათავისუფლება მეტად იშვიათად ხდებოდა[50].

ქრისტეს საფლავის ყმები გათავისუფლებულები იყვნენ საბაჟო გადასახადებისაგანაც. 1782 წელს ანტონ კათალიკოსის ბრძანებაში ნათქვამია, რომ საქართველოში მოსახლე ქრისტეს საფლავის ყმები ქართველი მეფეებისაგან არიან გათარხნებული სამეფო ბაჟისაგან. ამ ბრძანებით კათალიკოსი ქრისტეს საფლავის ყმებს ათავისუფლებს აგრეთვე საკათალიკოსო და სამცხეთო ხიდის ბაჟისაგანაც. მან უბრძანა თავის მოხელეებსა და მებაჟეებს ქალაქში, გორში, ქრცხინვალსა და სხვა ადგილებში, რომ ქრისტეს საფლავის ყმებისათვის საქართველოში ბაჟი არ გამოერთმიათ[51].

---

48 დოკ. საქ. სოც. ისტ. I, № 45, გვ. 34-35.

49 სცსა 1448-271

50 ე. ხოშტარია, გლეხობის სოციალური მდგომარეობის საკითხისათვის XVII-XVIII სს. ქართლში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ნაკ. 1, 1960, გვ. 99; ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავრო, გვ. 524.

სცსა 1450-51/218.

1790 წელს დირბელი ზაქარია თავის არზაში დარეჯან დედოფლისადმი ამბობს, რომ ის ქრისტეს საფლავის ყმა არის და ბაჟი არსად არ ეთხოვება. „იმერეთში კი ბევრ ალაგას ბაჟს იღებენ და ზაქარიასაც რჯიან". დარეჯან დედოფალმა არზის პატრონის, ქრისტეს საფლავის ყმის შესახებ წიგნი მიართვა სოლომონ მეფეს და ბეჟან ავალიშვილსაც ოქმით უბრძანა დაეხმაროს ქრისტეს საფლავის ყმას, გაათავისუფლოს ბაჟისაგან და ოქმიც გაურიგოს: „რადგან ზაქარია ქრისტეს საფლავის ყმა არის და მას ბაჟი არ ეთხოება არც ჩვენს ქვეყანაში და არც იმერეთში"[52].

